

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

06ბლისური ფილოლოგის ინსტიტუტი

გაიანე მანასიანი

ზერის აღმნიშვნელი სიტყვების პობნიტური ანალიზი

ფილოლოგის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ნემსაძე
ფილოლოგის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2012

სარჩევი

ანოტაცია.....	გვ. 3
შესავალი	5
თავი I. შემოქმედებითი მიდგომა ფერთა ნომინაციის პროცესში და ფერის აღმნიშვნელი სიტყვების მნიშვნელობის ზღვარი.....	9
1.1. ფერის კონცეფცია.....	9
1.2. დე სოსიურიდან კოგნიტური ლინგვისტიკისაკენ.....	12
1.3. ენობრივი ნომინაცია.....	20
1.4. შემოქმედებითი მიდგომა ნომინაციის პროცესის თეორიაში.....	23
1.5. ენა როგორც კონცეპტუალური სისტემა.....	28
1.6. ფერთა ნომინაცია და ფერის აღმნიშვნელი სიტყვების მნიშვნელობის ზღვარი.....	31
თავი II. „შეგრძნება და აღქმა“ როგორც მამოძრავებელი ფაქტორი ფერის ტერმინოლოგიის პოეტური მნიშვნელობის შექმნაში.....	46
2.1. რეალობის ცნება ფერთა აღმნიშვნელი სიტყვების და ზოგადად ფერის კონცეპტის არსებობასთან მიმართებაში.....	46
2.2. „შეგრძნება და აღქმა“ როგორც მამოძრავებელი ფაქტორი ფერის ტერმინოლოგიის პოეტური მნიშვნელობის შექმნაში.....	55
2.3. ბინარული ოპოზიციები და ფერის აღმნიშვნელი სიტყვების სპეციფიკა.....	116
თავი III. ენა, კულტურა და ხელოვნება.....	124
3.1. ფერის ფენომენის ლინგვისტური ანალიზი სახვითი ხელოვნების კონტექსტში.....	124
3.2. ლინგვისტიკური ფარდობითობის ჰიპოთეზა.....	129
3.3. ენა, როგორც ხელოვნების და საზოგადოების გამაერთიანებელი საწყისი.....	131
3.4. კატეგორიზაციის პრინციპები და კონცეპტუალური პროცესები.....	138
დასკვნა.....	150
გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.....	155

Abstract

“A Cognitive Analysis of the Color Terms”

Problem:

This research “Cognitive Analysis of the Color Terms” is an attempt to give the cognitive analysis of color terms, as well as color terms nomination (in the broad sense of the word), perception, emotions and different cognitive factors that influence creative process of meaning expansion. To get deeper in the research the author referred to different fields and conducted intra disciplinary research: drawing parallel with arts the author examines inner form and content of color terminology observing the progress of word nomination throughout experience (a posteriori), sensation, perception and emotion.

The psychological verbal and cultural-social facts of process of nomination of color designating units have been described and studied. The extent of meanings of words as a result of nomination process based on the results of poll (testing) has been studied as well.

The theory of nomination, first of all, is connected with determination of correlation between the conceptual forms of thinking. It studies how the names of some fragments of objective reality are created, consolidated and distributed. The subject of nomination theory is also the study of results of interaction of human thinking, language and reality in the process of nomination. Considering all this color terminology turned out the field in language that is specific in different respects and it definitely needed a solution: paradoxical may it sound but specific things in research helped to see universal things, as in arts subjective vision shows objective reality the same is demonstrated here.

Objectives:

1. to reveal the characteristics of the color terminology that motivate the expansion of the meaning of color terminology and participate in the process of nomination.
2. to define the color terminology lexical meaning cognitive component value .
- 3 to observe if the language may be regarded as conceptual system in terms of the color terms analysis , or there is as many conceptual systems as languages.
4. The role of arts in the progress of linguistic analysis of color terms.

Methods used :

1. Descriptive method was used to define color terms characteristics.
2. Practical testing and intra disciplinary analysis facilitated examination of the color terminology inner form.
3. Dictionary definition and contextual analysis method was used to compare dictionary meanings (isolated words) and contextual meaning.

Achievements:

1. Research shows that color terminology has not only prime meaning or the meaning that is fixed in the dictionary but it has the contextual meaning that is based on the associations and that adds an emotional charge to the context. Consequently, associations are motivators for the ‘psychological’ meaning and they participate in the nomination process.
2. As a result of analysis in terms with the meaning the color terminology may be classified into :
 - a) Initial meaning (when it has only descriptive character)
 - b) Symbolic meaning
 - c) Tautological meaning
 - d) Psychological(emotional) meaningThe psychological meaning turned out to be important for the analysis of the nomination process as it involved important factors such as sensation, perception and emotion.
3. Inner binary oppositions – another thing that makes the color terms specific is the ability to have binary opposition in terms of meaning related to the same word representing the color.
4. The process of nomination related to the color terminology is not only about giving names or having either initial meaning or inner meaning its more complex and reveals the process of nomination as creative process where objective reality is revealed through subjective experience(from a priori to a posterior).

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ფერის აღმნიშვნელი სიტყვების კოგნიტურ ანალიზს. ფერის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია კომპლექსურადაა გაანალიზებული. ნაშრომში ძირითადად ვეფრდნობით გოვთეს და კანდინსკის ფილოსოფიას, ასევე განხილულია ბერლინისა და ქვის თეორიის მნიშვნელობა კოგნიტური ლინგვისტიკისათვის ამ სპეციფიკური ლექსიკის ვალთან მიმართებაში. მოყვანილია რიგი ლინგვისტური თეორიებისა, მაგალითად, რელატივისტური თეორია, სეპირ-უორფის თეორია, განხილულია აგრეთვე, სხვა ლინგვისტების მოსაზრებები, არისტოტელედან დაწყებული და თანამედროვე მეცნიერების (კეჭბიცა, ვიტკოვსკი, ბრაუნი და ა.შ.) ფერის აღმნიშვნელი სიტყვების უახლოესი კვლევებით დამთავრებული.

ფერის აღმნიშვნელი ლექსიკის მიმართ მზარდი ინტერესი მრავალგვარ კვლევებში ვლინდება, როგორც ლინგვისტიკაში, ასევე განსაკუთრებით ხელოვნებაში, თავისთავად ფერწერაში, ფსიქოლოგიასა და ბიზნესში.

ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს ფერის აღმნიშვნელი სიტყვების კოგნიტური ანალიზი.

კვლევის აქტუალურობა შემდეგი ფაქტორებით განისაზღვრება:

1. ფერის აღმნიშვნელი ლექსიკის კვლევა საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად შევისწავლოთ ნომინაციის პროცესი, რაშიც ვლინდება თვით შემოქმედებითი პროცესის, სიტყვის, ფორმისა და შინაარსის ფსიქოლოგიური და სოციალური კონტექსტი და ლექსიკის განვითარების გზები.*

2. ფერთა სახელების, მათი მნიშვნელობისა და ლექსიკური თანმიმდევრობის მაგალითზე ვლინდება ენის ცვლილებისა და მისი ისტორიული აღდგენის, სინქრონიაში და დიაქრონიაში ხალხთა კონცეპტუალური ინვენტარის შექმნის/განვითარების პროცესები.

კვლევას საფუძვლად დაედო შემდეგი პიპოთეზა: ფერის აღმნიშვნელი სიტყვების ნომინაცია, ამ სიტყვის ფართო გაგებით, უფრო მეტია, ვიდრე ”შეტაფორის ან მეტონიმის კოგნიტური პროცესების შედეგი” [124, 35]: ეს არის შეგრძნების, აღქმისა და ემოციის შედეგად მიღებული პროდუქტი.

* ნომინაციის შემოქმედებით პროცესში იგულისხმება ის პროცესი, რომლის დროსაც ხდება ამა თუ იმ რეალიის სახელის მინიჭება და გამოყენება.

ნაშრომის მიზანია ფერის აღმნიშვნელი სიტყვების ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრა და მათი კოგნიტური რეალიზაციის ხარისხის გამოვლენა.

მიზნის მიღწევა შემდეგი ამოცანების გადაჭრასთან არის დაკავშირებული:

1. ფერის აღმნიშვნელი სიტყვების ნიშნების გამოვლენა, რომლებიც ამ ლექსიკის მნიშვნელობის გაფართოებას განსაზღვრავენ;

2. ფერის აღმნიშვნელი სიტყვების ლექსიკური მნიშვნელობის კოგნიტური კომპონენტების ხარისხის განსაზღვრა;

3. წარმოადგენს თუ არა ენა კონცეპტუალურ სისტემას ფერების აღმნიშვნელი სიტყვების ანალიზისას, თუ არსებობს იმდენივე კონცეპტუალური სისტემა, რამდენიც ენაა (თანამედროვე აზროვნება იხრება ჰიპოტეზისაკენ უნივერსალური კონცეპტუალური სისტემის შესახებ (ჩარჩოების), რომელიც საერთოა კაცობრიობის ენებისთვის);

4. ხელოვნების როლი ფერის აღმნიშვნელი სიტყვების ლინგვისტური ანალიზის დროს.

კვლევის ემპირიულ მასალად გამოყენებულ იქნა მაგალითები ამერიკული პოეზიიდან და ასევე შედგენილ ტესტზე მიღებული პასუხები.

კვლევის მსვლელობისას შემდეგი მეთოდები იქნა გამოყენებული:

1) აღწერილობითი (დესკრიპტიული) მეთოდი, ფერის აღმნიშვნელი სიტყვების მახასიათებლების განსაზღვრის მიზნით;

2) პრაქტიკული ტესტირების და ინტრადისციპლინარული ანალიზის საშუალებით ფერის აღმნიშვნელი სიტყვების კომპლექსური შესწავლა მათი „შინაგანი ფორმის“ განვითარების პროცესის ანალიზის მიზნით;

3) სალექსიკონო დეფინიციისა და კონტექსტუალური ანალიზის მეთოდი, ლექსიკური ერთეულების სალექსიკონო და კონტექსტუალური მნიშვნელობების შედარების მიზნით.

მოცემული თემის მეცნიერული სიახლეა:

– ფერის აღმნიშვნელი სიტყვების სპეციფიკის ანალიზი და ამ ლექსიკის ცალკე ფენად გამოყოფა;

– ფერის აღმნიშვნელი სიტყვების ფუნქციონირების პროცესის შესწავლა და დადგენა მნიშვნელოვანი ფაქტორების ნომინაციის შემოქმედებითი პროცესის დროს;

— ამ ლექსიკის გამოყოფა, როგორც სპეციფიკური ლექსიკისა, რომელიც ხასიათდება განსაკუთრებული ნიშნებით: ამ ნიშნების კვლევა და ანალიზი.

ჩვენს კვლევაში ყურადღება შევაჩერეთ ლინგვისტურ ლიტერატურაში მიღებულ შემდეგ დებულებებზე:

1) ფერთა კატეგორიზაცია ენების ინდივიდუალური თავისებურება კი არ არის, არამედ, ეს ადამიანთა რასის საერთო კონცეპტუალური სისტემაა. (Berlin and Kay (1969) 'Basic Color Terms, their Universality and Evolution');

2) ჯ. ლაკოფი და მ. ჯონსონი გამოყოფენ კოგნიტიური მეცნიერების სამ პოსტულატს: — გონება განსაკუთრებულ მატერიაში არსებობს (ტვინის ნეირონული ქსოვილი); — აზროვნება უმეტესწილად გაუცნობიერებლად ხორციელდება; — აბსტრაქტული კონცეპტები უპირატესად მეტაფორულად იქმნება [Lakoff, G. & M. Johnson (1980). Metaphors We Live By. Chicago: University of Chicago Press. Lakoff, G. & M. Johnson (1999). Philosophy in the Flesh: The Embodied Mind and its Challenge to Western Thought. New York: Basic Books);

3. „ენის შექმნა განპირობებულია ადამიანის შინაგანი მოთხოვნილებით” — წერს ჰუმბოლდტი. [Гумбольдт В. фон. О влиянии различного характера языков на литературу и духовное развитие. В кн.: Избранные труды по языкоznанию. М., Прогресс, 2000];

4. სინამდვილეში, შინაგანი საშუალებები არც ისე ადვილად კარგავენ თავის ძალასა და გავლენას და სიტყვა, რომელსაც ამრიგად ორი მნიშვნელობა აქვს, პირველი — პირდაპირი და მეორე — შინაგანი, წარმოადგენს პოეზიისა და ლიტერატურის სუფთა მასალას, რომლის გამოყენება მხოლოდ ამ ხელოვნებას ძალუბს და რომლის საშუალებითაც იგი ადამიანის სულამდე აღწევს. (Кандинский. О духовном в искусстве, 2008, изд. Москва);

5. 1920-1940-იან წლებში ამერიკლი ლინგვისტების, ედუარდ სეპირისა და ბენჯამინ ლი უორფის მიერ დამუშავებული თეორია, რომლის თანახმადაც რეალობა კი არ განსაზღვრავს ენას, რომელზედაც საუბრობენ, არამედ, პირიქით, ჩვენი ენა ყოველთვის ახლებურად ანაწევრებს რეალობას.

ნაშრომის სტრუქტურა:

პირველ თავში აღწერილია ფერთა ნომინაციის პროცესისადმი შემოქმედებითი მიღვომა და ფერის აღმნიშვნელი სიტყვების მნიშვნელობის ზღვარი. პირველი თავის პირველ ქვეთავში განხილულია ფერის კონცეფცია ზოგადად. მეორე ქვეთავში განხილულია დე სოსიურის მოსაზრება სიტყვის

ანალიზთან მიმართებაში და კოგნიტური ლინგვისტიკის თავისებურებები. მესამე ქვეთავში ზოგადად განხილულია ფერის აღმნიშვნელი სიტყვების ნომინაციის, ენობრივი ნომინაციის, ამ სიტყვის ფართო გაგებით, უკეთ გაანალიზება, რის შემდგომაც, მეოთხე და მეხუთე ქვეთავში განხილულია შემოქმედებითი მიღვომა ნომინაციის პროცესის თეორიისადმი და ენა, როგორც კონცეპტუალური სისტემა. მეექვსე ქვეთავში განხილულია კონკრეტულად ფერთა ნომინაცია და ფერის აღმნიშვნელი სიტყვების მნიშვნელობის ზღვარი. თითო ქვეთავის ბოლოს გაკეთებულია შეჯამება, მეექვსე ქვეთავის ბოლოს ტესტურ გამოკითხვაზე დაყრდნობით წარმოდგენილია კვლევის შედეგები, პროცენტული გამოთვლები და ზოგადი დასკვნა.

მეორე თავი „შეგრძნება და აღქმა“, როგორც ფერის ტერმინოლოგიის პოეტური მნიშვნელობის შექმნის მამოძრავებელი ფაქტორი, შედგება სამი ქვეთავისგან. პირველ ქვეთავში განხილულია რეალობის ცნება ფერთა აღმნიშვნელი სიტყვების და ზოგადად ფერის კონცეპტის არსებობასთან მიმართებაში. მეორე ქვეთავში შევეხეთ ძალზედ მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, „შეგრძნება და აღქმა“, როგორც მამოძრავებელი ფაქტორისა ფერის ტერმინოლოგიის პოეტური მნიშვნელობის შექმნაში. მესამე ქვეთავი საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ ფერის აღმნიშვნელი სიტყვების სპეციფიკა ბინარულ ოპოზიციებთან მიმართებაში. ყოველი ქვეთავი შეჯამებულია, და ბოლოს ზოგადი დასკვნაა გაკეთებული.

მესამე თავში ენა, კულტურა და ხელოვნება გამოიკვეთა ოთხი ქვეთავი.

პირველ ქვეთავში წარმოდგენილია ფერის ფენომენის ლინგვისტური ანალიზი სახვითი ხელოვნების კონტექსტში. მეორე ქვეთავში ლინგვისტური ფარდობითობის პიპოთეზაა მოყვანილი ლინგვისტური კონტექსტის გასაძლიერებლად ხელოვნებასთან შედარების დროს. მესამე ქვეთავი განიხილავს ენას, როგორც ხელოვნებისა და საზოგადოების გამაერთიანებელ საწყისს ჰუმბოლდტის მიხედვით, რაც სეპირ-უორფის თეორიის ანტითეზაა. ბოლოს განხილულია კატეგორიზაციის პრინციპები და კონცეპტუალური პროცესები ფერების აღმნიშვნელ სიტყვებთან მიმართებაში. თითოეული თავი შეჯამებულია და ბოლოს ზოგადი დასკვნაა გაკეთებული.

დასკვნაში მოყვანილია შედეგები და დასკვნები, რომლებიც ნაშრომის თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილებს ეხება.

თავი I. შემოქმედებითი მიდგომა ფერთა ნომინაციის
პროცესში და ფერის აღმნიშვნელი სიტყვების
მნიშვნელობის ზღვარი

I.I. ფერის კონცეფცია

თავისთავად, ფერის ფენომენი მარტივი არ არის. იგი შეიცავს, როგორც ობიექტურ (შუქი), ისე სუბიექტურ (მხედველობა) საწყისებს. თუკი ფერს განვიხილავთ, როგორც კულტურისა და სახვითი ხელოვნების საშუალებას, მაშინ, ფერთა თეორიასთან მიმართებაში, ფუნქციონალური მეცნიერებების შემადგენლობაში ერთვება ფილოსოფია, ფილოლოგია, ხელოვნების თეორია და ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, ლიტერატურის თეორია და ისტორია.

ყველაფერი, რაც ფასეული და მნიშვნელოვანია, რომელიმე ფერით აღინიშნებოდა და ეს ფერები ძირითად ფერებად მიიჩნეოდა. მაგალითად, პირველყოფილი ადამიანები ფერებთან აიგივებდნენ მათთვის ყველაზე ფასეულ ნივთიერებებს და სასიცოცხლო მნიშვნელობის (მათი გაგებით) მოვლენას – სტიქიებს. ასეთებია: სისხლი, რძე, ცეცხლი, მიწა. მათ შეესაბამება წითელი, თეთრი და შავი ფერები [52, 16]. ეს ტრიადა დიდხანს ინარჩუნებდა ძირითად მნიშვნელობას. როდესაც ადამიანი ბუნებასთან ორგანულ კავშირში ცხოვრობდა, არ არსებობდა გამდიზიანებლებზე ადეკვატურობის შეგრძნებაზე, გრძნობის ორგანოებში სიგნალების გარდაქმნაზე და ა.შ. ფიქრის საჭიროება, რადგან მოვლენა და მასზე სულიერი წარმოდგენის გაიგივება ეჭვს არ იწვევდა. ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად, როდესაც ფერი უფრო ხშირ შემთხვევაში შეფერილ ობიექტებთან მიმართებაში განიხილება, ვიდრე ცალკე (მაგალითად ბანკების რეკლამებში ფერების ფაქტორის გათვალისწინებით: ცისფერი „თი ბი სი“-ს ფერი, ნარინჯისფერი – „საჭართველოს ბანკი“-ს ფერი), თვით ფერი უბრალოდ ფონია, რომელიც ქვეცნობიერად ზეგავლენას ახდენს და იდენტიფიკატორად ფუნქციონირებს. მაგალითად, შედებილი ბინის კედლები: ცისფერი კედლები – მშვიდ გარემოს ქმნის, ნათელი ბეჟი – სამუშაო კონფორტულ გარემოს; მსგავსად, ლიმონში, ცაში ან ლვინოში სხვა თვისებებს უფრო ვაქცევთ ყურადღებას, ვიდრე ფერს: ამ დროს ფერის უშუალო შეგრძნება სუსტდება, რთულდება და ბუნდოვანი ხდება, ჩნდება საჭიროება გარკვეულ იქნას და დაფიქსირდეს კავშირი სისტემაში – “ადამიანი-ფერი”.

XVI ს-ის დასასრულს, ლომაცო წერდა “ფერთა ენაზე” საერთო ცხოვრებაში. XVII ს. როეე დე პილი აფიქსირებს დამკვიდრებულ შეხედულებებს სხვადასხვა ფერების ემოციურ გამოხატვაზე. და ბოლოს, XVIII ს-ის დასასრულს და XIX ს-ის დასაწყისში გოეთემ განაზოგადა ეს პრობლემა თავის ნაშრომში – “მოძღვრება ფერზე”. ფერთა სიმბოლიკის პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული, როგორც ფერის ფსიქოლოგიურ ზემოქმედებასთან, ასევე მის სისტემატიკასა და კლასიფიკაციასთან. კულტურის სათავეებთან ფერი სიტყვის ტოლფასი იყო, ანუ წარმოადგენდა სხვადასხვა საგნებისა და ცნებების სიმბოლოს. მსოფლიოში არსებულ ფერებს შორის ყველაზე მდგრადი სიმბოლო ყველაზე უბრალო, ანუ ძირითადი ფერები აღმოჩნდა. საზოგადოებაში ფერთა სიმბოლიკის როლი მის აზროვნებაში მითოლოგიზმთან არის პროპორციული. რაციონალიზმის ზრდასთან ერთად მცირდება სიმბოლიკის როლი [52, 16].

ჩვენს დროში ფერთა სიმბოლიკა თავის პოზიციებს საწარმოო ობიექტებისა და სატრანსპორტო სიგნალიზაციის ფუნქციურ შეფერილობაში ინარჩუნებს. უფრო რთულ შემთხვევებში, მაგალითად, ხელოვნებაში, ფერთან მოჰყრობა ისეთივე უკონტროლოა, როგორც სიტყვასთან. კოგნიტური ანალიზისას მნიშვნელოვანია ჩატარდეს ფერთა ლექსიკის სისტემის სემანტიკური ანალიზი. ხშირად ლინგვისტები წერენ, რომ “სუფთა” ლინგვისტიკა უგულებლყოფს ენობრივი ცნობიერების ფაქტს. სინამდვილეში კი ის მუდმივად მიმართავს ფერთა ცნობიერებას, მაგრამ ამას იმპლიციტურად აკეთებს, ხოლო კოგნიტური ანალიზი მოითხოვს ამას ექსპლიციტურად.

რა არის მნიშვნელოვანი ლინგვისტური თვალსაზრისით? ის რაც ხდება ადამიანის თვალის ბადურაში თუ მის თავში, თუ მთავარია რას ფიქრობენ ადამიანები იმაზე რასაც ხედავენ? რა თქმა უნდა ლინგვისტური თვალსაზრისით ბევრად მნიშვნელოვანია რას ფიქრობენ ადამიანები იმაზე, რასაც ხედავენ. რაც არ უნდა ხდებოდეს ბადურაში ან თავში, ისინი ამას სხვა ადამიანებს უნდა უკავშირებდნენ. მათ კონცეპტუალურად უნდა დააკავშირონ ეს იმასთან, რის გადაცემასაც შეძლებენ სხვა ადამიანებისთვის. ისინი ამას შეძლებენ საყოველთაოდ მიღებულ პროტოტიპებთან შინაგანი სურათების [internal images] დაკავშირებით.

რა არის ფერი? ფერი ისევე როგორც ფორმა, წარმოადგენს ადამიანის ცნობიერების ასპექტს, ისე მჭიდროდ დაკავშირებულს აღქმასთან (perception), რომ ამის ანალიტიკური გაგების ყოველი მცდელობა შესაძლებელია არც იყოს

საჭირო. ეს შესაძლებელია ისეთ სიტყვებს ეხებოდეს, როგორიცაა: blue, red, long, round და უფრო მეტიც, ისეთ ზოგად სიტყვებს, როგორიცაა: ფერი (color) და ფორმა (shape) თავისთავად. ადამიანთა უმრავლესობისთვის ამ ტიპის სიტყვები ძირითადი და დაუნაწევრებელია (nondecomposable), მაგრამ, ამავე დროს, დამალულია სიტყვების – ფერი და ფორმა – მნიშვნელობა. ეს სიტყვები შინაგანი კომპლექსური სისტემის მატარებელია, რომელიც აგრეთვე შეიძლება განისაზღვროს.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ გვაინტერესებს ფერის კვლევა. ფერის “color” ცნება შეიძლება განისაზღვროს – წერს ლეიბნიცი – რადგან ფერი იმას გულისხმობს, რასაც მხოლოდ მხედველობით აღვიქვავთ [140, 128]. მაგალითად, ფორმა შესაძლებელია შეხებით აღვიქვათ, ხოლო ფერის აღსაქმელად აუცილებელია მხედველობა. აგრეთვე, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ვიზუალური დესკრიპტორი არ წარმოადგენს ფერის აღმნიშვნელ სიტყვას. მაგალითად, ინგლისურში dark და light წარმოადგენს ვიზუალურ დესკრიპტორებს, მაგრამ არა ფერის აღმნიშვნელ სიტყვებს. ისინი უფრო შუქს განვითვნებიან, ვიდრე ფერს. მაგალითად, პარგრეივი წერს, რომ პომადებისთვის (ავსტრალიელი აბორიგენები) საჭიროებას არ წარმოადგენს სხვადასხვა ფერების აღმნიშვნელი სიტყვების არსებობა, რომლებსაც ისინი განასხვავებენ თავის ვიზუალურ მითში [120, 200-206]. საჭიროებას წარმოადგენდა ტრადიციულ სურათებში გამოყენებული პიგმენტების გარჩევა და პიგმენტების აღმნიშვნელი სიტყვები უკვე დამკიდრებულია. სხვა საგნების გარეგნული ფორმა ასევე შეიძლება აღიწეროს ამ პიგმენტების გარეგნული სახის შედარებისას, მაგრამ ასეთი აღწერა არ გამოყოფს ფერს სხვა ვიზუალური მახასიათებლებისაგან. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ფერის ცნება არც არსებობდა მათ საზოგადოებაში, მაგრამ ინგლისურენოვანი საზოგადოების გავლენით, ინსლისურენოვანმა ავსტრალიურმა საზოგადოებამ გადმოიღო ფერის ცნება. ეს ადასტურებს იმას, რომ სხვადასხვა კულტურებში ფერის აღქმაც განსხვავებულია და ამ აბორიგენების კულტურაში ფერის ცნება დაყვანილი იყო შუქის ცნებამდე (სადაც განსხვავება იყო bright-sun, fire, blood, ანდა უშუქობაზე, lack of brightness). ეს ფაქტი პირდაპირ ეწინააღმდეგება ბერლინისა და ქეის პარადიგმის მიხედვით ფერთა ლექსიკის უნივერსალური კონცეპტუალური მოდელის განვითარების თეორიას და ამის შესახებ წერს ვეჟბიცკაც. თუმცა, აქ საჭიროა შევეხოთ დროის საკითხს, რადგან ის, რაც ენაში აქამდე არ გამოვლინდა, არ გამორიცხავს იმას, რომ დიდი

ალბათობით, კულტურული კავშირების საშუალებით ახლა განვითარდება. უნდა დავეთანხმოთ, რომ ეს არ არის ფერთა უნივერსალიები, არამედ ვიზუალური სემანტიკის უნივერსალიებია, როგორც მას ვეშტიცა უწოდებს. ფერების აღმნიშვნელი სიტყვები ძალიან მნიშვნელოვანია კაცობრიობისთვის და ყოველი საზოგადოება, როგორც ვიზუალური სემანტიკის მატარებელი, თავისებურად გამოხატავს მას.

ვან ბრაკელი წერს: “ნეიროფსიქოლოგიური გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ბადურასა და ტვინის ქერქს შორის ფერის გადამუშავება ძალიან ბუნდოვანია ფორმასთან დაკავშირებული სხვა ვიზუალური ინფორმაციის გამო: ტექსტურა, მოძრაობა და სხვა ცვლილებები. არ უნდა გვიკვირდეს, რომ მსოფლიოს ენების ზედაპირული შესწავლა გვაძლევს, არა მარტო ძირითადი ფერების კატეგორიის ალტერნატიულ სისტემებს, ანდა ამ სისტემების საერთოდ არქონას, აგრეთვე უამრავი ფერების აღმნიშვნელ სიტყვებს, რომელთაც ბუნდოვანი და ცვალებადი მსგავსება აქვთ. ტვინი ამას არ ეწინააღმდეგება და გონება ყველაფერ ამას ემორჩილება” [173, 100-135]. მაგრამ ყველაფერი ზემოთქმული არ არის საკმარისი იმისათვის, რომ უარვყოთ ბერლინისა და ქვის თეორია და არც იმისთვის არის საკმარისი, რომ დავეთანხმოთ ვეშტიცას. ადამიანის ტვინს არ დააკმაყოფილებს დეკონსტრუქცია, მაგრამ ის ახალ ანალიზებს და სინთეზებს თხოულობს.

ფერის ცნება არსებობს და არ არის მნიშვნელოვანი, ვინ როგორ უწოდებს მას color ან სხვა რამეს. ლინგვისტის მთავარი ამოცანაა არსებულ თეორიებზე დაყრდნობით განავითაროს ეს საკითხი ენის დინამიკის შესაბამისად. ადამიანი, რომელიც წინასწარ ცდილობს რაიმეს არსებობის ან არარსებობის დამტკიცებას, წარუმატებლობისთვის არის განწირული, ხოლო ის ვინც საკითხს სწავლობს, როგორც პროცესს, აუცილებლად რაიმე დასკვნებამდე მივა.

წინამდებარე ნაშრომიც ერთ-ერთი მთავარ მიზნად ისახავს ფერთა ლექსიკის კრეატიული პროცესის, ამ ლექსიკასთან მიმართებაში ნომინაციის პროცესის შესწავლას კოგნიტური ანალიზის მეშვეობით.

12. დე სოსიურიდან კოგნიტური ლინგვისტიკისაკე


მოცემულ კვლევაში, ყურადღებას ვამახვილებთ რა უპირატესად სამეტყველო შემოქმედებაში ნომინაციის პროცესების მოქმედების სფეროზე, ამავე დროს სხვა მიზნებსაც ვისახავთ: ვაჩვენოთ რისი მოცემა შეუძლია

თანამედროვე ენის თეორიას სამეტყველო შემოქმედების ანალიზისათვის და პირიქით, რისი მოცემა შეუძლია სამეტყველო შემოქმედების გამოკვლევას მისი ისეთი კარდინალური ცნებებისათვის, როგორიცაა: ენობრივი მნიშვნელობის ცნება, ენობრივ სისტემაში განსხვავებული დონეების თანაფარდობა, ენის ერთეულების დანიშნულება (მათ შორის, ნომინაციის სხვადასხვა ერთეულების), დაზუსტება, რომელიც დაკავშირებულია მათი როლის გაგებასთან ენის ფუნქციონირებისას და მათ გამოყენებასთან მოსაუბრის მიერ ენის წარმოქმნისას.

- ენის დაუფლება
- გამოყენება
- გაგება

მოცემულ კვლევაში საინტერესო იქნება განვიხილოთ ენის დაუფლება, გამოყენება და გაგება. კონკრეტულად მოცემულ კვლევაში გვაინტერესებს თუ როგორ ფუნქციონირებს ფერის აღმნიშვნელი ლექსიკა ენაში, როგორ ივსება სიტყვის „შინაგანი“ ფორმა ახალი შინაარსით და რა განაპირობებს ნომინაციის შემოქმედებით პროცესს ამ სიტყვის ფართო გაგებით.

სოსიურის ტრაქტატში სამეტყველო ქმედება (პროცესი) (language) წარმოადგენდა ენის შესახებ ყველა ფაქტის ერთობლიობას. შესაბამისად, სამეტყველო ქმედების ცნება მასთან განეკუთვნებოდა ენის გამოყენების პროცესსა და შედეგს ერთდროულად, აგრეთვე ამ გამოყენების სოციალური პირობების აღნიშვნას და მოსაუბრის ინდივიდუალურ უნარს. აქედან მოდის ფ. დე სოსიურის ცნობილი სქემა, სადაც სოსიური ოთხ მოვლენას აკავშირებს ერთმანეთთან.



მეტყველების ინდივიდუალური აქტები

(სქემა № 1)

სოსიურისეული ენისა და მეტყველების დიქოტომიის კრიკელი კომენტირებისას, მომავალი მკვლევარები ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას იმ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ ოთხი აღნიშნული მოვლენის პარალელურად სოსიური კიდევ ერთს გამოჰყოფს: მეტყველების ინდივიდუალურ აქტს, რომლის წყალობით მისი სქემა შესაძლებელია გავრცობილ იქნას შემდგომში. მაშინ გასაგებია, რომ სამეტყველო ქმედება ეყრდნობა ერთჯერადს (მოსაუბრის ინდივიდუალური უნარი) და ზოგადს (ენა, რომელიც ენიჭება მას, როგორც კოლექტივის წევრს), რაც შემდგომში ვლინდება ლაპარაკში (მეტყველებაში), რომელიც აგებულია ურთიერთობის ინდივიდუალური აქტებისაგან. აქ უკვე სხვა საფუძველზე სამეტყველო მექანიზმები (ფსიქოფიზიკური და სხვ) და საკუთრივ ენობრივი ცოდნა უპირისპირდება ერთმანეთს. იქმნება მეტყველების თავისებური წრე: იმისთვის რომ ილაპარაკონ, ადამიანები უნდა ფლობდნენ ენას, მაგრამ ამ ცოდნის მიღებისთვის საჭიროა ენის „გამოყოფა“ სამეტყველო მასალიდან (სამეტყველო ქმედების ფაქტებიდან და შესაბამისად, იქიდან, რაც მოცემულია მეტყველების ინდივიდუალურ აქტებში).

ასეთ წრეს (რეალურად არსებულს) კუბიკოპოვა შემდეგი სქემით წარმოგვიდგენს, რომელშიც აღწერილი მოვლენები თითქოს ახალ ურთიერთდაპირისპირების სისტემაში ერთვება [44, 8].

(სქემა №2)

სამეტყველო შემოქმედება (პროცესი)

ენა


(language)

(langue)

მეტყველება

ინდივიდუალური სამეტყველო აქტი

(parole)



ზედა და ქვედა წერტილები სქემაში შეესაბამება სოსიურის ოპოზიციას უშუალოდ დაკვირვების ქვეშ არმყოფსა და უშუალოდ დაკვირვების ქვეშ მყოფს შორის, ხოლო მარცხენა და მარჯვენა წერტილები – ინდივიდუალურისა და სოციალურის ოპოზიციას. თუმცა ლინგვისტიკის „გურსში“ (XX ს. შუა

პერიოდი) არაერთხელ არის ხაზგასმული მოსაზრება სამეტყველო პროცესების პასიური ხასიათის „შესახებ, რამდენადაც მეტყველება იკვეთება როგორც არსებული ენის „შესრულება“ (აქედან გამომდინარე არსებობს ენის, სიმფონიის შესრულებასთან „შედარება“). ინდივიდუალურ სამეტყველო აქტში ეს „საშემსრულებლო“ აქტი მკაფიოდ უპირისპირდება ენობრივს. ენის მოქმედების სფერო უკავშირდება სამეტყველო აქტის მხოლოდ იმ ნაწილს, „სადაც სმენითი გამოსახულება ასოცირდება ცნებასთან“, ანუ სემიოზისისა და ნომინაციის აქტთან [67, 52].

კუბრიაკოვა წერს, რომ ადამიანისგან მომდინარე და სხვა ადამიანებისკენ მიმართულ სამეტყველო შემოქმედების ანალიზისას შეუძლებელია არ იყოს გათვალისწინებული ადამიანის ფაქტორი: მეტყველების მექანიზმები არსებობენ ადამიანში და გამოიყენება, მოქმედებაში მოდის მოლაპარაკე ადამიანის მხრიდან [44, 10]. ენის მექანიზმები, როგორც ათასწლეულების განმავლობაში გამომუშავებული ენის გამოყენება თავისი მრავალგვარი ფუნქციით, მიღიარდობით მოლაპარაკეთა მიერ ენის გამოყენების პრაქტიკის ასახვა, დღემდე წარმოადგენს მოლაპარაკე ადამიანთა ნებითა და გონიო განხორციელებულ ქმედებებსა და ოპერაციებს და ამდენად დამოკიდებულია მათ ბიოლოგიურ, კოგნიტურ და სოციალურ შესაძლებლობებზე, მათ ინდივიდუალურ ენობრივ უნარზე და სხვ. ამასთან ერთად, სამეტყველო შემოქმედება – ეს არის შემოქმედება, რომლის მსვლელობისას გამოიყენება ენა. ამავე დროს, მეტყველებას საფუძვლად უდევს არა იმდენად ენის გამოყენება, რამდენადაც ენისადმი და მისი ამოუწურავი შესაძლებლობებისადმი მიმართვა. პირველი გვაფიქრებინებს, რომ გამოიყენება რადაც უკვე არსებული, წინასწარ მოცემული, „მზა“ სისტემის სახით; მეორე, პირიქით, ხაზს უსვამს შედარებით თავისუფლებას, რომელიც ენის სისტემაში არსებულ ერთულებსა და კანონებს ეყრდნობა.

ლინგვისტის ამოცანაა აჩვენოს და ახსნას, როგორ ხორციელდება ენობრივი რესურსები სამეტყველო აქტებში მოლაპარაკეთა მიერ და ენობრივი სისტემის კერძოდ რომელი შემადგენელები ახასიათებენ სამეტყველო ქმედების ცალკეულ ეტაპებს. მაგრამ ახლა სამეტყველო ქმედების ყველაზე საინტერესო ასპექტიდ წარმოგვიდგება სწორედ ის, რომელიც ახსნის, თუ როგორ ერთგება ენობრივი სისტემა ადამიანის მეტყველებაში და მისი დახმარებით როგორ ხდება

მეტყველების დროს წარმოქმნილი გამონათქვამების და ამ გამონათქვამთა ჯაჭვის ორგანიზება – ტექსტიდ, ენობრივ მასალად.

ლინგივსტები იზღუდებიან მხოლოდ იმის კონსტატაციით, რომ სამეტყველო აქტი მიმდინარეობს ისეთი ფენომენის დახმარებით, როგორიცაა მეტყველება (ლაპარაკი), ენისადმი მიმართვით, როგორც ამ აქტში გამოყენებულ ერთეულთა და კანონთა წყაროსთან და მიმართულებით სხვის მიერ მეტყველების აღქმისკენ. სამეტყველო ქმედება – ეს რთული წარმონაქმნია სწორედ იმიტომ, რომ აერთიანებს ყველა იმ დიალექტიკურ წინააღმდეგობებს, რომლებსაც ენისა და მეტყველების დიქოტომიას მიაწერდნენ. როგორც სამართლიანად შენიშნა ა.ა. ხოლოდოვიჩმა, „ენა უპირისპირდებოდა მეტყველებას, ხან როგორც სოციალური – ინდივიდუალურს, ვირტუალური – აქტუალურს, აბსტრაქტული – კონკრეტულს, კოდი – შეტყობინებას, პარადიგმატიკა – სინტაქმატიკას, სინქრონია – დიაქრონიას, ნორმა – სტილს, სისტემა (“უჯრედები”) – მის რეალიზაციას (შევსებული და „ცარიელი“ უჯრედები), ხან კი როგორც [თანდაყოლილი] მისი უნარის (competence) გამოყენება (performance) ხომსკის მიხედვით და ა.შ. ერთნი ამ დიქოტომიას ენერგია-ergom ჰუმბოლდტის დიქოტომიასთან აკაგშირებდნენ, სხვანი – და უსაფუძვლოდ – taulias და tabelencis Sprache-Rede დიქოტომიასთან [80, 20-30]. მაგრამ ნებისმიერი ინტერპრეტაციის შემთხვევაში არავინ უარყოფდა იმ კარდინალური დიქოტომიის არსებობას, რომლებზეც ადამიანთა საზოგადოების სამეტყველო ქმედების „დანაწევრება“ ხდება [79, 23]. ტერმინი „სამეტყველო შემოქმედება“ კუბრიაკოვასთან უფრო განსაზღვრული: აქ ნათლად არის ხაზგასმული განსახილველი მოვლენის დინამიკური და პროცესუალური არხი.

სამეტყველო ქმედების განხილვასთან დაკავშირებით, ძირითადი პრობლემა არის საკითხი, როგორ ლაპარაკობს ადამიანი და როგორ წარმოიქმნება სამეტყველო ნაკადი და ბოლოს, რა ადგილი უჭირავს ამ პროცესში ნომინაციის აქტებს და მოვლენებს.

ჯერ კიდევ ლ.ვ. შერბას ნაშრომებში სოსიურისეულ თეორიებისგან მოწყვეტა პირველ რიგში, აღნიშნულია მეტყველების სოციალური ბუნებისა და მისი შემადგენელი მეტყველების ცალკეული აქტების აღიარებით. არ არსებობს სამეტყველო ქმედების ისეთი ასაექტები – აღნიშნავდა ლ.ვ. შერბა – რომლებიც მთლიანად განცალკევებულია სოციალურისგან ან სოციალურად არ არიან განპირობებულნი [81, 29]. სოციალურია აგრეთვე მეტყველების ინდივიდუალური

აქტიც, რადგან იგი მიმართულია მოსაუბრისადმი და გათვლილია მის გაგებაზე. სწორედ სამეტყველო აქტების ლინგვისტური, ფსიქოლინგვისტური და სოციოლინგვისტური თვალსაზრისით, ანალიზის შედეგად ხდება სამეტყველო ქმედების კვლევის აგება; კვლევის სხვადასხვა ამოცანები ავითარებენ ამავე დროს მკვლევარის ყურადღების გამახვილებას სამეტყველო აქტების ამა თუ იმ რაკურსზე და სამეტყველო აქტის ისეთ შემადგენელზეც, როგორიცაა სამეტყველო გამონათქვამი.

ლაპარაკის და გაგების პროცესები – ეს პირველ რიგში სამეტყველო აქტია, რომლის განხორციელების მსვლელობაშიც წარმოიქმნება სამეტყველო მასალა და თუმცა, რა თქმა უნდა პრაგმალინგვისტიკის გაჩენასთან ერთად და მასში სამეტყველო აქტების თეორიის ჩართვით, თავად სამეტყველო შემოქმედების თეორიაში აღინიშნება არსებითი გარდაქმნები. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხოლოდ პრაგმალინგვისტიკის ან კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფორმირებით იწყება სამეტყველო ქმედების თეორიის საფუძვლების ჩაყრის მცდელობები. უფრო მეტიც, იმისათვის, რომ შედარებით ადეკვატურად აღიწეროს ობიექტი, რომელიც მიკროსამყაროს განეკუთვნება, იგი უნდა აღიწეროს ურთიერთგამომრიცხავ, დამატებით სისტემებში, მაგალითად, ერთდროულად როგორც კონტექსტი და როგორც კონტექსტის შემადგენელი ნაწილი. XX საუკუნის რესილინგვისტი ვ.ვ. ნალიმოვი დამატებითობის პრინციპის კულტუროლოგიური მნიშვნელობის ინტერპრეტაციას შემდეგნაირად ახდენს: „კლასიკური ლოგიკა არ ყოფილა საკმარისი გარე სამყაროს აღწერისათვის. ფილოსოფიურად გააზრების მცდელობისას ბორმა ჩამოაყალიბა თავისი ცნობილი დამატებითობის პრინციპი, რომლის თანახმადაც ნიშანთა სისტემის ერთიანი მოვლენის გამოსახვისთვის აუცილებელია ცნებების ურთიერთგამომრიცხავი, დამატებითი კლასები. ბორს თავად კარგად ესმოდა მის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპის მეთოდოლოგიური მნიშვნელობა: „ცოცხალი ორგანიზმების, ცნობიერების მქონე ადამიანებისა და კაცობრიობის კულტურების მთლიანობა წარმოადგენს მთლიანობის ნიშნებს, რომელთა ასახვა თხოულობს ტიპურ დამატებით აღწერის საშუალებას“ [193].

დამატებითობის პრინციპი არსებითად იმის აღიარებაა, რომ მკაფიოდ აგებული ლოგიკური სისტემები მეტაფორების მსგავსად მოქმედებენ: „ისინი წარმართავენ მოდელებს, რომლებიც მოქმედებენ, ან არ მოქმედებენ როგორც გარე სამყარო. ერთი ლოგიკური კონსტრუქცია არასაკმარისი ყოფილა მიკროსამყაროს მთელი სირთულის აღსაწერად. სამყაროს სურათის აღწერის

დროს საყოველთაოდ მიღებული ლოგიკის დარღვევის მოთხოვნა მთელი სიცხადით პირველად კვანტურ მექანიკაში გაჩნდა, და სწორედ ამაშია მისი განსაკუთრებული ფილოსოფიური მნიშვნელობა“. მოგვიანებით, კულტურის სემიოტიკის აღსაწერად ი.მ. ლოტმანმა გამოიყენა დამატებითობის თეორიის გაფართოებული გაგება. აი, რას წერდა იგი: „...კულტურის მექანიზმი შემდეგნაირად შეიძლება აიწეროს: მოაზროვნე ინდივიდუალურობის ხელო არსებული ინფორმაციის უკმარისობა ქმნის საჭიროებას, რომ მან სხვა, ასეთსავე ერთეულს მიმართოს. თუკი წარმოვიდგენთ არსებას, რომელიც მოქმედებს სრული ინფორმაციის პირობებში, მაშინ ბუნებრივი იქნებოდა ვივარაუდოთ, რომ მას არ დაჭირდება თავისი მსგავსი, სხვა ვინმე, გადაწყვეტილების მისაღებად. ადამიანისათვის ნორმალურ სიტუაციად ითვლება არასაკმარისი ინფორმაციის პირობებში მოქმედება. რამდენადაც არ უნდა განვავრცოთ ჩვენი მონაცემების არე, ინფორმაციის საჭიროება უფრო ვითარდება და წინ უსწრებს ჩვენი სამეცნიერო პროგრესის ტემპს. ამდენად, ცოდნის შეძენა არ განაპირობებს არცოდნის შემცირებას, პირიქით. ხოლო საქმიანობა, რომელიც უფრო ეფექტური ხდება, არ იოლდება, არამედ უფრო რთულდება.

გარკვეული აზრით, დამატებითობის პრინციპი ბორმა იმის წყალობით ჩამოაყალიბა, რომ კურტ ბედელის მიერ დამტკიცებული იყო ე.წ. არასრული დედუქციური სისტემების თეორემა (193). გედელის დასკვნის შესაბამისად – სისტემა ან არა ურთიერთგამომრიცხავია, ან არასრულია. აი, რას წერს ამის შესახებ ვ.ვ. ნალიმოვი: „გედელის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ ჩვეულებრივად გამოყენებადი არა ურთიერთგამომრიცხავი ლოგიკური სისტემები, რომელთა ენაზე გამოისახება არითმეტიკა, არასრულია [193]. არსებობს ამ სისტემების ენაზე გამოსახული ჭეშმარიტი მტკიცებულებები, რომელთა დამტკიცება ამ სისტემებში შეუძლებელია. ამ შედეგებიდან აგრეთვე გამომდინარეობს, რომ ამ სისტემების აქსიომების ვერცერთი მკაცრად ფიქსირებული გაფართოება ვერ გადააქცევს მას სრულ სისტემად, ყოველთვის გამოჩნდება ახალი ჭეშმარიტებები, რომლებიც მისი საშუალებებით ვერ გამოისახება, მაგრამ მისგან განუყოფელია. გედელის თეორემის ზოგად დასკვნას უდიდესი ფილოსოფიური მნიშვნელობა აქვს: ადამიანის აზროვნება მის დამატებითობის ფორმებზე უფრო მდიდარია. სხვა ფიზიკური მდგომარეობა, რომელსაც აგრეთვე გააჩნია ფილოსოფიური არსი და უშუალოდ ეხება დამატებითობის პრინციპს, წარმოადგენს XX საუკუნის დიდი გერმანელი

ფიზიკოსის, ვერნერ გეიზენბერგის მიერ ჩამოყალიბებული ქ.წ. გაურკვევლობათა თანაფარდობა. ამ დებულების თანახმად, შეუძლებელია მიკროსამყაროს ორი ურთიერთდამოკიდებული ობიექტის თანაბრად ზუსტად აღწერა. თუკი ჩვენ გვაქვს სიზუსტე ერთ განზომილებაში, იგი დაიკარგება მეორეში. ამ პრინციპის ფილოსოფიური ანალოგია ჩამოყალიბებული იყო ლუდვიგ ვიტგენშტაინის ბოლო ტრაქტატში „უტყუარობის შესახებ“. იმისათვის, რომ ეჭვი შევიტანოთ რამეში, რაღაცა უეჭველი უნდა იყოს. ჩვენ ვიტგენშტაინის ამ პრინციპს „კარების ანჯამის პრინციპი“ ვუწოდეთ. ვიტგენშტაინი წერდა: „საკითხები, რომლებსაც ჩვენ ვსვამთ და ჩვენი ეჭვები ეფუძნება იმას, რომ ზოგიერთი წინადაღება თავისუფალია ეჭვებისგან, რომ ისინი თითქოს ანჯამებია, რომლებზეც ბრუნავს ყველა კითხვა და ეჭვი. ანუ, ეს განეკუთვნება ჩვენი სამეცნიერო გამოკვლევების ლოგიკას, რომ გარკვეული საგნები სინამდვილეში უეჭველია. თუკი მე მინდა, რომ კარმა იბრუნოს, ანჯამები უძრავი უნდა იყოს“ [193].

ამდენად, მიგვაჩნია რომ დამატებითობის პრინციპს ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს კოგნიტური ანალიზის დროს, რასაც ლინგვისტურ პრაქტიკაში კანონზომიერად განაპირობებს პოსტმოდერნიზმის ფენომენის გაჩენა, რომელსაც მთავარ ესთეტიურ პრინციპამდე აჰყავს ენების დამატებითობის იდეა. ლინგვისტის ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ აჩვენოს ენის ყველა გამოვლინების განმარტების შესაძლებლობები ენათმეცნიერების და არა მითების ცოდნის თვალსაზრისით და სხვა დისციპლინებს მოუხმოს გარკვეული საკითხის გაანალიზებისას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ფერის აღმნიშვნელი სიტყვების ნომინაციის პროცესის შესწავლაში გვეხმარება ასევე ხელოვნება, ფსიქოლოგია და სხვა დისციპლინები. გარდა ამისა, საჭიროა სიტყვის ანალიზი, როგორც იზოლირებულად ასევე კონტექსტში, მეტყველებაში, და უდაოდ, უფრო მეტად გამოყენებაში. სანამ განვიხილავთ ფერის აღმნიშვნელი სიტყვების ნომინაციას კონკრეტულად, საჭიროა განვიხილოთ ენობრივი ნომინაციის პროცესი ზოგადად.

I.3. ენობრივი ნომინაცია

ტერმინი „ნომინაცია“ მარტივად შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც ნიშნადი ენობრივი ერთეულების შექმნა (სიტყვების, ფორმებისა და წინადაღებების). სინამდვილეში ნომინაცია განსაკუთრებულად როგორი

მოვლენაა, რომლის არსის გაგებაც დაკავშირებულია პრობლემების მთელი კომპლექსის გადაწყვეტასთან. ასეთ პრობლემებს პირველ რიგში განეკუთვნება სიტყვის სპეციფიკა, გარესამყაროს ცნობილი იდეალიზაცია და დემატერიალიზაცია, რომელიც დაკავშირებულია ენობრივი ნიშნების სისტემის შექმნასთან, სიტყვისა და მისი აღმნიშვნელი ცნების ურთიერთკავშირთან, გაგებასთან, მნიშვნელობასა და ასახვასთან, პირველი და მეორე სასიგნალო სისტემების განსაზღვრასთან პროცესში, და ა.შ.

ენის ნომინალური ასპექტის თავისებურება პირველ რიგში წარმოადგენს იმას, რომ ბუნებრივი ენის ნიშნებს სხვა დანარჩენისაგან განსხვავებით გააჩნიათ ორმაგი შესაბამისობა (რეფერენცია) საგნობრივ რიგთან (1); ნომინაციური ნიშნების სახით – სიტყვებისა და სიტყვათა შეთანხმება – ნომინაციის სისტემაში, პრაგმატიკაში (2); პრედიკატული ნიშნები – ფრაზები, აქტუალურ მეტყველებაში გამონათქვამები – შემადგენლობაში ან ამ სახით. სინტაგმატიკაში შესაბამისად გამოიყოფა ენობრივი ერთეულების ნიშანდების ორი პრინციპი: სემიოლოგიური და სემანტიკური.

ენობრივი მნიშვნელობის ჩამოყალიბების პროცესში მონაწილეობს და ასახვას პოულობს ერთმანეთთან ურთიერთკავშირში მყოფი გნოსეოლოგიური სიტუაციების სამივე ელემენტი – შემცნობი ობიექტი (ადამიანი), შეცნობადი ობიექტი (რეალური სინამდვილე) და ენობრივი ნიშანი (ენა).

ადამიანის ენა უფრო მეტად განიხილებოდა აზროვნების განხორციელების საშუალებად, იმ დროს, როდესაც ენის შესწავლა, როგორც საგნობრივი სამყაროს იდეალიზაციისა და მისი ობიექტივიზაციის საშუალება შრომითი საქმიანობის პროცესში, ნაკლებად შეისწავლებოდა.

მეტწილად იკვლევდნენ ლოგიკურ კატეგორიებს, რომელიც აღიქმებოდა აზრისა და სინამდვილის თანხმობის, აზროვნების საგნობრივი შინაარსის ერთადერთ ფორმად, ხოლო როგორ არის იგი ასახული კონკრეტული ენების ლექსიკურ და სემანტიკურ კატეგორიებში, არ იყო საკმაოდ გამოკვლეული. ენის კვლევის ამ უკანასკნელ რაკურსს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ენობრივი ნომინაციების სპეციფიკის განსაზღვრისას. ენის მატერიალისტური განსაზღვრა როგორც სოციალური მოვლენისა, ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალებისა და აზრის უშუალო სინამდვილისა, ლინგვისტს ავალებს შეისწავლოს და გაითვალისწინოს ადამიანის ცოდნისა და ენის არა მარტო დინამიკა და დიალექტიკა, არამედ გამოიყენოს ისტორიული მატერიალიზმი,

რომელიც ხსნის მატერიალური წარმოებისა და კულტურულ-ისტორიული გამოცდილების კონკრეტულ პირობებს და ფორმებს და ასახვას პოულობს ლექსიკური ერთეულების ნომენკლატურის თავისებურებებში და ნიშნების სხვაობაში, რომლის მიხედვითაც წარმოებს სახელდება.

ენის ნომინატური ასპექტის ადეპვატური შესწავლა პირველ რიგში მოითხოვს მის შინაარსობრივ კვლევას, ენის, აზროვნებისა და სინამდვილესთან ურთიერთმოქმედების შესწავლას. ლინგვისტური ოქორიის ასეთმა მდგომარეობამ საყოველთაო ინტერესი გამოიწვია ენის, აზროვნებისა და სინამდვილის ურთიერთკავშირის პრობლემისადმი. ეს კავშირი უშუალოდ ვლინდება სემიოზისის პროცესში, დასახელების ნიშნების მხრივ, სადაც ერთიანდება აზრი (აზროვნების აღქმითი ფორმა), სახელი (ენობრივი ფორმა) და სინამდვილე (არაენობრივი ობიექტების აღმნიშვნელი). მის დინამიკაში ამ ურთიერთობის კვლევა ნიშნავს სემიოლოგიური პროცესის შუაგულში შედწევას, სამეტყველო-აზრობრივი მოქმედების სიღრმის ჩაწვდომას, რომლებიც არსის სინთეზის საწყისში, ენობრივ ფორმასა და აღნიშნულ სინამდვილეში დევს.

ნომინაციის კანონზომიერებების ცოდნას თან სდევს ენაში ადამიანის ფაქტორის როლის უფრო დრმა გაგება, ენის სისტემისა და სტრუქტურის ყველა მონაწილის ფუნქციური ურთიერთმოქმედების გამომჟღავნება, რადგანაც ენობრივი ტექნიკა მოწოდებულია განახორციელოს აზრობრივ-კომუნიკაციური მოთხოვნილებები და ადამიანის განზრახვა. აქედან გამომდინარეობს პრობლემის აქტუალობა, რომელიც დაკავშირებულია აღნიშვნის პროცესთან და შედეგებთან და, პირველ რიგში, ენობრივი ნომინაციის თეორიაში გადაწყვეტას ექვემდებარება. ასეთი თეორიის ამოცანას და სფეროს წარმოადგენს იმ კანონზომიერებების კვლევა და დასკვნები, თუ როგორ აისახება სინამდვილე ნომინაციის კატეგორიებში, როგორ ხორციელდება ენობრივი ფორმების მნიშვნელობებში, როგორი გავლენა აქვს ადამიანების აზროვნებას და პრაქტიკულ ქმედებას საზოგადოების მიერ მიღებულ ენობრივ ნიშნებზე, მათ სემანტიკურ სტრუქტურაზე და ფუნქციონირების წესებზე.

გნოსეოლოგიურ-სემანტიკურ ასპექტში ნომინაცია წარმოადგენს სინამდვილის არასაგნობრივი ფაქტების სისტემაში, ენის სტრუქტურაში, ენობრივ მნიშვნელობებში, ყველაფერ იმაში ჩართვას, რაც ენის მატარებელთა ცნობიერებაში მათ საზოგადოებრივ გამოცდილებას ასახავს.

მ. დოკუმენტი წერდა: “აღქმისა და აზროვნების პირდაპირი “ენობრივი კორელაციები” უნდა გეძებოთ არა ენობრივი სისტემის, არამედ ენობრივი გამოსახვის, ენობრივი მანიფესტაციის არეში. აზრის პირდაპირი “ენობრივი” გამოსახვა – ეს სიტყვა არ არის, ეს არის ნომინაცია (დასახელება); აზრის პირდაპირი, “ენობრივი” გამოსახვა – ეს არა წინადაღება, არამედ გამონათქვამია” [33, 54].

ენობრივი აღნიშვნების პროცედურის შესწავლა, პირველ რიგში, დაკავშირებულია სიტყვების დამოკიდებულებასთან საგნების, სინამდვილის რეალური მოვლენების მიმართ. ვ.ვ. ვინოგრადოვი წერდა: “სისტემის გარეთ აღებული სიტყვები მხოლოდ სხვადასხვა ნიშნებს წარმოადგენენ, სინამდვილის იმ მოვლენებთა დასახელებებს, რაც საზოგადოებრივ ცნობიერებაშია ასახული. ერთსიტყვიანი დასახელებები, რომლებიც სიტყვიერ ნიშნებს წარმოადგენენ, უფრო მეტად ისწავლებოდა მათ მიერ შესრულებული ფუნქციების თვალსაზრისით. თუ სიტყვა მკაფიო აღნიშვნის საშუალებაა – იგი უბრალოდ ნიშანია, თუ კი იგი ლოგიკური განსაზღვრის საშუალებაა – ეს სამეცნიერო ტერმინია” [21, 37].

ნომინალურ ასპექტში სიტყვის სემანტიკის შესწავლის მესამე მიმართულებამ გამოხატულება პპოვა სრულმნიშვნელოვანი ლექსემების აზრობრივ სტრუქტურაში პირდაპირი და წარმოებული მნიშვნელობების გამოყოფით.

ვ.ვ. ვინოგრადოვმა სიტყვის აზრობრივ სტრუქტურაში პირდაპირი ნომინალური მნიშვნელობა განსაზღვრა როგორც ცენტრალური, რომელიც უშუალოდ თანაფარდია საგნებისა და მატერიალური სინამდვილის მოვლენებისა და რომელიც ამის გამო შესაძლებელია გამოვლინდეს არტეფაქტების შეცნობის შემთხვევაში. ამავე დროს, ეს უკანასკნელი ვლინდება აუცილებელი პირობის და სიტყვის აზრობრივი სტრუქტურის განსაზღვრის ობიექტური კრიტერიუმის სახით.

ამგვარად, სიტყვის პირდაპირი ნომინალური მნიშვნელობა სრულიად დეტერმინირებულია საგნობრივ რიგთან მისი თანაფარდობით (შეთანხმება, სისტემური დამოკიდებულება) და არანაირ შეზღუდვებს არ აწესებს მასზე.

ენობრივი ნომინაციის სპეციფიკის შესწავლის მეორე რაგურსმა ლინგვისტურ ნაშრომებში პპოვა ასახვა ენობრივი ერთეულების ორი მსხვილი ჯგუფის განცალკევების ფორმით: დასახელებების ნიშნები და გამონათქვამების

ნიშნები, სისტემური და სამეტყველო ერთეულები, პირველადი და მეორადი აღნიშვნის ერთეულები, ენობრივი ერთეულების მნიშვნელობების ჩამოყალიბება სემიოლოგიური და სემანტიკური პრინციპებით.

თანამედროვე ლინგვისტიკაში მკაფიოდ გამოიკვეთა ენობრივი ნომინაციის შესწავლის ახალი (მესამე) ასპექტი, რომლის დროსაც სამეტყველო ერთეულები – ნაწილობრივი ან სრული გამონათქვამები – ანალიზს ექვემდებარება.

ამგვარად, ნომინაციის ზოგად თეორიაში (ონომატოლოგია), ლექსიკოლოგიის იმ ნაწილთან ერთად, რომელიც შეიცავს ადამიანის შინაგანი და გარე გამოცდილების ცალკეული ელემენტების დასახელებებს, შედის სინტაქსის ნაწილიც, რომელიც მოვლენების სრული აღნიშვნის ხერხებს შეისწავლის.

რომ შევაჯამოთ, ნომინაციის პროცესში თითქოსდა ახალი რეალობა უთანხმდება გამოცდილებას. ამ თვალსაზრისით, მეტყველება არის ახალი რეალობისა და ენის შეთანხმება. ნომინაციის პროცესს კი ამ ნაშრომში განვიხილავთ ამ სიტყვის ფართო გაგებით: ეს არის არსებულის დანაწევრება და ჩასმა ჩარჩოებში პირადი გამოცდილების მიხედვით, მოწესრიგება (ordering) და ამავდროულად ”ჩარჩოების დარღვევა” არსებულ რეალობასთან შეთანხმებით.

1.4. შემოქმედებითი მიღებობა ნომინაციის პროცესის თეორიაში

ნომინაციის თეორია როგორც ლინგვისტიკის დამოუკიდებელი დარგი, რომელიც ენის ნომინაციასა და ნომინაციურ ფუნქციას იკვლევს, XX საუკუნის 70-იან წლებში აღმოცენდა. ნომინაციის თეორია პირველ რიგში დაკავშირებულია იმის გამორკვევასთან, თუ როგორ თანაფარდობაში იმყოფება აზროვნების ცნებითი (შემეცნებითი) ფორმები, როგორ იქმნება, მყარდება და ნაწილდება ობიექტური რეალობის ცალკეული ფრაგმენტების დასახელებები. ნომინაციის თეორიის საგანს წარმოადგენს აგრეთვე ნომინაციის პროცესებში ადამიანის აზროვნების, ენისა და სინამდვილის ურთიერთმოქმედების შედეგების შესწავლა. როგორც ე.ს. კუბრიაკოვა აღნიშნავს, ნომინაციის თეორიის ურადღების ცენტრში იმყოფება არა მხოლოდ ნომინაციის შედეგების ანალიზი, არამედ თავად ნომინაციის პროცესის ანალიზი [44, 9]. იმისათვის, რომ გასაგები იყოს ზეპირი გამონათქვამის აზრი, საჭირო ხდება ადამიანის იმ ქმედების შესწავლა, რომელ დარგშიც ხდება ამა თუ იმ რეალიის სახელის მინიჭება და

გამოყენება. ეს იწვევს ნომინაციის თეორიის პოსტულატის გაჩენას იმის შესახებ, რომ ენის ნომინაცია კომუნიკაციის კონკრეტულ აქტებში უნდა ისწავლებოდეს, ანუ იმ ქმედების კონტექსტში, სადაც ხდება ნომინაციის აქტი, როგორც რეალური სამყაროს ამა თუ იმ ობიექტების აღმნიშვნელი სახელწოდებების დაბადება. ადამიანის ქმედება ქმნის კონტექსტს, სადაც ენობრივი საშუალებები ერთმანეთთან ურთიერთობაში შემოდის და სინამდვილეს ასახავს: სრულყოფილი ზეპირი ნაწარმოებები და მათი შემადგენელი, შესაძლებელია ისწავლებოდეს მხოლოდ იმ ცოდნით, რომელიც მოიცავს ცოდნას სამყაროზე, გარკვეულ სოციალურ ნორმებზე, სადაც კაცობრიობის სინამდვილე მიედინება.

სიტყვის მნიშვნელობაში აისახება დასახელებული საგნის დამოკიდებულება სინამდვილესთან, სტილური კავშირითავისუფლება, აგრეთვე კულტურული კომპონენტი. ერთად აღებული ეს ელემენტები სიტყვის სემანტიკურ სივრცეს ქმნიან. თუ მხედველობაში მივიღებთ სიტყვის სემანტიკურ მოძრაობას (დინამიურობას), ჯ. ტომასი თავის ნაშრომებში აღნიშნავს, რომ სიტყვა თავის ჭეშმარიტ მნიშვნელობას იძენს მხოლოდ მისი ხმარების კონტექსტში და სიტყვის მნიშვნელობას თავად კომუნიკანტები ქმნიან თავისი სამეტყველო აქტის დროს. ქმედითი მიდგომის გამოყენების კონცეპციის თანახმად, რომელიც ინგლისელმა მკვლევარმა ჯ. ტომასმა შემოგვთავაზა, სიტყვის მნიშვნელობის წარმოება ის პროცესია, რომელიც წარმოადგენს ერთობლივ ქმედებას მოლაპარაკესა და მის ადრესატს შორის. ადრესანტისა და ადრესატის ერთობლივი ქმედების პროცესში ნომინაციის დროს ხდება საგნისა თუ მოვლენის რომელიმე ნიშნის გადარჩევა და ეს ნიშანი სახელდებას ედება საფუძვლად. ა.ა. პოტებნია საგნის ძირითად ნიშანს უწოდებს "წარდგენას", ანუ "შინაგან ფორმას", ხოლო სახელის გარეგანი სახელწოდება განისაზღვრება ენის ლექსიკურ-გრამატიკური შერჩევითი საშუალებებით [57, 119]. სახელწოდების მიმცემი პირის ქმედებაში, როგორც ვ.გ. გაკი აღნიშნავს, ყოველთვის მონაწილეობს შემოქმედებითი მომენტი, რომელიც ნიშნების გადარჩევაში ვლინდება [24, 239]. ნომინაციის შემოქმედებითი საწყისი წარმოადგენს აღმნიშვნელისა და აღნიშნულის მიმართების ცნობილი თავისუფლების წყაროს. ენობრივი ნიშნების მნიშვნელობის გაგება ნომინაციის თეორიის ქმედითი მიდგომის თანახმად, შესაძლებელია მხოლოდ იმ კონკრეტული ინდივიდების ქმედებისა და ცნობიერების შეცნობის შემთხვევაში, რომლებიც კომუნიკაციაში მონაწილეობენ. სწორედ ქმედითი მიდგომა აძლევს საშუალებას ლინგვისტებს

შეისწავლონ სუბიექტებს შორის ინფორმაციის გადაცემისა და ორგანიზაციის პროცესი, მოლაპარაკის ფაქტორის, ადრესატის ფაქტორის, აგრეთვე გამონათქვამის მნიშვნელობის სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით. ნომინალური ფუნქციების შესრულების უნარის მქონე ლექსიკური ერთეულების შექმნის სფეროში ყოველი კონკრეტული ენის სპეციფიკა საბოლოო ჯამში გამომდინარეობს მისი გრამატიკული წყობის თავისებურებებიდან.

ამავე დროს, ნომინაციის ძირითადი ხერხები (დერივაციები, სემანტიკური გადატანა, კომპოზიციური წარმონაქმნები და ა.შ) უნივერსალურია და ცენტრალური მდგომარეობა უკავიათ ნებისმიერი ენის ნომინატური საშუალებების სისტემაში.

თანამედროვე ლინგვისტიკაში ნომინაციისა და მოტივაციის თეორია ერთ-ერთი განვითარებადი და ჩამოყალიბების პროცესში მყოფი თეორიებია და მრავალი მკვლევარის მხედველობის არეს წარმოადგენს. ლინგვისტიკაში ოთხი სახის ნომინაციას არჩევენ:

1. ნომინაციები, რომლებიც ნორმებს შეესაბამება და ბუნებრივი გზით ვითარდება. მათ ეწოდებათ ნორმალური ანუ ბუნებრივი ნომინაციები;
2. მუტაციები, ანუ ნომინაციები, რომლებიც სტანდარტულობით ხასიათდება, მაგრამ ენაში მათი მატარებლების შეუმჩნევლად ჩნდება. ეს ნომინაციები მეტაფორის, მეტონიმის საფუძველზე წარმოიქმნება;
3. ნომინაციები, რომლებიც შეგნებულად იქმნება. მიზანმიმართული სახელდების ნომინაციები, რომლებიც გამიზნულია სახელწოდების საზოგადოებრივ ლექსიკონში შესატანად. ეს ხელოვნური ნომინაციებია (მაგალითად, კონგრესი);
4. "პათოლოგიური" ნომინაცია, რომელიც ნორმისაგან არის გადახრილი. ისინი წარმოიქმნება ექსტრალინგვისტური ხასიათის ფაქტორების გავლენის შედეგად.

სინამდვილის ენით გამოხატვის პროცესი წარმოადგენს წარმოებული სიტყვების მოტივაციის კვლევის საფუძველს. მოტივაცია ნათლად გამოხატავს სიტყვის ძირითად გნოსეოლოგიურ ფუნქციას – ცოდნის ენობრივ ფიქსაციას. ნომინაციური ერთეულის მოტივაცია აღნიშნავს სინამდვილის ობიექტების კონკრეტული თვისებების აღწერილობას საზოგადოებრივი პრაქტიკის მიმდინარეობის მეშვეობით. გარდა ამისა, მოტივაცია ამკვიდრებს სახელწოდებას ენის სისტემაში, როგორც ენობრივ ერთეულს. მოტივაცია ავითარებს ენობრივ

ერთეულს და ფუნქციონირების პროცესში მის აქტუალიზაციას ახდენს. მოტივაციის ყველა ეს პრობლემა დღემდე არ კარგავს აქტუალობას.

მოტივაციის პრობლემა აისახება ვ. პუმბოლდტის კონცეფციაში ენის შინაგანი ფორმის შესახებ. ენის არსის დახასიათების მიზნით ვ. პუმბოლდტი ენის რამდენიმე დახასიათებას იძლევა: "ენა აზროვნების წარმოქმნის ორგანოა, გონებრივი შრომა – სრულიად სულიერი და უკვალოდ წარმავალი – მეტყველების ბგერის საშუალებით მატერიალურ სახეს იძენს და ადამიანის აღქმისათვის მისაწვდომი ხდება. ამიტომ აზროვნების მოქმედება და ენა განუყოფელ ერთიანობას წარმოადგენს" [29, 51]. ვ. პუმბოლდტმა აგრეთვე შექმნა ენის ნიშანთა თეორია. ის აღნიშნავდა, რომ ენა ერთდროულად ასახვაც არის და ნიშანიც. სიტყვა – ნიშანი ცალკეული ცნებებია, მაგრამ წარმოუდგენელია, რომ ენის შექმნა გარე სამყაროს საგნების სიტყვებით აღნიშვნით დაიწყოს. იმისათვის, რომ სიტყვა სიტყვად იქცეს, საკმარისი არ არის იგი მხოლოდ ბგერით გარსში იყოს მოქცეული. იგი უნდა წარმოადგენდეს ორგვარ ერთიანობას – ბგერისა და აზრის ერთობლიობას. ამგვარად, იგი აღნიშნავს, რომ სიტყვა როგორც ენის ელემენტი მოტივირებულია საგნის იმ დამახასიათებელი ნიშნით, რომელიც მის სახელდებას დაედო საფუძლად და გამყარებული იყო ენობრივი პრაქტიკით. ასეთი დამახასიათებელი ნიშნები შესაძლებელია მრავალი იყოს. ვ. პუმბოლდტი შეეხო მთელ რიგ ლინგვისტურ საკითხებს, მათ შორის ენის შინაგანი ფორმის პრობლემას. ის მიუთითებს, რომ "ენის ფორმა შეადგენს რაღაც მუდმივს და ერთგვაროვანს სულიერ ცხოვრებასა და აზრის გამოხატვაში" [29, 58].

ა.ა. პოტენციას სწავლებაში განვითარებული იყო სიტყვის შინაგანი ფორმის იდეა. იგი მიუთითებს რომ: "სიტყვის ფორმას შეადგენს რაღაც მუდმივი და ერთგვაროვანი სულიერ ცხოვრებასა და აზრის გამოხატვაში" [56, 129]. ა.ა. პოტენციას სწავლებაში განვითარებული იყო სიტყვის შინაგანი ფორმის იდეა. რამდენადაც ადამიანი ამა თუ იმ საგანს გრძნობის რამდენიმე ორგანოთი აღიქვამს, რომელიც მიმართულია საგნის რამდენიმე ნიშნის აღქმაზე, ეს საგანი თავისი ნიშნების ერთობლიობით ქმნის მუდმივ სიდიდეს აზრისთვის, ხოლო გრძნობისთვის მის სახეს, რომელშიც ამაგდროულად რომელიმე ნიშანი დომინირებს. მეცნიერის სიტყვებით, ერთ-ერთ ნიშანი, რომელიც დომინირებს – ეს არის შინაგანი ფორმა: "შინაგანი ფორმა – ის არის, რაც იწვევს

დანაწევრებულ ბგერას აზრის გამოხატვამდე, მთელი თავისი კავშირებისა და სისტემატურობის ერთობლიობით“ [56, იქვე].

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ სიტყვის შინაგანი ფორმით ვლინდება საწყისი მნიშვნელობა, ხოლო შემდგომ, სიტყვის მნიშვნელობა დრმავდებოდა და ფართოვდებოდა.

აქვე განვიხილოთ მოტივაციის ტიპები, რომლებიც ხელს უწყობენ ნომინაციის პროცესს. თანამედროვე მეცნიერები გამოყოფენ სამი ტიპის მოტივაციას: ექსპლიციტურს, ლექსიკურს, იმპლიციტურს და მათთვის შესაბამის მოტივაციის ხარისხებს. მოტივაციები კომპლექსში შეიცავენ:

1. სახელწოდების და ობიექტური სამყაროს შეცნობის მოტივაციას (მოტივაციის ონტოლოგიური თვისება);
2. სახელწოდებისა და სიტყვის შინაგანი ფორმის მოტივაციას (სემანტიკური ასპექტი);
3. მოტივაციასა და მის სისტემურ მნიშვნელობას, მოტივირებული ნომინატური ერთეულის ურთიერთობების პარადიგმატურ და სინტაგმატურ დახასიათებას (სისტემური ურთიერთობების ორგანიზაცია ლექსიკაში);
4. მოტივაციას კომუნიკაციის პროცესში (ფუნქციური ასპექტი).

სიტყვის მოტივირების ცნება ერთ-ერთი ცენტრალურია მოტივაციის თეორიაში. განსხვავებული ტერმონოლოგიური მნიშვნელობების განმარტებების არსებობა სიტყვების მოტივირების მეტაენობრივ კონტინიუმში განპირობებულია იმ მეცნიერების საგნით, რომლის ჩარჩოშიცაა მოცემული განსაზღვრება. მაგალითად, სიტყვათა წარმოებისათვის – მეცნიერება სიტყვის წარმოების კანონებისა და ხერხების შესახებ – დამახასიათებელია მოტივირების განსაზღვრა წარმოებული და მწარმოებელი სიტყვების თანაფარდობით. მოტივირება – ეს არის სიტყვის მნიშვნელობის განპირობება იმ სიტყვის მეორე მნიშვნელობით, რომლისგანაც არის იგი წარმოებული.

ამგვარად, სიტყვის შინაგანი ფორმა შეიძლება განვსაზღროთ სიტყვის წარმოების დონეზე, სადაც იგი როგორც მოტივირებული მნიშვნელობით, ისე ლექსიკურ-სიტყვისწარმოებითი მნიშვნელობითაც ჩანს, სადაც მოტივირებულ მნიშვნელობას დამატებითი ინფორმაცია ემატება.

15. ენა როგორც კონცეპტუალური სისტემა

წარმოადგენს თუ არა ენა კონცეპტუალურ სისტემას, თუ, იმდენივე კონცეპტუალური სისტემა არსებობს, რამდენიც ენაა, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე აზროვნება იხრება ჰიპოტეზისაგან უნივერსალური კონცეპტუალური სისტემის შესახებ (ჩარჩოების), რომელიც საერთოა კაცობრიობის ენებისთვის. ზოგადი დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ენები განსხვავდება იმისდა მიხევით თუ როგორ გამოხატავენ ისინი გამოცდილებას. ამის კლასიკური მაგალითია იმ სიტყვების სემანტიკა, რომლებიც ფერებს აღნიშნავენ. როგორც ყველა არსებას, ჩვენც გაგვაჩნია ვიზუალური აპარატი, რომელიც განასხვავებს ფერებს, ელფერს, მკვეთრ და მუქ ტონალობებს, როგორც წერს არისტოტელე, და ამასთან ერთად ჩვენ გვაქვს აპარატი ამ ფერების სიტყვიერი კატეგორიზაციისათვის. მაგალითად, ინგლისურში ბერლინისა და ქეის თანახმად, ფერების ძირითად ტერმინოლოგიაში შედის თერთმეტი პირველადი ფერი (Black, white, red, green, yellow, blue, brown, purple, pink, orange and grey). ენა ავტორიტარული სისტემაა. მას უნარი შესწევს სტრუქტურა დაუქვემდებაროს რეალობას, ხაზი გაუსვას განსხვავებებს, ან უგულებელყოს ისინი. ადამიანს სიამოვნებს გასეირნება მინდორში, სადაც მინდვრის ყვავილები იზრდება, მაგრამ მას ეს აღიზიანებს საკუთარ ბაღში და იგი ცდილობს გაანადგუროს ისინი. მინდვრის ყვავილი შეიძლება განიხილებოდეს როგორც სარეველა, ანდა, როგორც გვირგვინი, ამიტომ, ეს მოვლენა არა იმდენად შინაგან რეალობას არის დაქვემდებარებული, რამდენადაც კულტურული ნორმებით არის მოტივირებული. ანალოგიურად წითელი ფერი ზოგ სიტუაციაში "სიყვარულის" ასოციაციას იწვევს, ზოგჯერ – "გადიზიანების", რაც თავის დროს ვერბალურად ენაში კლინდება.

XX საუკუნის დასაწყისში მეცნიერები მივიდნენ შემდეგ დასკვნამდე, რომ ენა "თავის ჩარჩოში ამწყვდევს" ჩვენს მსოფლშეგრძნებას. ამ დაკვირვებებმა მეცნიერები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ენა რომელზეც ადამიანი ლაპარაკობს გავლენას ახდენს მისი აზროვნების პროცესზე (ახდენს თუ არა აზროვნება ზეგავლენას ენის განვითარებაზე), მსოფლმხედველობაზე (სამყაროს შეგრძნებაზე). ამ რელატივისტურმა თვალსაზრისმა მიიღო სახელწოდება "სეპირ უორფის ჰიპოთეზა" ორი ამერიკელი ანთროპოლოგის პატივსაცემად, რომლებმაც იგი 1920-30-იან წლებში წამოაყენეს. დღესდღეობით, ტენდენცია მხარს უჭერს

მოსაზრებას, რომ ენა ეს არის თანდაყოლილი ანუ გენეტიკური მემკვიდრეობით მოცემული უნარი, რომლითაც ადამიანი დაბადებით “დაპროგრამებულია” განავითაროს იგი. უნივერსალისტური ტენდენციის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ბერლინისა და ქეის დამაჯერებელი მცდელობა (Basic Color terms, 1969), რომლის თანახმად, პირველადი ფერების აღმნიშვნელი სიტყვები, ასეთი დამახასიათებელი სფერო სეპირ-უორფიზმისთვის, შესაძლებელია არსებობდეს ან არ არსებობდეს ენაში. აქედან ჩნდება ფილოსოფიური კითხვა: ადამიანი ქმნის ენას, თუ ენა ქმნის ადამიანს?

ფერის სემანტიკური ველი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ამ სფეროსადმი (როგორც ნათესაური ურთიერთობების სემანტიკური ველი) შინაგანი ინტერესის გამო, მან ანთროპოლოგების, ლინგვისტებისა და სხვათა ყურადღება მიიპყრო და ანალიტიკოსებშიც გამოიწვია ინტერესი. აგრეთვე, ენის სხვა ლექსიკისაგან კონცეპტუალური იზოლირებულობის გამო, ფერის სემანტიკურმა ველმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. ეს სფერო მნიშვნელოვანი გამოდგა სემანტიკური უნივერსალური ენის შესწავლის გამოსავლენად. ბერლინმა და ქეიმ (Basic Color terms) თამამი პიპოთება წამოაყენეს, რომ არსებობს ფერთა 11 კატეგორია, რომელთაგან საწყისს იღებს ნებისმიერი ენა. ბერლინისა და ქეის მტკიცება საოცრად ზუსტია. ისინი ამტკიცებენ არა მხოლოდ იმას, რომ არსებობს ფერთა 11 ძირითადი კატეგორია (white, black, red, green, yellow, blue, brown, purple, pink, orange and grey), არამედ იმასაც, რომ ეს კატეგორიები შემდეგნაირად არიან მოწესრიგებულნი.

white < red < green, yellow < blue < brown < purple, pink, orange, grey.

ეს მათემატიკური მოწესრიგება აღნიშნავს ერთი კატეგორიის მეორესთან კავშირს. ფერთა ნებისმიერი ორი კატეგორიისათვის [x] და [y] [x] < [y] აღინიშნება, თუკი ენაში არის [y], აგრეთვე იგულისხმება x.

იმის დასამტკიცებლად, რომ ფერთა ეს 11 კატეგორია ძირითადია, ბერლინი და ქეი წერენ, რომ უნდა მივყვეთ ორ ვარაუდს. მაგალითად, white, red და green ინგლისურში ძირითად ტერმინებად ითვლება შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

1. მათი აღნიშვნა რომელიმე ფერის ქვეჯგუფი არ არის. მაგალითად, Scarlet and Crimson – ექვემდებარებიან red-ს და არა პირიქით;
2. ისინი არ იზღუდებიან საგანთა მცირე რაოდენობის განსაზღვრით. მაგალითად, blonde განსაზღვრულია თმის ფერით;

3. მთლიანი სიტყვის მნიშვნელობას ვერ იწანასწარმეტყველებ ამ სიტყვების შემადგენლებიდან. მაგალითად, როგორც blue-green, bluish, lemon-coloured-ში.

ფერთა სამფერიან სისტემაში ტერმინები "white", "black" and "red"-ში აშკარად ვლინდება ელფერის მეტი რაოდენობა, ვიდრე თერთმეტფერიან სისტემაში, მაგრამ რადგან მათი ძირითადი ფერი შეესაბამება სხვა დანარჩენებს, მათ ერთსა და იმავე ფერად ჩათვლიან. იგივე წითელი ფერის კონკრეტიზაცია, ეს თავისებური ფსიქოლოგიური მომენტია ობიექტის განზოგადებიდან დაკონკრეტებამდე, მოცემულ მომენტში – ელფერის.

ბერლინისა და ქეის პიპოთეზაში ფერთა მოწესრიგებულ სისტემას ორი პრობლემა ემუქრება: რუსულსა და უნგრულში ჩანს ფერთა არა 11, არამედ 12 კატეგორია. რუსულში სიტყვა "blue"-ს პირდაპირი ექვივალენტი არ აქვს, ღურჯი (dark blue) ან ცისფერი (light blue). უნგრულში სიტყვა red-თან იდენტური სიტუაციაა. თუმცა როგორც ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმი, ენა მოითხოვს მუდმივ გამოკვლევას. ასეთ გადახრებზე წერს ვეჭბიცპაც ავსტრალიელი აბორიგენების ფერის აღმნიშვნელი სიტყვების ანალიზისას. ეს გარკვეულწილად აჭვის ქვეშ აყენებს ბერლინისა და ქეის თეორიას. ვეჭბიცპაც წერს, რომ ფერის უნივერსალიები არ არსებობს, არამედ არსებობს ვიზუალური სემანტიკის უნივერსალიები. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ადამიანი, რომელიც ქმნის ენას, არ არის ჩართული ამ ნომინაციის შემოქმედებით პროცესში ცალმხვრივად, ის დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: აღქმა, შეგრძნება, აგრეთვე ფსიქოლოგიურ, ფიზიოლოგიურ და კულტურულ ფაქტორებზე.

საერთო ჯამში, ბერლინსა და ქეის მოაქვთ დამაჯერებელი პიპოთეზა, რომ ფერთა კატეგორია ენების ინდივიდუალური თავისებურება კი არ არის, არამედ ეს ადამიანთა რასის საერთო კონცეპტუალური სისტემაა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კვლევა ამით მთავრდება. ფერის აღმნიშვნელი სიტყვების კვლევა სწორედ აქედან იწყება.

1.6. ფერთა ნომინაცია და ფერის აღმნიშვნელი ხიტების მნიშვნელობის ზღვარი შესავალი

ფერთა აღქმისა და მათი კატეგორიებად დაყოფის უნარი ფერის ხედვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. აღქმის პროცესში ფერების კატეგორიებად დაყოფა აიოლებს მათ ნომინაციას. ანუ, ფერის აღმნიშვნელი სახელების რაოდენობა შეზღუდულია იმ ფერებთან შედარებით, რომლებსაც აღვიქვამთ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ფერთა უკვე არსებული დასახელებების შესაბამისად მათი აღქმა კატეგორიების მიხედვით ხდება (categorical perception).

ფერების აღქმაზე ტესტის ჩატარებისას სწავლულმა ფსიქოლოგებმა მაგიდაზე დააწყვეს ლურჯი საღებავი და ორი ტიპის ყვითელი საღებავი. გამოკითხული იყო ორი სხვადასხვა ერის წარმომადგენელი. როდესაც მათ დაუსვეს კითხვა, რამდენ ფერს ხედავენ, ზოგმა უპასუხა ორი: blue, yellow, სხვებმა აღნიშნეს სამი: blue, yellow and neopolitan (light lemon) yellow. აქედან გამომდინარე აშკარა ხდება, რომ ფერის დასახელების კატეგორიის საზღვრები ცვალებადია. ამასთან ერთად ცვალებადია კატეგორიების მიხედვით აღქმა.

სხვადასხვა ელფერების კატეგორიზაციის უნივერსალური მოდელები განსხვავებული ენობრივი ჯგუფების მიერ აღქმის შედეგად, შესაძლებელია განსხვავებული იყოს გარკვეული კულტურის შესაბამისად, რადგანაც სხვადასხვა ადამიანები ფერებს განსხვავებულად აღიქვამენ და მათ მიერ ფერების კატეგორიებად დაყოფაც განსხვავებული იქნება. ენობრივი განსხვავებები აღქმის განსხვავებასაც იწვევს. შესაძლებელია, რომ ფერის ცენტრალურობა თავის როლს თამაშობს. აღქმის ზღვარი უფრო განსხვავებულია ცენტრალურ ფერებს შორის. ქართულში ცენტრალური ფერები პირველადი კატეგორიისაა და ისინი ძირითადი ტერმინებით აღინიშნება. ამ ტერმინების სისტემა აბსოლუტურად შეესაბამება ბერლინისა და ქვემოთ დასტურდების უნივერსალურ მოდელს. ცენტრალური ფერები ადგენენ უნივერსალურ კოგნიტურ საფუძველს როგორც ფერების ენისათვის, ისე ფერთა მეხსიერებისათვის.

კ. როსლუმ აღმოაჩინა, რომ ძირითადი ფერების დამახსოვრება უფრო მოწესრიგებულად ხდება, ვიდრე სხვა ფერებისა იმ ენებზე მოლაპარაკეთა შორის, რომლებთანაც ფერების ნომინაციის სისტემა განსხვავებულია. გარდა

ამისა, ცენტრალური ფერების გახსენება უფრო მაღა ხდება, ვიდრე სხვების (ისეთების როგორიცაა – red, yellow, green, blue, white and black).

შავისა და ნაცრისფერის შემთხვევაში ეს ხარისხი შესაძლებელია განპირობებული იყოს ამა თუ იმ სიზუსტით, ანუ შესაძლებელია “შევურიოთ” ეს ორი კატეგორია ლინგვისტურადაც და აღქმისათვისაც (პერსეპტუალურად).

საქმარისია შავს დავუმატოთ ცოტა თეთრი ფერი (10%), რომ შავი ნაცრისფრად აღვიქვათ (grey, ნაცრისფერი, ფერფლისფერი). ტერმინები – ცისფერი, ვარდისფერი და ნაცრისფერი – სიტყვების ეტიმოლოგია მოტივირებულია sky (ცა), rose (ვარდი) and ash (ნაცარი), მაგრამ ვიზუალურად ისინი თეთრით გაჯერებული ნაკლებად ინტენსიური ლურჯი, წითელი და შავი ფერებია.

რა სახით ვითარდება ვიზუალური აღქმა ლექსიკის განვითარებაში? აქვს თუ არა გავლენა კატეგორიული ტერმინების უტიმოლოგიას ლინგვისტური კატეგორიზაციის პროცესზე? რა მნიშვნელობას იძენს ფერის აღმნიშვნელი სიტყვა ენაში ადამიანების ასოციაციების მეშვეობით? (ლიტერატურაში, პოეზიაში, მეტყველებაში ზოგადად).

ნომინაციის თეორია პირველ რიგში დაგავშირებულია იმის გამორკვევასთან, თუ როგორ თანაფარდობაში იმყოფება ერთმანეთთან აზროვნების ცნებითი (შემეცნებითი) ფორმები, როგორ იქმნება, მყარდება და ნაწილდება ობიექტური რეალობის ცალკეული ფრაგმენტების დასახელებები. ნომინაციის თეორიის საგანს წარმოადგენს აგრეთვე, ნომინაციის პროცესებში ადამიანის აზროვნების, ენისა და სინამდვილის ურთიერთმოქმედების შედეგების შესწავლა. როგორც ამას კუბრიაკოვა აღნიშნავს, ნომინაციის თეორიის უურადღების ცენტრში იმყოფება არა მხოლოდ ნომინაციის შედეგების ანალიზი, არამედ თავად ნომინაციის პროცესის ანალიზი [6, 1]. ადრესანტისა და ადრესატის ერთობლივი ქმედების პროცესში, ნომინაციის დროს, ხდება საგნისა თუ მოვლენის რომელიმე ნიშნის გადარჩევა და ეს ნიშანი საფუძვლად ედება სახელდებას. ა.ა. პოტებნია საგნის ძირითად ნიშანს უწოდებს “წარდგენას”, ანუ “შინაგან ფორმას”, ხოლო სახელის გარეგანი სახელწოდება განისაზღვრება ენის ლექსიკურ-გრამატიკული შერჩევითი საშუალებებით (უნივერსალიები). მეცნიერის სიტყვებით ერთ-ერთი ნიშანი, რომელიც დომინირებს – ეს არის შინაგანი ფორმა: “შინაგანი ფორმა – ის არის, რაც იწვევს დანაწევრებულ ბერას აზრის გამოხატვამდე, მთელი თავისი კავშირებისა და სისტემატურობის

ერთიანობით" (ა.ა. პოტებნია) [9, 52]. "სიტყვის/ენის ფორმას შეადგენს რაღაც მუდმივი და ერთგვაროვანი სულიერ ქმედებში/საქმიანობაში, აზრის გამოხატვაში" (პოტებნია) [9, იქვე]. სწორედ ქმედითი მიღებომა აძლევს საშუალებას ლინგვისტებს შეისწავლონ სუბიექტებს შორის ინფორმაციის გადაცემისა და ორგანიზაციის პროცესი, მოლაპარაკის ფაქტორის, ადრესატის ფაქტორის, აგრეთვე გამონათქვამის მნიშვნელობის სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით. ნომინალური ფუნქციების შესრულების უნარის მქონე ლექსიკური ერთულების შექმნის სფეროში ყოველი კონკრეტული ენის სპეციფიკა საბოლოო ჯამში გამომდინარებს მისი გრამატიკული წყობის თავისებურებებიდან. ამგვარად, კონცეპტუალური აზროვნების პოტენციალი რამდენადაც უნივერსალური არ უნდა იყოს იგი, შეიცავს სპეციფიკურ ნიუანსებს და უფრო მეტიც, სუბიექტურია ინდივიდიდან ინდივიდამდე, ფსიქოლოგიური და სოციალურ-კულტურული ფაქტორების გათვალისწინებით.

"ენა აზროვნების წარმოქმნის ორგანოა. გონებრივი შრომა – სრულიად სულიერი და უკვალოდ წარმავალი – მეტყველების ბგერის საშუალებით მატერიალურ სახეს იძენს და ადამიანის აღქმისათვის მისაწვდომი ხდება. ამიტომ აზროვნების მოქმედება და ენა განუყოფელ ერთიანობას წარმოადგენს" წერს ვ. პუმბოლდტი [28, 53].

ენა ზოგადად, უფრო გლობალური თვალსაზრისით, უნივერსალურ-კონცეპტუალურ სისტემას წარმოადგენს. ბერლინსა და ქვემოთ დამაჯერებელი ჰიპოთეზა, რომ ფერთა კატეგორია ენის ინდივიდუალური თავისებურება კი არ არის, არამედ ეს ადამიანთა რასის საერთო კონცეპტუალური სისტემა. თუმცა აქვე საჭიროა დაგაზუსტოდ, ფერთა კატეგორია არა მხოლოდ ინდივიდუალური თავისებურებაა კონცეპტუალური თვალსაზრისით, არამედ მას ახასიათებს უნივერსალური, კაცობრიობისათვის დამახასიათებელი, ტრადიციული ნიშნები. ზოგად კონცეპტუალურ სისტემაში სანტერესოა თუ რაში ვლინდება ფერის ტერმინოლოგიის სპეციფიკა და ინდივიდუალობა და ვლინდება თუ არა ამ თვისებების განხილვისას და ანალიზის დროს.

ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს ხილული, არსებული სინამდვილის საგანი, რომელიც ძირითადად ხედვით აღიქმება (ზოგ შემთხვევაში სმენით). ხილული კი უპირველეს ყოვლისა ფერია [7, 408]. ფერის აღმნიშვნელ ერთეულებს განვიხილავთ ფუნქციური ლინგვისტიკის ჭრილში და ვაანალიზებთ

ნომინაციის ქმედითი მიღვომის კონტექსტში ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა აღქმა და ასოციაციები. ნომინაციის პროცესი განიხილება, როგორც შემოქმედებითი პროცესი, რომელშიც კონკრეტული კონცეფცია იძენს ფორმას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვერბალურ ფორმას – სიტყვა, და თავის მნიშვნელობას კულტურულ ანთროპოლოგიურ კონტექსტში ანგითარებს. ანუ, როგორც ტიპიურ მოვლენებს არისტოტელე ასახელებს [7, 59], აქ თვით ფერი რომელიც მოცემულ სინამდვილეში არსებობს, შეიძლება დავახასიათოთ როგორც “მატერიალი”, და თვით სიტყვა რომელიც ფერს ნიშნავს, “ფორმა და შინაარსი” (ანუ თვით სიტყვის შინაარსი მის განმარტებაშია გამოხატული).

ფერთა აღქმისა და მათი კატეგორიებად დაყოფის უნარი ფერის ხედვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. აღქმის პროცესში ფერების კატეგორიებად დაყოფა აიოლებს მათ ნომინაციას. ანუ, ფერის აღმნიშვნელი სახელების რაოდენობა შეზღუდულია იმ ფერებთან შედარებით, რომლებსაც აღვიქვამთ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ფერთა უკვე არსებული დასახელებების შესაბამისად ხდება მათი აღქმა კატეგორიების მიხედვით [5, 136].

ფერების შესახებ ნაშრომებს ხელოვნებაში, კოგნიტურ ფსიქოლოგიაში, ფიზიოლოგიაში და ანტროპოლოგიაში დიდი სარგებლობა მოაქვთ კოგნიტური ლინგვისტიკისათვის ფერების სახელწოდებების შესასწავლად. ფერის ნომინაციის ანალიზი საშუალებას იძლევა უფრო ღრმად და საფუძვლიანად შევისწავლოთ ფერების სახელდების სპეციფიკა. თავის მხვრივ, ფერის თანმიმდევრობის დეკოდირების სისტემის გახსნილი ხასიათის გათვალისწინებით ეს რეკონსტრუქცია ნაკლებად შესაძლებელია, დეკოდირების თანმიმდევრობა ძალიან მნიშვნელოვან და სასარგებლო ხასიათს იძენს და ლინგვისტიკის ტრადიციულ ინვენტარს ემატება.

სხვადასხვა ელფერების კატეგორიზაციის უნივერსალური მოდელები განსხვავებული ენობრივი ჯგუფების მიერ აღქმის შედეგად, შესაძლებელია განსხვავებული იყოს გარკვეული კულტურის შესაბამისად, რადგანაც სხვადასხვა ადამიანები ფერებს განსხვავებულად აღიქვამენ და მათ მიერ ფერების კატეგორიებად დაყოფაც განსხვავებული იქნება. ენობრივი განსხვავებები აღქმის განსხვავებასაც იწვევს, და პირიქით, აღქმა განაპირობებს ნომინაციის პროცესის შედეგს (ანუ აქ, ნომინაციაში იგულისხმება რადაც იდეის “ფორმაში” შეფუთვა, ან არსებული ფორმის შინაარსის გაფართოება).

შესაძლებელია, რომ ფერის ცენტრალურობა თავის როლს თამაშობს. აღქმის ზღვარი უფრო განსხვავებულია ცენტრალურ ფერებს შორის. ქართულში ცენტრალური ფერები პირველადი კატეგორიისაა და ისინი ძირითადი ტერმინებით აღინიშნება. ამ ტერმინების სისტემა აბსოლუტურად შეესაბამება ბერლინისა და ქეის ფერების უნივერსალურ მოდელს [5, 136].

ცენტრალური ფერები ადგენენ უნივერსალურ კოგნიტურ საფუძველს როგორც ფერების ენისათვის, ისე ფერთა მეხსიერებისათვის. თუმცა, აქ ურიგო არ იქნება პარალელი გავავლოთ ხელოვნებასთან იმის გათვალისწინებით, რომ ადრეულ ეპოქებში ხელოვნებაში სულ სამი ფერი დომინირებდა, თეთრი-შავი-წითელი [52, 20,21]. ადსანიშნავია, რომ ეს პალიტრა იმისდა მიხედვით მდიდრდებოდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ესა თუ ის მოვლენა საზოგადოებაში. ამას დაემატა ცისფერი (წყლისფერი, ლურჯი) და ყვითელი (მზისფერი). ეს ხუთი ფერი წარმოადგენდა ლეონარდო და ვინჩის პალიტრის ხუთ ძირითად ფერს, საიდანაც გარკვეული კომბინაციებით სხვადასხვა ფერების მიღება არის შესაძლებელი. მაგალითად [ლურჯი+წითელი+თეთრი=იისფერი; წითელი+ყვითელი=ფორთოხლისფერი, სტაფილოსფერი, ნარინჯისფერი], ანუ დანარჩენი ფერების მიღება სპეციფიული შესაძლებელია ამ ფერების მეშვეობით. აქედან ორი ფერი აქრომატულია: შავი და თეთრი. ეს ფერები შეგვიძლია ერთმანეთის სინონიმებად და ამავდროულად, ერთმანეთის ოპოზიტებად ჩავთვალოთ არა მხოლოდ ფილოსოფიურ, არამედ ლინგვისტურ კონტექსტშიც.

შავი – გლოვა

თეთრი – გლოვა (ინდოეთში)

შავი – ბოროტება

თეთრი – სიკეთე

შავი – ელეგანტურობა

თეთრი – სისპეტაკე

თეთრი – გაჭირვება

თეთრი=შავი – დასაწყისი (სიცოცხლისფერი, მიწისფერი).

ძირითადი ფერების დამახსოვრება უფრო ბუნებრივად და სპონტანურად ხდება და თავისთავად გულისხმობს, რომ ფსიქოლოგიურად, უფრო ადვილია იმ ფერების დამახსოვრება, რომლებიც ბუნებრივ მოვლენებს უკავშირდება (მაგალითად, წითელი – ცეცხლი, ცისფერი/ლურჯი – წყალი, ცა, შავი – მიწა; თეთრი (ყვითელი/ოქროსფერი) – მზე). გარდა ამისა, ცენტრალური ფერების

(ისეთების, როგორიცაა – red, yellow, green, blue, white and black) გახსენება უფრო მაღე ხდება, ვიდრე სხვების.

საინტერესოა ასევე, როგორ მოქმედებს ექსტრა და ინტრა ენობრივი ფაქტორები ამ ტიპის ლექსიკის განვითარებაზე, როგორ გადადის ინდივიდუალური გლობალურში და როგორ იკვეთება ამ გლობალურში ამა თუ იმ კულტურის, სოციუმის თავისებურებები, როგორ მყდვანდება მასში ნომინაციის შემოქმედებითი პროცესი, როგორც საზოგადოების ბუნებრივი, სპონტანური, კრეატიული მოვლენა, რომლის შედეგად ვითარდება ენა და საშუალებას გვაძლევს დავაყენოთ საკითხი: ენა ქმნის ადამიანს, თუ ადამიანი ქნას?

ამგვარი ჰიპოთეზების დასამტკიცებლად ჩავატარეთ ტესტი, რომელმაც საშუალება მოგვცა ვიმსჯელოთ არა მხოლოდ ფერთა აღმნიშვნელი სიტყვების მნიშვნელობაზე, არამედ მთლიანად მნიშვნელობის შექმნის პროცესზე, რაც იმას ადასტურებს, რომ ფერის სიმბოლიკა, ანუ კონვენციურად მიღებული მნიშვნელობა არის სპეციფიკური გარკვეული კულტურისათვის. უფრო მეტი, აქ ამ სიტყვების პოეტური და მეტაფორული მნიშვნელობების პრობლემატიკა გამოვლინდა კულტურულ-სინქრონულ კონტექსტში, რაც უდაოდ იმაზე მეტყველებს, რომ ენა კონცეპტუალური სისტემაა და ეს არის მოდელი, რომელსაც ქმნიან ისეთი კომპონენტები, როგორიცაა ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური, რეგიონული (დემოგრაფიული), ანუ როგორც ინტრალინგვისტური ასევე ექსტრალინგვისტური ფაქტორები.

ადგწეროთ ეს პრაქტიკული ტესტირება, რომელიც საშუალებას გვაძლევს საფუძვლიანად გავაანალიზოთ და დავამტკიცოთ ჰიპოთეტური მოსაზრებები იმის შესახებ, რომ ყოველივე ინდივიდუალური უნივერსალურის განუყოფელი ნაწილია, ანუ “ლოკალური” მოვლენები ენაში განპირობებულია “გლობალური” ფონიდან გამომდინარე.

მეთოდები

2009 წლის დეკემბერში ტესტის საშუალებით გამოკითხულ იქნა 80 ქართველი სტუდენტი. ტესტი შედგენილი იყო 10 ფერის სახელწოდებისგან: წითელი, ყვითელი, მწვანე, სტაფილოსფერი, ცისფერი, იისფერი, შავი, ყავისფერი, ნაცრისფერი, თეთრი (იხ. დანართი). ტესტი მოდიფიცირებული და ადაპტირებული იყო ფერთა სიმბოლიკაზე, რომელსაც ფერწერის

თვალსაზრისით, მზა, სწორი პასუხები აქვს. მაგრამ, რადგან ჩვენი კვლევიდან გამომდინარე, ფერის აღმნიშვნელი ერთეულების კომპლექსური შესწავლა უფრო მაინეტრესებდა, ვიდრე მხოლოდ ფერწერისთვის კარგად ცნობილი სიმბოლური მნიშვნელობის დაფიქსირება, ტესტის მოდიფიკაციისას შემდეგი ცვლილებები შევიტანე: ტესტი ოთხი ვარიანტისაგან შედგებოდა. სტუდენტებს პასუხი უნდა გაეცათ, თუ რასთან ასოცირდება ფერის აღმნიშვნელი სახელწოდება და აგრეთვე, მათ თავისი საკუთარი ვარიანტი ანუ ინდივიდუალურ-სუბიექტური ასოციაცია უნდა დაეწერათ, რომელსაც ფერის სახელწოდება იწვევდა მათში. სტუდენტები არ იყვნენ შეზღუდულები ერთი ან მეტი ვარიანტის არჩევით თითოეულ პასუხზე, მათ მიუთითეს, რომ უნდა აერჩიათ პირველადი ასოციაცია, რომელიც სიტყვას უკავშირდება. მთლიანობაში ტესტი ფერების სიმბოლიკის შესახებ ტესტს წააგავდა, ანუ პქონდათ რა მზა პასუხები, რომლებიც მიღებულია სახვით ხელოვნებაში, თუმცა ექსპერიმენტის დროს აქცენტირება ამ ასპექტზე არ ხდებოდა. მნიშვნელოვანი იყო იმის დანახვა, თუ როგორ გადადიოდა ასოციაციები ფერის აღმნიშვნელი ზედსართავების მნიშვნელობაში კონკრეტული ინდივიდის აზროვნების და აღქმის შედეგად.

შედეგები

ტესტირების შედეგები საკმაოდ ინდივიდუალური აღმოჩნდა, თუმცა მათ შორის გამოიკვეთა საერთო სურათი, გამოვლინდა ძირითადი ტენდენციები.

იმისათვის, რომ თვალი მივადევნოთ თუ როგორი ფაქტები გამოვლინდა, განვიხილოთ თუ რა პასუხები გასცეს იმას, რა ასოციაციას იწვევდა ფერი და რა დატვირთვით იყენებდნენ მას.

შავი – სიკლილის 50%, ბოროტების 39%, გაბრაზების 13%, ეჭვიანობის 4%, სოლიდურობის 2%, სიცოცხლის 1% (შავი ძირითადია, ცხოვრების ფერია, აუცილებელი ფერია, ბრმა მხოლოდ შავს ხედავს), გაბრაზება, ბოროტება, სიკლილი, ეჭვიანება, ზოგ შემთხვევაში ყველა მოცემული პასუხია მონიშნული.

თეთრი – სიწმინდე 69%, მშვიდობა 33%, თეთრი ფერი ყოველთვის სისპეტაკისა და სიწმინდის სიმბოლოა, სიყვარეული 10%, გაჭირვება 1%, დაძაბულობა. მშვიდობა, შიში, სიწმინდე, სიყვარული, ზოგ შემთხვევაში ყველა მოცემული პასუხი იყო შემოხაზული.

ჯერ კიდევ არისტოტელემ განაცხადა, რომ ფერები შავის და თეთრის შერევით მიიღება, ხოლო ამ ორ უკიდურესობას შორის არის არა ფერთა განუსაზღვრული რაოდენობა, არამედ ხუთი სავსებით განსაზღვრული ფერი:

ყვითელი, წითელი, მწვანე, იისფერი და ლურჯი. შესაბამისად, შავისა და თეთრის ჩათვლით, ფერების რაოდენობა შვიდს აღწევს, ხოლო ფერის სხვა ნიუანსები მათი კომპოზიციებით არის განპირობებული. ადამინისათვის თეთრი და შავი ორი უკიდურესობაა, ორი ერთმანეთის "საპირისპირო" წერტილია.

პლატონს ესმოდა ფერის ოპტიკური ბუნება და ის, რომ მის არსებობას განაპირობებს მატერიალურ ობიექტებთან კავშირი. ფერის ხარისხობრივი ბუნების აღიარებამ გავლენა მოახდინა მის აღმნიშვნელ ტერმინებზეც. თეორეტიკოსებმა სცადეს განესაზღვრათ ისინი ფერის საზღვრების გათვალისწინებით, თუმცა ზოგჯერ მათი მნიშვნელობა ფერის ფარგლებს ბევრად სცილდება.

წითელი – ვნება 86 %, სიმშვიდე 4%, საშიშროება 78%, ბუნება 1%, (სხვა), რისკიანი სიყვარული, აგრესია, ენერგიულობა, სიყვარული, სილადე, სიმკაცრე, არამშვიდი, ხმაურიანი ფერია, ძლიერი, იპყრობს.

ცისფერი – სიმშვიდე 74%, სიმდიდრე 4%, ენერგია 24%, იმედი 84% (სხვა), ცა, ზეცა, პოზიტიური, სიმშვიდე.

ყვითელი – ბედნიერება 55%, ცხოვრება 66%, ბოროტება 16 %, დამცირება 28%, ბედნიერება, სითბო, ნათელი, სიკვდილი, კრეატიულობა, სიახლე, მზე, პოზიტიური ენერგია.

მწვანე – სიბრძნე 41%, ჯანმრთელობა 74%, სევდა 15%, (როცა სევდიანი ხარ, ბუნებისგან იღებ შვებას), შური 15%, ბუნება, მშვიდობა, მეგობრობა, სიხარული.

სტაფილოსფერი – ჯანმრთელობა 18%, შემოქმედება 64%, მშვიდობა 13%, შიში 10%, სიხარული, მოძრაობა, სიჩქარე.

იისფერი – სიმშვიდე 34%, ფუფუნება 48%, ღირსება, სიბრაზე 10%, საშიშროება 1%, მისტიკა, სიცივე, სწავლა (მელნისფერი), დამცირება.

ყავისფერი – ფუფუნება 30%, სიამაყე 38%, პრაქტიკულობა, დამცირება 28%, ენერგია 23%, უბრალოება, სევდა, უმოქმედობა, სიყვარული, ყავა, უღიმდამო ცხოვრება, უაზრო ყოფა.

ნაცრისფერი – ხანდაზმულობა 44%, სევდა 48%, შიში 10%, სიკვდილი 9%, ზამთარი, სისადავე, სიცარიელე, ახალგაზრდული, სპორტული, მოდური ფერია.

სპექტრის მიხედვით ფერების რაოდენობა შვიდს აღწევს, ხოლო ფერის სხვა ნიუანსები მათი კომპოზიციებით არის განპირობებული. დღევანდელი გადასახედიდან, არისტოტელეს მიერ დადგენილი ფერები საკმაოდ ზუსტად

შეესაბამება სპექტრის ამპლიტუდას. ფილოსოფოსმა იცოდა, რომ ფერების ნაწილი ერთმანეთთან არის დაკავშირებული და ისინი ჯგუფებად შეიძლება დაიყოს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მან შეინარჩუნა ტრადიციული წევილი: შავი/თეთრი, პარალელურად აღიარა ფერის გრადაცია, ხოლო მასზე პასუხისმგებლობა კი თეთრისა და შავის ნაზავს დააკისრა. როგორც ძველი, ისე თანამედროვე ადამინისათვის თეთრი და შავი ორი უკიდურესობაა, ორი ერთმანეთის „საპირისპირო“ წერტილია. კანდინსკი ამ ფერებზე წერს: თეთრი ფერი უდერს როგორც სიჩუმე, რომელიც მოულოდნელად შეიძლება გაგებულ იყოს. თეთრი – ეს არარაა, რომელიც ახალგაზრდაა, ანდა, უფრო ზუსტად – ეს არარა საწყისამდელია, არსებითის დაბადებამდელია. [37, 58]. შავი ფერი შინაგანად უდერს, როგორც რაღაც, შესაძლებლობების გარეშე, როგორც მკვდარი რაღაც, მზის ჩასვლის შემდეგ, როგორც მარადიული მდუმარება მომავლისა და იმედის გარეშე. მუსიკალურად წარმოდგენილი, შავი წარმოადგენს სრულ დასკვნით პაუზას, რომელსაც მოჰყვება ახალი სამყაროს დასაწყისის მსგავსი გაგრძელება, რადგან პაუზის წეალობით, ყველაფერი სამუდამოდ დასრულდა – წრე შეიკრა. შავი ფერი ჩამქრალი, ჩაფერფლილი კოცონის მსგავსია, რაღაც უძრავი, როგორც მიცვალებული, ყველაფრის მიმართ გულგრილი და არაფრის მიმღები. ეს თითქოს სხეულის მდუმარებაა გარდაცვალების, სიცოცხლის შეწყვეტის შემდეგ [37, 59]. მაგრამ ძველი ბერძნები ფერებს ნათელიდან ბნელის მიმართულებით ათავსებდნენ (ანუ თეორიულად ადამიანს თეთრის საშუალებით შეეძლო სხვადასხვა ფერის მიღება მანამ, სანამ მას მხოლოდ შავი არ დარჩებოდა). დღეს კი ადამიანი ფერებს განალაგებს ისე, როგორც ამას სპექტრში ხედავს (ნიუტონის მიხედვით: წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი, იისფერი) და ერთმანეთისგან ძირითად და დამატებით ფერებს არჩევს.

ტესტირების შედეგიდან კი ჩანს, რომ როგორც თეთრი, ისევე შავი ისეთი ფერებია, რომლებიც შეიძლება შინაარსობრივად იყოს ან დადებითი ან უარყოფითი (ანუ ან „ნათელი“ ან „ბნელი“), რაც შინაარსის დონეზე ასოციაციებით არის განპირობებული. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ასოციაცია ფუნქციონირებს როგორც სიტუაცია, ან გონებრივი სურათი და ამით განსხვავდება ვერბალური კონტექსტისგან, ანუ იგი უშუალოდ რეციპიენტის ფონურ ცოდნაზე და გამოცდილებაზეა დამოკიდებული.

მიუხედავათ იმისა, რომ ფერის ანტიკური თეორიები ნიუტონის სისტემისაგან განსხვავებულია, მკვლევართა დასკვნით, ერთი რამ აშკარაა: ძვ.წ. V საუკუნის თეორეტიკოსებს ფერის ბუნება უფრო ადრინდელ ბერძნობან განსხვავებულად ესმით. აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე მეცნიერება ფერის განმარტებისას საგანგებოდ უსვამს ხაზს ორ ფაქტორს: ფერის ოპტიკურ ბუნებასა და ფორმასთან მის კავშირს, რაზეც ჯერ კიდევ პლატონმა “მენონში” გაამახვილა ყურადღება. მისი აზრით, ფორმა არის ის, რასაც ფერი მუდამ თან სდევს, ხოლო ფერი მხედველობით აღიქმება და მას შეესაბამება. ანუ პლატონს ესმოდა ფერის ოპტიკური ბუნება და ის, რომ მის არსებობას განაპირობებს მატერიალურ ობიექტებთან კავშირი. ფერის ხარისხობრივი ბუნების აღიარებამ გავლენა მოახდინა მის აღმნიშვნელ ტერმინებზეც. თეორეტიკოსებმა სცადეს განესაზღვრათ ისინი ფერის საზღვრების გათვალისწინებით, თუმცა ხშირად მათი მნიშვნელობა ფერის ფარგლებს ბევრად სცილდება.

ფერთა სახელწოდების, მათი მნიშვნელობისა და ლექსიკური თანმიმდევრობის მაგალითზე ვლინდება ენის ცვლილებისა და მისი ისტორიული აღდგენის, სინქრონიაში და დიაქრონიაში ხალხთა კონცეპტუალური ინვენტარის პროცესები.

გარდა ამისა, საზოგადოების დინამიკისა და ენის განვითარების მეშვეობით ვლინდება ფერთა სახელების განვითარების თანმიმდევრობის დეკოდირების სისტემები. საინტერესო და მნიშვნელოვან როლს ამ ლექსიკის თავად ამ მნიშვნელობების განვითარებაში თამაშობს “შეგრძნება” (sensation) და “აღქმა” (perception). ტ.ს. ფიში წერს, რომ შეგრძნება, რომელიც ჩვენ გვაკავშირებს სიტყვა “white”-თან ქმნის ამ სიტყვას, მაგრამ თუ უფრო შორს წავალთ, მას მიაჩნია, რომ აღქმა ავითარებს ამ ლექსიკის მნიშვნელობას და ასე ვითარდება ამ სიტყვების სიმბოლური მნიშვნელობაც [5, 136].

ჩატარებული ტესტირების შედეგად შესამჩნევია, რომ იკვეთება როგორც სოციალურ-ლინგვისტური, ისე ფსიქოლოგიური პროცესები.

ფერების აღმნიშვნელი სიტყვების სისტემა საკმაოდ არასტაბილურია. ამ სისტემის დეკოდირება და ამ ერთეულების და მათი მნიშვნელობის პრაგმატიკის შედარებითი ანალიზი, ამ ანალიზის შედეგები მეტად მნიშვნელოვანია საერთო, ტრადიციული ხერხებისათვის ისტორიულ ლინგვისტიკაში (კონიტური ანტროპოლოგია, ფერთა კლასიფიკაცია, ენის ცვალებადობა, ენის უნივერსალურობა).

ბერლინმა და ქეიმ დაადგინეს, რომ ფერების აღმნიშვნელი ლექსიკის უნივერსალური სისტემა 11 ძირითადი კატეგორიისაგან შედგება და ისინი მკაცრი მათემატიკური რიგით მოაწესრიგეს. როგორც ზემოთ იყო ნახსენები.

(white, black, < red < green, yellow < blue < brown < purple, pink, orange, grey

ამას ისინი შემდეგნაირად ხსნიან: ნებისმიერი ორი კატეგორიისათვის [X] და (Y), [X] < [Y] ნიშნავს რომ, თუ ერთ ენაში არის [Y] მაშინ აუცილებლად იქნება [X].

ამერიკელმა ანტროპოლოგებმა ვიტგოვსკიმ და ბრაუნმა გადახედეს დეკოდირების სისტემის თანმიმდევრობას.

I stage

II

III

IV

[macro-white, macro-black] → [macro red] → [grue, green or blue] → [yellow] →

[yellow] → [grue, green or blue] →

V

VI

VII

[green or blue] → [brown] → [pink, orange, purple]

ამ სისტემის შესაბამისად დეკოდირებაში მნიშვნელოვანია გავითვილისწინოთ "სიღიავე", უფრო ღია, შედარებით მუქი, ცივი და თბილი ელფერები.

Grue – ეს არის კატეგორია, რომელიც შეიცავს შედარებით ცივ ელფერებს. ფერის დეკოდირების თანმიმდევრობა წარმოადგენს აგრეთვე თანმიმდევრულ ცვლილებებს ენაში. იგი დაკავშირებულია აგრეთვე საზოგადოებრივ კომპლექსურობასთან (გართულებასთან) დადგითი მნიშვნელობით. რაც ნაკლებია ძირითადი ფერები ენაში, მით მეტია იმის ალბათობა, რომ ამ ენის მატარებელი ხალხი პატარა საზოგადოებაში ცხოვრობს.

ბერლინისა და ქეის სწავლებიდან გამომდინარე შესაძლებელია დაგუშვათ, რომ ძირითადი ტერმინების რაოდენობის გაზრდის ტენდენცია საზოგადოებრივი სირთულის გაზრდასთან ერთად გულისხმობს, რომ ადრეულ სახელმწიფოებს გააჩნდათ ფერების აღმნიშვნელი ნაკლები სახელები, ვიდრე თანამედროვე სახელმწიფოებს და რომ ფერთა თანმიმდევრობის დეკოდირება ძირითადად კუმულატიურია. საზოგადოებაში ფერწერისა და სხვა საქმიანობის განვითარებასთან ერთად, სადაც ფერის ფაქტორი მოქმედებდა, ამასთან ერთად პოეზიაში ფერთა აღმნიშვნელი სახელების ახალი მნიშვნელობების გამოყენება

და მეტაფორულ კონტექსტში ფერთა ერთულების მნიშვნელობების გადახედვამ გააფართოვა ფერთა სემანტიკური ველი. ბუნებრივ გარემოში საგანთა უმრავლესობას ფიქსირებული ფერი აქვს და ამიტომ ფერების მიხედვით ხდება მათი ზერელი იდენტიფიცირება: "green leaves", "white clouds", "black coal", "red blood", როგორც დამოუკიდებელი არსებითი სახელებისა ამ შესიტყვებებში და შეიძლება გამოყენებულ იქნას ფერთა ინდიკატორად შედარებაში ასოციაციის გასაძლიერებლად.

...as red as blood...

as green and fresh as spring leaves

sainteresoa agreTve davakvirdeT ferTa ganmartebas leqsikonebSi:

eg. Black

of the colour black: having the colour of soot or coal.

very dark in colour.

of written or printed letters: characterized by thickness of form and consequent intense contrast with the white of a page. (Webster's)

WHITE

free from color. Colourless and transparent

of a colour like that of new snow or clean milk: having the colour of good bond paper or the traditional lily; specif.: of the color white

of light: having some energy in nearly every part of the visible spectrum.

having the natural color largely abstracted through use or age: WHITENED, GRAYED (Webster's)

BLUE - the colour of the sky on a clear sunny day.

RED - something that is red is the same colour as blood. If something is similar to this colour, you can say that it is a reddish colour.

YELLOW - something that is yellow is the same colour as the middle of an egg.

GREY - between black and white in colour. If something is similar to this colour, you can say that it is a greyish colour.

GREEN - something that is green is the same colour as grass. If something is similar to this colour, you can say that it is a greenish colour or a greeny colour.

BROWN - something that is brown is the same colour as wood or coffee.

PINK - between red and white in colour. If something is similar to this colour, you can say that it is a pinkish or pinky colour.

ORANGE - a colour that is between red and yellow.

PURPLE - between red and blue in colour. If something is similar to this colour, you can say that it is purplish or purply.

<http://www.macmillandictionary.com>

ფერის აღმნიშვნელი სიტყვების პირველადი მნიშვნელობა ძირითადად ეყრდნობა გარკვეულ ვიზუალურ განცდას, რომელსაც ასოციაციებზე დაყრდნობით ვუკავშირებთ ამა თუ იმ ობიექტს. ამ ლექსიკის მნიშვნელობის განვითარების პროცესში კი ეს ვიზუალური განცდები გადადის ემოციურ განცდებში და ქმნის ახალ „შინაგან“ ფორმას.

ფერთა სახელების, მათი მნიშვნელობისა და ლექსიკური თანმიმდევრობის მაგალითზე ვლინდება ენის ცვლილებისა და მისი ისტორიული აღდგენის, სინქრონიაში და დიაქრონიაში ხალხთა კონცეპტუალური ინვენტარის შექმნის/განვითარების პროცესები.

გარდა ამისა საზოგადოების დინამიკისა და ენის განვითარების მეშვეობით ვლინდება ფერთა სახელების განვითარების თანმიმდევრობის დეკოდირების სისტემები.

ჩატარებული ტესტირების შედეგად შესამჩნევია, რომ იკვეთება როგორც სოციალურ-ლინგვისტური, ისე ფსიქოლოგიური პროცესები.

მაგალითად, ქართულენოვან საზოგადოებაში სიტყვა "blue" სიმბოლურად ნიშნავს "სიმშვიდეს". ის აგრეთვე ასოცირდება ენერგიასთან და ტესტში მონაწილენი ამას ხსნიდნენ იმით, რომ ცა ასოცირდება ლოცვასთან, უფალთან, დახმარებასთან, იმედთან. ამავდროულად, საინტერესოა განვიხილოთ ერთი და იგივე ფერის აღქმის კონტრასტულობა როგორც ერთი, ისე ორი განსხვავებული საზოგადოების ჩარჩოში. მაგალითად, თეთრი ფერი ბევრ კულტურაში ასოცირდება უმანკოებასთან, სისუფთავესთან იმ დროს, როცა ინდოეთში იგი გლოვის ფერია. ჩატარებულ ტესტირებაში სიტყვები თეთრი და შავი, რომლებიც ახრომატიულ ფერებს აღნიშვავენ, აღმოჩნდა, რომ აქ მონიშნული იყო ოთხივე მნიშვნელობა multiple choice. შავი ასოცირდება როგორც სიცოცხლის დასასრულთან, ისე მის დასაწყისთან. სადღაც ის აღნიშნავდა გლოვას, სადღაც კი ელეგანტურ ჩაცმულობას, იმ დროს, როცა თეთრი ფერი ასოცირდებოდა როგორც უმანკოებასთან და სიმშვიდესთან, ასევე გაჭირვებასან და

დაძაბულობასთან. შესაბამისად, მნიშვნელობები დაჯგუფდა საწინააღმდეგო ასოციაციებში, დადებითსა და უარყოფითში: აღქმა ქმნიდა მეტაფორულ მნიშვნელობას და განწყობას. ანუ ასეთი ტიპის ყველა მნიშვნელობას ფერების დასახელების პირველადი მნიშვნელობისაგან განსხვავებით შესაძლებელია ვუწოდოთ ფსიქოლოგიური მნიშვნელობა. ასეთი მნიშვნელობები და თავად ფერთა სახელების ნომინაციის სპეციფიკა ავლენს ენის ცვლილებებსა და საზოგადოების განვითარებას. აღქმაზე ჩატარებულმა ფსიქოლოგიურმა ტესტებმა დაამტკიცა, რომ საზოგადოების (კულტურის), გეოგრაფიული და სოციალური ფაქტორებიდან გამომდინარე ადამიანები განსხვავებულად აღიქვამენ ფერებს და ანიჭებენ მათ სახელებს. ცისფერ, ლიმონისფერ და ყვითელ ფერებზე, გამოკითხულები პასუხობდნენ, რომ ხედავენ ორ ან სამ ფერს იმისდა მიხედვით, მოცემულ ენაში არსებობს თუ არა კონკრეტული ფერის აღმნიშვნელი სიტყვა.

ვიზუალური აღქმის (აქ გამოყენებულია ფართო გაგებით, რადგან იგულისხმება „გონებრივი ნახატები“ და რეალობაში არსებული ობიექტები), და ზოგადად აღქმის შედეგად დამახსოვრებული შეგრძნება იწვევს ასოციაციას, ქმნის მნიშვნელობას და პოლისემიას ამყარებს ფერის ამსახველ სიტყვებში. ვიზუალურ აღქმას და სოციალურ გარე ფაქტორებს გავლენა აქვთ კატეგორიული ტერმინების ლინგვისტური კატეგორიზაციის პროცესზე. აღსანიშნავია, რომ ფერის აღმნიშვნელი სიტყვა ენაში, ადამიანების ასოციაციების მეშვეობით ემოციურ ელფერს და ახალ მეტაფორულ პოეტურ მნიშვნელობას იძენს (ლიტერატურაში, პოეზიაში, ზოგადად მეტყველებაში).

დასკვნა

ნაშრომის თეორიულმა და ექსერიმენტულმა ნაწილმა ამ ეტაპზე შემდეგ დასკვნებამდე მიმიყვანა:

ფერების აღმნიშვნელი სიტყვების კომპლექსური შესწავლა უფრო ნათელს ხდის, საზოგადოებისა და კაცობრიობის განვითარებასთან ერთად, ამ სიტყვების „ფორმის“ ფარგლებში მათი „შინაარსის“ განვითარებას ასოციაციებზე დაყრდნობით: ანუ სიტყვის არა მხოლოდ პირველადი მნიშვნელობა, ან ის მნიშვნელობა, რაც სტანდარტულად არის დაფიქსირებული ლექსიკონში, არამედ მხატვრულ-მეტაფორული მნიშვნელობა ვლინდება, როგორც ფსიქოლოგიურ-საზოგადოებრივი ფენომენი, რომელსაც სიტყვა იძენს მეტყველებაში.

ვიზუალური აღქმის შედეგად დამახსოვრებული შეგრძნება იწვევს ასოციაციას, ქმნის მნიშვნელობას და პოლისემიას ამყარებს ფერის ამსახველ სიტყვებში. ვიზუალური აღქმისა და სოციალური გარე ფაქტორები გავლენას ახდენენ კატეგორიული ტერმინების ლინგვისტიკური კატეგორიზაციის პროცესზე. აღსანიშნავია, რომ ფერის აღმნიშვნელი სიტყვა ენაში ადამიანების ასოციაციების მეშვეობით ემოციურ ელფერს და ახალ მეტაფორულ პოეტურ მნიშვნელობას იძენს ზოგადად მეტყველებაში.

ფერის აღმნიშვნელი ლექსიკის შესწავლა საშუალებას გვაძლევს უფრო დრმად შევისწავლოთ ნომინაციის პროცესი. აქ ამავდროულად ვლინდება თვით შემოქმედებითი პროცესი, სიტყვის, ფორმისა და შინაარსის ფსიქოლოგიური და სოციალური კონტექსტი და ლექსიკის განვითარების გზები.

თავი II. „შეგრძნება და აღქმა“ როგორც მამოძრავებელი ფაქტორი ფერის ტერმინოლოგიის პოეტური მნიშვნელობის შექმნაში

2.1. რეალობის ცნება ფერთა აღმნიშვნელი სიტყვების და ზოგადად ფერის კონცეპტის არსებობასთან მიმართებაში

ფერის დაშლაზე ჯერ კიდევ ნიუტონი წერდა. ის აღნიშნავდა, რომ შუქი იშლება და ჩვენ ვხედავთ ფერებს სპექტრში. ანუ შუქი, რომელიც უფერო, გამჭვირვალე, იშლება და ფერების ილუზიას ქმნის. ე.ი. რამდენად რეალურია ის რასაც ჩვენ ვხედავთ? მოცემულ კვლევაში, ჩვენ უფრო მეტად გოეთეს თეორიას ვევრდნობით.

გოეთე პირველი იყო, ვინც ახლებურად დაინახა ფერის თემა. ნიუტონი აღიქვამდა ამას როგორც ფიზიკურ პრობლემას, სადაც მონაწილეობდა შუქი, რომელიც ეხებოდა საგნებს და თვალებამდე აღწევდა (ვიზუალურ აპარატამდე). გოეთემ კი გაათვითცნობიერა, რომ ფერის შეგრძნება, რომელიც აღწევს ჩვენ ტვინამდე, ასევე მოდელირებულია ჩვენი აღქმით, ადამიანის ხედვის მექანიკით და იმით, თუ როგორ ამჟმავებს, აანალიზებს ჩვენი ტვინი ინფორმაციას. ამგვარად, გოეთეს მიხედვით, რასაც ჩვენ ვხედავთ ობიექტები, დამოკიდებულია თვითონ ობიექტზე, შუქზე და ჩვენ აღქმაზე. გოეთე ეძებს ფერთა პარმონიის კანონზომიერებებს, ცდილობს დაახასიათოს ფიზიოლოგიური ფერები (ანუ რა ზეგავლენას ახდენს ფერი ჩვენზე) და სუბიექტური ვიზუალური ფენომენი ზოგადად. სწორედ გოეთეს კვლევის გაცნობის გამო მიგმართეთ კოგნიტურ ლინგვისტიკას, ხელოვნებასა და ფსიქოლოგიას, სადაც გამოვლინდა, რომ “შეგრძნება და აღქმა” არის ის ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ანალიზის პროცესს, და ამ ორივეს ერთად შეუძლია მიგვიყვანოს გარკვეულ ემოციამდე. ანუ ეს პროცესი პროდუქტიულია და არის ფერის ტერმინოლოგიის მნიშვნელობის განვითარების საფუძველი, რასაც ძირითადად ეხება ჩემი კვლევა. ხელოვნება უფრო მეტად გვეხმარება შევისწავლოთ გარკვეული მოვლენები ენათმეცნიერებაში. როგორც ხელოვნებაში, ასევე მეცნიერებაში, ხოლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში ენის განვითარებაში, ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს დიდი მნიშვნელობა აქვთ. ერთ-ერთი წამყვანი ფერის ტერმინოლოგიის მნიშვნელობის განვითარებაში ჩართულია აღქმა და შეგრძნება, რის მერეც ხდება გარე სამყაროდან მიღებული ინფორმაციის დეკოდირება და საბოლოოდ, ამის შედეგად, გარკვეულ ასოციაციებზე დაყრდნობით, ვლებულობით.

ლექსიკური ერთეულის პოეტურ/ფსიქოლოგიურ მნიშვნელობას, ანუ ფსიქოლოგიურ ხატს.

კოგნიტიურ მეცნიერებაზე და მის მიღწევებზე თავიანთ ბოლო ფუნდამენტურ ნაშრომში ჭ. ლაპოვი და მ. ჯონსონი აღნიშნავენ, რომ ეს მეცნიერება გამოწვევაა მთლიანად წინა დასავლური ფილოსოფიისათვის. ისინი გამოყოფენ კოგნიტიური მეცნიერების სამ პოსტულატს;

– გონება განსაკუთრებულ მატერიაში არსებობს (ტვინის ნეიტრონული ქსოვილი);

– აზროვნება უმეტესწილად გაუცნობიერებლად ხორციელდება;

– აბსტრაქტული კონცეპტები უპირატესად მეტაფორულად იქმნება [125, 98].

მაგრამ, მესამე პოსტულატის უარყოფა შესაძლებელია თავად ენაში აღმოჩნდეს, სადაც ბევრი აბსტრაქტული ცნებები ადამიანის გონების ძალით არის შექმნილი და იმ ნომინალური განსაზღვრებით, როდესაც ერთ კონცეპტუალურ სტრუქტურაში ერთიანდება კონცეპტები, რომელთა ზოგად ერთობლიობას არ გააჩნია პირდაპირი შესაბამისობები რეალურ სამყაროში, მაგალითად, ამ ტიპის: კულტურა და სხვ. რაც შეეხება ფერის აღმნიშვნელ სიტყვებს, თითქოს ამ სიტყვებსაც არ გააჩნიათ პირდაპირი შესაბამისობები რეალურ სამყაროში; ანუ იგივე ცისფერი – არის რაღაც x ობიექტი (მაგალითად, ცა ან საღებავი), თუმცა, ფერის შემთხვევაში x გარკვეულწილად გადაიქცა მედიატორად, და ამიტომ ფერი თვალისოვის შესამჩნევი ხდება (“თვალის შეხებით შესაგრძნობი“).

სასურველია ლინგვისტებმა ყურადღება მიაქციონ იმ ფაქტს, რომ თუ ენაში არსებობს როგორც ხისტი, ისე არახისტი დეზიგნატორები, როგორც სიტყვისა, რომელიც ფლობს რეალურ რეფერენტებს საგნობრივ სამყაროში, ასევე სიტყვისა, რომელსაც არ გააჩნია ასეთი რეფერენტები (მაგალითად, კენტავრი, ქალთევზა და ა.შ.), ამ აუკანასკნელთა თავად არსებობა მოწმობს იმას, რომ კონცეპტების კონცეპტუალურ სტრუქტურებში „აწყობა“, რომლებიც წინ უსწრებს ენობრივი ნიშნის შექმნას, შესაძლებელია ძალზე განსხვავებული იყოს თავისი ხასიათით და რომ აბსტრაქტული ცნებები – არა მხოლოდ მეტაფორების შედეგია.

რა არის რეალობა ლინგვისტიკისათვის? ჩვენ გარშემო არსებული ყველაფერი მატერიალურის ერთობლიობა, გარე სამყარო, რომელსაც ჩვენ აღვიქვავთ შეგრძნებების ორგანოებით ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად?

ნამდვილად არა. XXI საუკუნეში რეალობის ასეთი გაგება საბუნებისმეტყველო მეცნიერების თვალსაზრისითაც არ ხდება. კვანტურ მექანიკაში ელემენტარული ნაწილაკები არ ფიქსირდება უშუალოდ გრძნობათა ორგანოებითა და გარკვეული აზრით, ეს ჩვენ ცნობიერებაზეა დამოკიდებული. ელემენტარული ნაწილაკების მატერიალურობა ასევე არ არის ტრადიციული, რადგან მათ არ გააჩნიათ სიმშვიდის მასა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი რეალობის არსის ელემენტები არიან. ნებისმიერ ენაში, ნებისმიერი სიტყვა ავლენს თავის მნიშვნელობას იმ სიტყვასთან შედარებისას, რომელსაც საწინააღმდეგო მნიშვნელობა აქვს. სიტყვა „რეალობის“ ანტონიმიებს წარმოადგენს სიტყვები „ფიქცია“. განვიხილოთ პირველად რეალობა მის დაპირისპირებულ „ფიქციასთან“. ვთქვათ, დორიან გრეი – ეს ფიქციაა, ხოლო ინგლისის დედოფალი – რეალობა. მაგრამ აქვე იწყება სირთულეები. გამონაგონიც განსაზღვრული აზრით მატერიალურია, როგორც ნებისმიერი ნიშანთა წარმოქმნა. მას აქვს გამოსახვის მხარე (მატერიალური მხარე) და შინაარსის მხარე (არსი) და ერთი, მეორის გარეშე არ არსებობს. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ რაღაც გაგებით არსებობს. არსებობს სავსებით მატერიალური სიტყვა „დორიან გრეი“ (იგი ჩაიწერება ან წარმოითქმება ბგერითი ტალღების მოძრაობით). ასე ამბობენ: დორიან გრეი გამოგონილია, იმიტომ რომ მას ვერ დავპატიჟებ სადილზე. მაგრამ ინგლისის დედოფალსაც ხომ ვერ დავპატიჟებთ სადილზე. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ისიც გამოგონილი პერსონაჟია? ასეთივე სიტუაციაა რეალობის სხვა თვისებების ტრადიციულ გაგებასთან მიმართებაში, რაც დამოუკიდებელია ცნობიერებისაგან. მაგალითად, მიწაზე დევს ქვა და შესაძლებელია ის აქ რამდენიმე ათასი წელია დევს, მანამდე, სანამ რომელიმე ცნობიერება გაჩნდებოდა. მაგრამ რომ არ ყოფილიყო არცერთი ცნობიერება, მაშინ ვინ იტყოდა: „აი, ქვა მიწაზე დევს“, და არ იარსებებდა სიტყვა „ქვა“, და სიტყვა „რეალობაც“ არ იარსებებდა. აქ საქმე იმაშია, რომ ჩვენ რეალობას არა მხოლოდ გრძნობათა ორგანოებით აღვიქვამთ, არამედ ჩვენი ენითაც. ნებისმიერი ენა რეალობას სხვადასხვაგვარად გამოსახავს. მაგალითად, ქართველისთვის არსებობს სიტყვა „ხელი“. ჩვენ ვამბობთ: „ჩამოართვით ხელი ერთმანეთს“. მაგრამ ინგლისური სიტყვა „hand“, რომელიც შესაბამის გამონათქმაში იხმარება „Shake your hands“, ნიშნავს უფრო „მტევანს“, და გამონათქმაში სიტყვა-სიტყვით ითარგმნება როგორც „შეარხიეთ თქვენი მტევნები“. ერთი სიტყვით, ჩვენ ვერ განვსაზღვრავთ რა არის რეალობა

თანამედროვე გაგებით, თუ დამოკიდებულნი ვიქნებით მატერიალურობაზე და ცნობიერებისგან დამოუკიდებლობაზე (სიტყვა „ცნობიერებაზეც“ ბევრი უთანხმოებაა).

განვიხილოთ რეალობა, „ტექსტთან“ დაპირისპირებაში. წარმოვიდგინოთ ასეთი სცენა: ოქვენ მგზავრობთ მატარებლით, ფანჯარაში მოჩანს სხვადასხვა ქალაქები და სოფლები, სადგურების სახელწოდებები, მეზობლები საუბრობენ პოლიტიკაზე, ვიღნს კითხულობს, სარკეში თქვენი სახე ირეკლება, კარებს იქით გამცილებლები კამათობენ, სადღაც უკრავს მაგნიტოფონი. ეს არის რეალობის პატარა მოდელი. მაგრამ იგი მთლიანად ტექსტებისგან შედგება. წარწერები სადგურებში, მეზობლების საუბარი, მუსიკა მეზობელ კუპეში, ოქვენი გამოსახულება სარკეში, მეზობლის წიგნი, – ყველაფერი ეს ტექსტია, ინფორმაციის გადმოცემა. მაგრამ ამ ინფორმაციის უმეტესობა თქვენ არ გჭირდებათ, ამიტომ თქვენ უგულებელყოფთ ამ ინფორმაციის არსეს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მე რეალობას შემდეგნაირად განვსაზღვრავდი – იგი ძალიან რთული ნიშანთა სისტემაა, რომელიც ბუნების, ადამიანებისა და ლმერთის მიერ არის ჩამოყალიბებული და რომლითაც ადამიანები სარგებლობენ, მაგრამ ეს იმდენად რთული და მრავალმხრივი სისტემაა და თავის თავში იმდენ ნიშანთა სისტემას მოიცავს (ენობრივ თამაშებს), რომ რეალობის რიგითი მატარებელი და მომხმარებელი მიდრეკილია უგელებელყოს მისი სემიოტიკური ხასიათი. ასეც შეიძლება ითქვას, ერთი და იგივე საგნები და ფაქტები ადამიანთა ერთი ჯგუფისთვის და ზოგიერთი სიტუაციისათვის ვლინდება როგორც ტექსტები, ხოლო სხვებისთვის და სხვა გარემოებებში – როგორც რეალობის ელემენტები. ზამთრის ტყე გამოცდილი მონადირისთვის ნადირის ნაკვალევისა და ჩიტების ჭიკჭიკის მიხედვით – ტექსტია, გახსნილი წიგნია. მაგრამ თუ მონადირე მთელი ცხოვრება ტყეში ცხოვრობს და უცებ თანამედროვე დიდი ქალაქის ქუჩაზე მოხვდება თავისი რეკლამებით, საგზაო ნიშნებით, მაჩვენებლებით, მან შესაძლებელია ეს ტექსტად ვერ აღიქვას (როგორც უდაოდ, ამას ქალაქელი ადამიანი აღიქვამს). უნდა გესმოდეს რეალობის ენა, რათა მისი არსი გაიგო. მაგრამ თითოეული სათავისო არსეს გებულობს, როგორც მარშაკის ლექსშია – სად იყავი დღეს ფისო? – ინგლისის დედოფალთან. – რა ნახე სასახლეში ფისო? – თაგვი ვნახე ხალიჩაზე [193].

ყოველდღიურ ცხოვრებაში ისეთი შეტყობინებები, როგორიცაა: „ისე შემრცხა, რომ გაგწითლდი, red with anger, green with envy, საშუალებას გვაძლევს

დავუშვათ, რომ ქვეცნობიერად ჩვენ შეგვიძლია ვიგრძნოთ ქვეცნობიერი სტიმული (ბიძგი) და ქვეცნობიერ სტიმულებს უდიდესი დამაფიქრებელი ძალა აქვთ.

ჩვენ შეგვიძლია დავამუშავოთ (process) ინფორმაცია ქვეცნობიერად. შეუმჩნევლად მოკლე სტიმულს შეუძლია გამოიწვიოს სუსტი საპასუხო რეაქცია, რომელიც აღმრავს გრძნობას. პასკალ პენსე ამას არა გონიერას, არამედ გულს უკავშირებს: „გულს თავისი მიზეზები აქვს და ისინი უცნობია“. “The heart has its reasons which reason does not know.” Pascal, Pensees, 1670 [154, 174].

კანდინსკის თავის ნაშრომში მოყვანილი აქვს ასეთი მაგალითი. როდესაც პეტერბურგში, მეტერლიკის ხელმძღვანელობით იდგმებოდა მისი რამდენიმე დრამა, ერთ-ერთი რეპეტიციის დროს მან ბრძანა, რომ კოშკის ნაცვლად ჩამოეკიდათ ტილოს ნაჭერი. მისთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა, იქნებოდა თუ არა შესრულებული საგულდაგულოდ რეალობის მიბაძვა დეკორაციაში. მისი საქციელი ბავშვების, ყველა დროის უდიდესი ფანტაზიორების თამაშს ჰგავდა, როდესაც ისინი ჯოხში ცხენს ხედავენ, ანდა თავის წარმოსახვაში ქაღალდის ნაგლეჯები კავალერიის მთელ პოლკებად გადაიქცევა, თანაც ქაღალდის ნაკეცი უცებ კაგალერიისტს ცხენად გადააქცევს (Kugelgen, “Erinnerungen eines atten Mannes”). ეს თვისება – გამოაღვიძო მაყურებლის ფანტაზია – მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამედროვე თეატრში. ამ მიმართულებით განსაკუთრებით დიდი სამუშაოა ჩატარებული და დიდი მიღწევებია თეატრში. ეს აუცილებელი გადასვლაა მატერიალურიდან სულიერისკენ მომავლის თეატრში [37, 22–23]. ე.ო. ენაში, როგორც ხელოვნებაში ნომინაციის პროცესის დროს ადამიანის აზროვნებაში იდენტური პროცესები მიმდინარეობს.

სინამდვილეში, შინაგანი საშუალებები არც ისე ადვილად კარგავენ თავის ძალასა და გავლენას და სიტყვა, რომელსაც ამრიგად ორი მნიშვნელობა აქვს, პირველი – პირდაპირი, და მეორე – შინაგანი, წამოადგენს პოეზიისა და ლიტერატურის სუფთა მასალას, მასალას, რომლის გამოყენება მხოლოდ ამ ხელოვნებას ძალუმს და რომლის საშუალებითად იგი ადამიანის სულამდე აღწევს [37, 24].

თუმცა, სენსორული ადაპტაცია აქვეითებს ჩვენ მგრძნობიარობას, ის ასევე გვანიჭებს მნიშვნელოვან უპირატესობას: ის გვაძლევს საშუალებას მოვახდინოთ კონცენტრაცია ინფორმატიულ ცვლილებებზე ისე, რომ ხელი არ შეგვეშალოს ფერების, სურნელის, ტანსაცმელის, ხმაურის მუდმივი ინფორმატიული

სტიმულაციით. ჩვენი სენსორული რეცეპტორები მზად არიან სიახლის მიღებისათვის: მოაწყინე ისინი განმეორებებით და ისინი უფრო საინტერესო ობიექტებზე გადაერთვებიან. ეს აძლიერებს ფუნდამეტურ გაკვეთილს: ჩვენ აღვიქვავთ არა ისე როგორც არის, არამედ აღვიქვავთ ჩვენ სასარგებლოდ.

ჩვენი გენის ნაწილია ჩვენი სხეულის უნარი ერთი ტიპის ენერგია ამ ენერგიის სხვა ნაირსახეობად გადავაქციოთ. სენსორული ტრანსდუქცია არის პროცესი, რომლითაც ჩვენი სენსორული სისტემა სტიმულს (ბიძის ენერგიას) ნევრულ შეტყობინებად გადააქცევს. მეცნიერულად რომ მივუდგეთ, თვალს ფერი კი არ აღიზიანებს, არამედ ელექტრომაგნიტური ენერგიის პულსები (იმპულსები), რომლებსაც ჩვენი ვიზუალური ენერგია აღიქვავს როგორც ფერს. ჩვენი გონების სარკმელი – თვალი, ვიზიკურ ენერგიას ფერის შეგრძნებად გადააქცევს. ვიზუალური ინფორმაციის გაანალიზება შედარებით უფრო აბსტრაქტულ დონეებზე მიმდინარეობს. პირველ ეტაპზე, პირველად დონეზე ამჟავებს ინფორმაციას, სანამ ის ტვინის ქერქს ეგზავნება. ბადურას ნევრული შრეები არა მხოლოდ გაივლის ელექტრულ იმპულსებს, ისინი ასევე სენსორული ინფორმაციის დეკოდირებაში და გაანალიზებაში გვეხმარება.

გონებრივი ქმედების უფრო მაღალი დონე, რომელშიც აღქმა მონაწილეობს, არის სენსორული შეტყობინების, მიღებული ინფორმაციისა და ცნობიერების კომბინაცია.

თუკი ვინმე ხედავს ტომატს, ის წითელია? პასუხია: არა. უპირველეს ყოვლისა ის ყველაფერია წითლის გარდა. მეორე, ტომატის ფერი არის ჩვენი გონებრივი კონსტრუქცია (mental construction). როგორც აღნიშნავდა ისააკ ნიუტონი (Isaac Newton 1704), “შექი/სხვივები არ არის ფერადი. ფერი როგორც ხედვის ყველა ასპექტი, ბინადრობს არა ობიექტში, არამედ ჩვენი გონების თეატრში. სიზმარშიც კი შეგვიძლია აღვიქვათ სამყარო ფერებში “The rays/ light are not coloured. Color, like all aspects of vision, resides not in the object but in the theater of our brains. Even while dreaming we may perceive things in colour“ [154, 172].

იანგ-ჰელმპოლტსის ტრიქრომატული თეორიის მიხედვით, ნებისმიერი შეიძლება შეიქმნას სამი ძირითადი ფერის (წითელი, მწვანე, და ცისფერი) სინათლის ტალღების კომბინირებით. არ არის ყვითლისადმი განსაკუთრებით მგრძნობიარე რეცეპტორები. თუმცა, როდესაც მგრძნობიარე კონუსები სტიმულირდება წითელზე და მწვანეზე, ჩვენ ვხედავთ ყვითელს.

იანგისა და ჰელმპოლცის მიერ შემოთავაზებული ტრიქომატული თეორიის შემდგომ, ფსიქოლოგმა ევალდ ჰერინგმა მიუთითა, რომ ხედვის სხვა ნიუანსები მაინც ამოუცნობი რჩება. მაგალითად, ჩვენ ვხედავთ ყვითელს, როდესაც ვურევთ წითელსა და მწვანე განათებას. მაგრამ, როგორ ხდება, რომ ისინი ვინც ვერ ხედავს წითელს და მწვანეს, მაინც ხედავს ყვითელს? და რატომ არის ყვითელი სუფთა ფერი და არა წითლისა და მწვანეს ნაზავი, როგორც მაგალითად, წითლისა და ცისფრის ნაზავი – იისფერი?

აშკარად განსხვავებულია ის სურათი, რომელიც ჩვენ გონიერი ჩნდება, როდესაც ვკითხულობთ ფერის და კონკრეტული საგანის განმარტებას. კონცეპტუალური ხელოვნების წარმომადგენელს იოსებ კოჯუბს ერთ-ერთ ექსპოზიციაზე გამოფენილი ჰქონდა საგნების ფოტოები - მაგალითად stool, თვითონ ნივთი და ლექსიკონიდან ამოღებული განმარტება. მაშინ, როდესაც ფერის შემთხვევაში, შესაძლებელია მხოლოდ განმარტებისა და ამ ფერის სიბრტყეზე წარდგენა და არა თვით ფერი როგორც მოცემული კონკრეტული საგანი (ანუ შეიძლება იყოს შავი ნახშირი, შავი მიწა, შავი ხელთათმანი, შავი ტაბურეტი და ასე შემდეგ). ეს სიტუაცია კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ ფერის აღმნიშვნელი სიტყვები განსხვავდება კონკრეტული არსებითი სახელებისაგან, აბსტრაქტულია და უფრო მეტი დატვირთვა შეგრძნებაზე და ასოციაციებზე მოდის. თუმცა ფერის ტერმინოლოგია მაინც განსხვავდება აბსტრაქტული არსებითი სახელებისაგან. თუ ავიდებთ სიტყვას love - a strong feeling of deep affection for sb/sth, especially a member of your family or friend. (Oxford Dictionary) (განსხვავებით მაგალითად: white (n) the colour of fresh snow or milk.). საინტერესოა თუ იგივეს გაპეოებას შეეცდებოდა კოჟუტი ამ ცნებასთან მიმართებაში მაშინ, როგორც ჩანს მხოლოდ ერთი კომპონენტი დარჩებოდა გამოსაფენად. ეს იქნებოდა განმარტება ვებსტერის ლექსიკონიდან, რადგან სიყვარულს ფოტოს ვერ გადაუდებდა და ვერც დადებდა თვალსაჩინოებისათვის განმარტების გვერდით. აქედან ჩანს, რომ ფერის ტერმინოლოგია ეკუთვნის გარკვეულწილად არც ბოლომდე კონკრეტულ, არც ბოლომდე აბსტრაქტულ არსებით სახელებს, არამედ იგი თავისებური ფენომენია და ეს უკავშირდება, როგორც ადამიანის უნიკალურ შესაძლებლობას განასხვავოს ფერები სპექტრში,

ასევე მის უნიკალურ აზროვნებას, დამოუკიდებელ ფონურ ცოდნას. თუმცა ის ფაქტი, რომ ფერის აღმნიშვნელი სიტყვების კონცეფტი ამდენად სუბიექტურია, არ გამორიცხავს ფერის აღმნიშვნელი სიტყვების პირველადი მნიშვნელობის ობიექტურ პირობითობას და სიმბოლიკას, რაც თავისთავად პირობითია გარკვეული საზოგადოებისათვის.

გარდა ამისა, ნებისმიერ ენაში სიტყვა თავის მნიშვნელობას ავლენს საწინააღმდეგო მნიშვნელობის სიტყვასთან შეპირისპირებისას. და ისევ შევეხოთ შინაგან ფორმას, რაც უკიდურესად მნიშვნელოვანია ფერის აღმნიშვნელი ლექსიკის ანალიზის დროს.

ცისფერი – ენერგია, სევდა.

ვარდისფერი – სიყვარული, აუხდენელი ოცნება.

ნაცრისფერი – მოწყენილობა, სევდა.

მწვანე – ერთფეროვნება, ენერგიულობა. და ასე შემდეგ.

სადაც თავად „შინაგან ფორმაში“ ვლინდება ოპოზიციები. თუკი გავითვალისწინებთ საყოველთაოდ მიღებულ ფერებს სქესთან შესაბამისობაში, მაგალითად, ცისფერს რა თქმა უნდა დაუპირისპირდება ვარდისფერი, ანდა სიკეთისა და ბოროტების ცნების გათვალისწინებით, თეთრს – შავი.

ლინგვისტური თანაფარდობის თეორიის თანახმად, ჩვენ რეალობას აღვიქვავთ არა მხოლოდ გრძნობის ორგანოებით, არამედ ჩვენი ენის დახმარებითაც და ყოველი ენა რეალობას სხვადასხვაგვარად აღიქვავს. მაგალითად, ქართულში: სიბრაზისგან გაწითლდა (became as blue as devil), აგრეთვე ფერის გამოყენება «Довели до белого каления» (Became red with fury/anger). ამ ფრაზებში თეთრი რუსულში აღნიშნავს ხარისხს, ისევე, როგორც ინგლისურში blue.red=წითელი ტოლია და გამოხატავენ ნაკლებ ხარისხს, ვიდრე ზემოაღნიშნულნი, ამას გარდა, არა მხოლოდ შინაგან ფორმაში, არამედ უკვე სიტყვის არარსებობა, რომელიც აღნიშნავს მწვანე ფერს მაგალითად, მეგრულ ენაში. ანდა ფერების ტერმინოლოგიის მეტაფორული სინონიმების არსებობა ადასტურებს ლინგვისტური თანაფარდობის პიპოთეზას.

ფერთა სისტემის რეალობა და ზოგადად რეალობა – შეიძლება განისაზღვროს, როგორც რთულ ნიშანთა სისტემა. იგი ღმერთმა ადამიანთა საშუალებით შექმნა და ისინი მას იყენებენ და ყოველი რეალობა – ეს ენობრივი თამაშია. რეალობა თავის თავში იმდენ ნიშანთა სისტემას (ენობრივ თამაშებს) მოიცავს, რომ რეალობის რიგითი მატარებელი და მომხმარებელი

მიდრეკილია უგულებელყოს მისი სემიოლოგიური ხასიათი. შეიძლება ასეც ითქვას, ერთი და იგივე საგნები და ფაქტები ზოგიერთი ადამიანისთვის და ზოგიერთი სიტუაციისთვის (შესაძლო სამყაროების სემანტიკა) გლინდება, როგორც ტექსტები, ხოლო სხვათათვის და სხვა პირობებში – როგორც რეალობის ელემენტები.

მალევიჩისთვის შავი კვადრატი – ტექსტია, როტკოსთვის ფერადი ლაქა, კონტრასტები – ტექსტია, რომელიც რეალობაზე საუბრობს. ადამიანითვის, რომელიც ფლობს ამ გზავნილისთვის საჭირო ფონურ ცოდნას (tezauruss), ეს ტექსტია, იმ დროს, როდესაც სხვა ადამიანისთვის ეს მომენტალური გავლენაა სტიმულის დონეზე (შეგრძნება ემოცია→ნაწილობრივი აღქმა), რომელიც არ არის გამორიცხული, რომ იყოს ქვეცნობიერი, არაგანზრახვითი. ჩვენ, პირველ რიგში უნდა გავიგოთ გზავნილის აზრი, ანუ რაზეა აქ საუბარი, იმისდა მიუხედავად, სიმართლეა თუ არა, სიცრუეა თუ გამოგონილია. და მაშინ, როცა ჩვენ გავიგეთ ამ გზავნილის აზრი (და არა ჭეშმარიტი მნიშვნელობა), ჩვენ ავტომატურად იგი ჩვენ ენაში არსებულ სწორ გამოთქმებს დავამატეთ.

ენათმეცნიერი თამაზ გამყრელიძე წერს დაპირისპირებებზე ენაში: გარე სამყაროს ობიექტებსა და მოვლენებს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებები ადამიანის მიერ დაპირისპირებებად აღიქმება; ზოგიერთი სახის დაპირისპირებები ენაში ანტონიმის სახით ვლინდება. ლექსიკური ანტონიმები, ანუ ერთნაირი სემანტიკური გალენტობის მქონე ერთი და იგივე სტრუქტურული კლასის წევრი ლექსემები, რომელთა მნიშვნელობები დაპირისპირებულია ერთმანეთთან.

შეგვიძლია განვიხილოთ ფერების დაპირისპირება. სემანტიკური მიმართებები ფერებში ოპოზიციების თვალსაზრისით საკმაოდ სპეციფიკურია. პირველი შეხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თეთრი და შავი მაგალითად, არც არის დაპირისპირებაში ერთმანეთთან, მათთვის კოპიპონიმია სიტყვა „ფერები“, თუმცა ამ ფერების კონტრასტი თვალსაჩინოა შინაარსობრივადაც, თეთრი – სიწმინდე, შავი – ბოროტება. თუმცა, ალბათ, სემანტიკური მიმართება ამ ლექსიკას შორის იქნება უფრო ამ პრინციპით „P – არა P (სადაც P რაღაც მოვლენაა). ამ შემთხვევაში ფერების აღმნიშვნელი სიტყვები შეგვიძლია ჩავთვალოთ მოვლენად, ანუ თეთრი=არა თეთრი, შავი=არა შავი. აქ „P“ მოვლენა დამატებითია „არა P“ მოვლენის მიმართ, ისინი ერთად ამოწურავენ მოცემული დიფერენციალური ნიშნის მნიშვნელობებს. მაგალითად ერთ-ერთი მნიშვნელობა

”სევდა“ შეიძლება გამოვხატოთ განსხვავებული ფერებით black, blue, green, white (იგულისხმება ეს ლექსიკა კონტექსტში), ანუ ეს სიტყვები „გარე ფორმით“ არიან განსხვავებული, მაგრამ გარევეულ კონტექსტში ვლინდებიან როგორც სინონიმები, და ამავდროულად ინარჩუნებენ პოტენციალს სხვა კონტექსტში ანტონიმებად იმოქმედონ. ფერების აღმნიშვნელი სიტყვების ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენ უნდა დავაკვირდეთ უფრო შინაგან ფორმას, რომელსაც უშუალოდ განაპირობებს კონტექსტი და თვითონ სუბიექტი. მაგალითად, წინადადებები: “He became as white as a chalk” არ იწვევს დადებით ასოციაციას, თეთრი აქ არის დაკავშირებული შიშთან, შოკთან. თეთრს აქ არა აქვს ის ტრადიციული სიმბოლური პირველადი მნიშვნელობა სიწმინდის და სისუფთავის მსგავსად: Woman in black looked exquisite/elegant, რაც აშკარად უკარად უკავშირდება დადებით განწყობას. იგივენაირად როგორც „in white dress and with white roses, she looked like angel at her wedding. და პირიქით, Black attire and dim light in the room filled him with mystery. იგივენაირად blue ფერის აღმნიშვნელ ფერს კონტექსტში შეიძლება ჰქონდეს დადებითი დატვირთვა, ან უარყოფითი, ამას განაპირობებს თვითონ კონტექსტი, რომელიც ქმნის განწყობას. ანუ მკითხველის ან მსმენელის გონიერაში „ამუქებს“ ან „აბაცებს“ ამ სიტყვის მნიშვნელობას. მაგალითად, რომ დავაკვირდეთ ფერის აღმნიშვნელ სიტყვებს, ეს „ოპოზიციური შინაგანი ფორმა“ ახასიათებს პრაქტიკულად ყველა ფერის აღმნიშვნელ სიტყვას და ამაში წამყვანია კონტექსტი, შემდეგ შეგრძნება (სტიმული), აღქმა და გამოცდილების საფუძველზე (ტეზაურულის), ფონურ ცოდნაზე დაყრდნობით, ცნობიერად ან ქვეცნობიერად ემოცია მონაწილეობს „შინაგანი ფორმის“ ნომინაციის შემოქმედებით პროცესში.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „P - არა P,, დამოკიდებულება არსებობს ამ ლექსიკის შინაგან ფორმაში ამ მოდელის ფართო გაგებით, რადგან იგივე გარეგანი ფორმა შეიცავს ამ მოდელს თავის შინაგან ფორმაში, და ამავდროულად სხვა ფერის აღმნიშვნელ სიტყვას შეუძლია ამა თუ იმ კონტექსტში გამოვლინდეს მეორე ფერის აღმნიშვნელი სიტყვისათვის როგორც ოპოზიტი.

თავი III. ენა, კულტურა და ხელოვნება

3.1. ფერის ფენომენის ლინგვისტური ანალიზი სახითი ხელოვნების კონტექსტში

ფერის ფენომენის კომპლექსურად შესწავლა საშუალებას გვაძლევს უფრო ხარისხიანად შევისწავლოთ ფერის აღმნიშვნელი სიტყვების ნომინაციის პროცესი. საინტერესოა თვითონ ნომინაციის შემოქმედებით პროცესში ხელოვნების კონტექსტში ფრეიმების დარღვევის პრინციპის განხილვა. ფერის აღმნიშვნელი სიტყვების განმარტების შედარებისას სხვა ტიპის ლექსიკასთან, თვალსაჩინო ხდება, რომ შეხება გვაქვს განსაკუთრებულ ლექსიკურ ველთან, რომლის შესწავლა მაქსიმალურად ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით ხდება (როგორც შიდა, ასევე გარე ლინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებით).

ფერის, როგორც ფენომენის ანალიზი არასოდეს არ იქნება სრულყოფილი, თუ ეს საკითხი კომპლექსურად არ იქნება განხილული. წარმოადგენს თუ არა ფერის აღმნიშვნელი სიტყვები უკვე მზა პროდუქტს ნებისმიერ საზოგადოებაში, თუ ამ სიტყვების აღქმა და გაგება უშუალოდ კონტექსტზეა (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) დამოკიდებული? როგორც ჩანს, ეს არის აღქმის, შეგრძნების, გარკვეული ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით, სოციალურ და კულტურულ თავისებურებებზე დაყრდნობით მიღებული ენობრივი ინვენტარი; მათი მნიშვნელობა, მრავალფეროვნება, პოლისემია და გამოყენება პირდაპირ კავშირშია საზოგადოების განვითარებასთან და თითოეული ინდივიდის ფონურ ცოდნასთნ.

დავიწყოთ იქიდან, რომ უშუალოდ სიტყვა black, white, blue, green, red etc. არაფრის მთქმელია ადამიანისათვის, თუ არა ასოციაციები, რასაც ადამიანი უკავშირებს მას. შევადაროთ ორი სიტყვის განმარტება ლექსიკონიდან (Webster-იდან):

Black (adj) of the color black: having the color of soot or coal)

Black (n) the neutral or achromatic object color of least lightness: the darkest gray: the achromatic color bearing the least resemblance to white. B: the one of the six psychologically primary colours that is characteristically perceived to belong to objects that neither reflect nor transmit an appreciable fraction of the incident light [Webster, 186].

და შევადაროთ სხვა სიტყვის განმარტებას, როგორიცაა მაგალითად:

stool n. a seat with legs but with nothing to support your back or arms: a bar stool, a piano stool. (Oxford Advanced Learner's Dictionary, 2000) [188].

აშკარად განსხვავებულია ის სურათი, რომელიც წარდგება ჩვენ გონიერად, როცა ვკითხულობთ ფერის განმარტებას და როცა ვკითხულობთ კონკრეტული საგნის განმარტებას. კონცეპტუალური ხელოვნების წარმომადგენელ, იოსებ კოჯუბეს გამოფენილი ჰქონდა თვით საგნის ფოტო, მაგალითად: stool, თვითონ ნივთი და ლექსიკონიდან ამოღებული განმარტება. მაშინ, როცა ფერის შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ განმარტების და ამ ფერის სიბრტყეზე წარდგენა, და არა უშუალოდ საგნის ფერისა (ანუ შეიძლება იყოს შავი ნახშირი, შავი მიწა, შავი ხელთათმანი, შავი ტაბურეტი და ასე შემდეგ.), ეს სიტუაცია კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ ფერის აღმნიშვნელი სიტყვები განსხვავდება კონკრეტული არსებითი სახელებისაგან, აბსტრაქტულია და უფრო მეტი დატვირთვა მოდის შეგრძნებაზე და ასოციაციებზე. თუმცა, ფერის ტერმინოლოგია მაინც განსხვავდება აბსტრაქტული არსებითი სახელებისაგან, მაგალითად, თუ ავიდებთ სიტყვას: love - a strong feeling of deep affection for sb/sth, especially a member of your family or friend. (Oxford Dictionary) (განსხვავებით მაგალითად: white (n) the colour of fresh snow or milk.). საინტერესოა, იგივეს გაკეთებას თუ შეეცდებოდა კოუზტი ამ ცნებასთან მიმართებაში. მაშინ, როგორც ჩანს, გამოსაფენად მხოლოდ ერთი კომპონენტი დარჩებოდა და ეს იქნებოდა განმარტება გებსტერის ლექსიკონიდან, რადგან სიყვარულს ფოტოს ვერ გადაუდებდა და ვერც თვალსაჩინოებისათვის დადებდა განმარტების გერმანული. აქედან ჩანს, რომ ფერის ტერმინოლოგია გარკვეულწილად არც ბოლომდე კონკრეტულ, არც ბოლომდე აბსტრაქტულ სახელებს ეკუთვნის. იგი თავისებური ფენომენია, და ეს უკავშირდება, როგორც ადამიანის უნიკალურ შესაძლებლობას განასხვავოს ფერები სპექტრში, ასევე მის უნიკალურ აზროვნებას, დამოუკიდებელ ფონურ ცოდნას. თუმცა, ის ფაქტი, რომ ფერის აღმნიშვნელი სიტყვების კონცეფტი ამდენად სუბიექტურია, არ გამორიცხავს ფერის აღმნიშვნელი სიტყვების პირველადი მნიშვნელობის ობიექტურ პირობითობას, და სიმბოლიკას, რაც თავისთავად პირობითია გარკვეული საზოგადოებისათვის.

თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ ფერის აღმნიშვნელი სიტყვების „აღქმის“ საფეხურები, რომელიც პრაქტიკულად საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ ფერის აღმნიშვნელი სიტყვების ნომინაციის პროცესი (ამ სიტყვის ფართო გაგებით). ანუ როგორ ურთიერთკავშირში არიან აზროვნების

ფორმები ობიექტური რეალობის სხვადასხვა ფრაგმენტების დასახელებებთან (სიტყვის შინაგანი ფორმა-კონცეფტი და თვითონ სიტყვა), როგორ იქმნებიან, თავს იმკვიდრებენ და ვრცელდებიან გარკვეულ სოციუმში [6, 1].

იმის გათვალისწინებით, რომ ნომინაციის პროცესი ქმედითი პროცესია, ზოგადად განვიხილოთ რა არის შემოქმედება და რა კომპონენტებიდან შედგება ის. იმისათვის, რომ შედგეს შემოქმედებითი პროცესი, საჭიროა თვითონ შემქმნელი (შემოქმედი), თვით პროდუქტი რომელსაც ის ქმნის და მაყურებელი, რომელიც ამას აანალიზებს და აფასებს. თუმცა ამაშიც შევიტანოთ პატარა კორექტივი, მეორე კომპონენტი, რამდენად არის ეს პროდუქტი ბოლომდე მზა პროდუქტი? სწორედ ეს გვაინტერესებს, და ჩანს კიდევაც, რომ ფერის აღმნიშვნელი სიტყვების შემთხვევაში განსაკუთრებით მოქმედებს მესამე კომპონენტი, ანუ სუბიექტი და მისი ფონური ცოდნა. ტრადიციულად, ნომინაციის პროცესში უკვე არსებული „კონცეფცია“ იძენს ფორმას და შემდგომში პირობითად საზოგადოებაში ვითარდება, ანუ პირობითად მისაღებ მნიშვნელობებს იძენს. საუბრებში ფსიქიკის საიდუმლოებებზე, ი. კოლომინსკი წერს: როდესაც მეცნიერი გ. ბრუტიანი სეფირ-უორფის ჰიპოთეზას აკრიტიკებდა, უ. შექსპირს მოუხმო: „რაა სახელი? ვარდი ვარდის სურნელს გამოსცემს, გინდ ვარდი ერქვას, გინდ ასკილი“ [3, 196]. ეს სიტყვები ბ. უორფს აკრიტიკებს, რომელიც გაგრცელებულ მცდარ აზრს იზიარებდა, თითქოს, ენის ფუნქცია რეალობის აღდგენაა. რეალურად რაც შეეხება ფერის ნომინაციას და ფერის აღქმას, ეს ის არ არის, რომ ჩვენ განვასხვავებთ წითელს, ყვითელს და მწვანეს და ასე შემდეგ იმისდა მიხედვით, თუ როგორ რეაგირებს სინათლეზე ჩვენი მხედველობის აპარატი. თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მაშინ ყველა ადამიანს ლექსიკონში ფერის აღმნიშვნელი ტერმინოლოგიის ერთი და იგივე რაოდენობა ექნებოდა, და არც ბერლინის და ქვეის თეორია არ არის სრულყოფილი ამ თვალსაზრისით (ბერლინი და ქვეი საკმაოდ თამაშ ჰიპოთეზამდე მივიღნენ, რომ არსებობს თერთმეტი ფერის უნივერსალური კატეგორია, რომლიდანაც თითოეული ენა იღებს დასაწყისს. ბერლინის და ქვეის მიხედვით, თუ რომელიმე ენაში არსებობს white, ე.ი. არსებობს black-იც, ანუ ეს მეცნიერები წერენ “პირობით უნივერსალობაზე”, და ამას შემდეგნაირად ხსნიან: ყოველივე ორი ფერის კატეგორიისათვის [x] და [y], [x]<[y] ნიშნავს იმას, რომ თუ ენაში არსებობს y მაშინ მას ასევე გააჩნია x.

White/black<red<green,yellow<blue<brown<purple,pink,orange, grey.

White/black – Jale(language of the New Guinea highlands), white/ black/ red Tiv (Nigeria), white/black/red/green Hanunoo (Philippines) etc. [138, 235]

ეს უნივერსალიაც პირობითია.

ახლა კი დავაკვირდეთ ფერის აღმნიშვნელი სიტყვების ნომინაციის ქმედით (შემოქმედებით) პროცესს, როგორც გარკვეული ჩარჩოების (ფრეიმის) დარღვევის პროცესს. ფრეიმის თავისებური კონცეფცია აქვს ტ.ა. ვან დეიკს: “ფრეიმი არის ერთეული, რომელიც თავმოყრილია გარკვეული კონცეფტის ირგვლივ. ფრეიმი კონვენციონალური (პირობითი) ბუნებისაა და ამიტომ შეუძლია აღწეროს და განმარტოს, თუ რა არის მოცემულ საზოგადოებაში ტიპური და დამახასიათებელი” [31, 12]. ტ.ა. ვან დეიკის აზრით, ჩვენი ცოდნა სამყაროს შესახებ ცნობიერებაში ფრეიმების სახით არის ორგანიზებული, რაც ენასა და მის ფუნქციონირებაში იდებს მონაწილეობას. კერძოდ, “ფრეიმი” პასუხს აგებს იმ საკითხის გადაწყვეტაზე, თუ რაოდენ არის შესრულებული საჭირო პირობები სამეტყველო აქტის მიზანშეწონილობისათვის.

ადამიანის გარკვეულ ცოდნას საგნის ან მოვლენის შესახებ მოაქვს ის, რომ შესაბამის სიტუაციაში გვაქვს მოლოდინი ზუსტად ასეთი თუ ისეთი საგნის ან მოვლენისა. მაგალითად, ვარდზე საუბრისას, ვიცით მისი “ფრეიმი” და გვაქვს ამ “ფრეიმის” მოლოდინი. ჩვენ მოლოდინს კი განაპირობებს ჩვენი ზოგადი ცოდნა.

იმის გამოჩენა, შემოსვლა ჩვენი აღქმის სფეროში, რაც არ შეესაბამება ჩვენს ცოდნას სამყაროს შესახებ, ანუ ჩვენს მოლოდინს, იწვევს მოლოდინის გაცრუებას ანუ გაცრუებული მოლოდინის ეფექტს (ანუ მოულოდნელობის). გამოჩენის დაბალი ალბათობის მქონე ელემენტის გამოჩენა „ბიძგისმაგვარად“ მოქმედებს და იწვევს შეფერხებას აღქმაში.

კონტექსტუალური მოლოდინი? დღესდღეობით არავისში იწვევს შოკს ის ფაქტი, რომ გამოფენაზე ხედავს გვერდს ლექსიკონიდან. ახალი კონტექსტი, და ახალი აღქმა. 6. ლიზი წერს: „ეს პარადოქსი, რომელიც შეიძლება გამართლებულ იქნას, თავს იჩენს როგორც ენაში, ასევე სხვა სფეროებში. ხელოვანი ნამდვილად შემომქმედი რომ იყოს, უნდა იყოს დამანგრევები“ [138,395]. ლიზი წერს კონკრეტულად მწერალზე, მაგრამ ეს ზოგადად შეიძლება შეეხოს მთლიანად ნომინაციის პროცესს. თავად ადრესანტის შემოქმედებითი უნარი მოითხოვს აგრეთვე, ასეთივე უნარს ადრესატისაგან, რომელმაც უნდა

გამოიტანოს დასკვნა თავისი საერთო ლოგიკით. “გაურკვევლობა შეიძლება გაუთანაბრდეს იმ ხარისხს, რომლითაც მკითხველი საჭიროა იყოს შემომქმედი.“

ზოგადად მეცნიერებაში შეგრძნებასა და ინტუიციაზე დაყრდნობით დასკვნებს არავინ აკეთებს. ეს არც ჩვენს მიზნებში შედის: ყველაფერი უნდა იყოს დასაბუთებული ფაქტებით, ხოლო აღქმასა და შეგრძნებას ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ ფერის ფენომენის შესწავლა ოდნავ განსხვავებულია. ფერის ტერმინოლოგიის პირველად მნიშვნელობას, შეგვიძლია ვუწოდოთ ტავტოლოგიური. „ბუნებრივ გარემოში ობიექტების უმეტესობას აქვს ფიქსირებული ფერები და შესაბამისად, ზედაპირულია განვსაზღვროთ ისინი ფერების მიხედვით, მაგალითად: white snow, green leaves, red blood, blue sky, black coals. ფერის მანიპულაციის ქმედებები წარმოადგენს შესაძლებლობას რადიკალურად შეცვალოს ორივეს ფერები, ბუნებრივი და ადამიანის მიერ შექმნილი ობიექტებისა ისე, რომ მათი დასახელება ფერის აღმნიშვნელი სიტყვებით აღარ არის ზედმეტი, ანუ „ტავტოლოგიური“ (თვითონ ვიტკოვსკი იყენებს ტერმინს ‘ზედმეტი’ redundant), და ზოგ შემთხვევაში პრაქტიკულად საჭიროცაა [181, 15].

თუ შეგადარებთ, ეს ისეთი გამოფენის მსგავსია სახვით ხელოვნებაში, როგორიცაა ეგრეთ წოდებული „დასკვნის მქონე“, „დამთავრებული შედეგის“ პირდაპირი ინფორმაციის მატარებელი გამოფენები. მაშინ, როცა კოჯუტისული გამოფენები იწვევს გარკვეულ არეულობას, დაბნეულობას, სადაც ელემენტარული გვერდები ვებსტერიდან ხელოვნების ნიმუშად არის გადაქცეული. ან ადრინდელი მაგალითებიდან რომ ავიდოთ მალევიჩის შავი კვადრატი და მომავალში როდეს შემოქმედება. ეს ყველაფერი კარდინალურად განსხვავდება პირობითი/ჩეგულებრივი გამოფენისაგან, რომლის შინაარსი სცენის უკან, გარკვეული ჩაკეტილი ინფორმაციის დოზებით არსებობს. ეს არის „პირობითობის ჩარჩოს“ დარღვევის მაგალითი, ანუ შემოქმედებითი პროცესი, რომელსაც ასევე თვალს ვადევნებთ ნომინაციის პროცესის დროს ენაში და რომელსაც განაპირობებს კონტექსტი, ფონური ცოდნა და მოლოდინი (ან მოულოდნელობა).

ზუსტად ეს პრობლემატური/კონცეპტუალური კოგნიტური მიდგომა გვაძლევს საშუალებას, რომ უფრო დრმად ჩავიხედოთ ფერის ფენომენის შესწავლაში. ჯონატან ფიში ამ საკითხთან დაკავშირებით წერს, რომ ხელოვნებას და მეცნიერებას აქვს საერთო ფილოსოფიის თემა და ეს არის

ფერი [111, 89]. აშკარაა, რომ ენათმეცნიერებას აქვს მოთხოვნილება განიხილოს ეს საკითხი ხელოვნების დახმარებით, კომპლექსურად. ნათელი ხდება, რომ შავი (black), ეს არ არის მხოლოდ პირველადი მნიშვნელობა „of the darkest possible color or hue, like soot or coal“, ის მხოლოდ ტავტოლოგიაა, black coal, ფერს თავისი გარკვეული „შინაარსი“ აქვს გამოხატვისას. ეს უფრო მეტია ვიდრე უბრალოდ სიმბოლო შავი – ბოროტების სიმბოლო; და ის არ არის უბრალოდ შავი – გარკვეულ კონტექსტში ელეგანტურობის გამომხატველი ფერი, ან შურის გამომხატველი ფერი (შურისგან გაშავდა black/green with envy), არამედ უფრო მეტია: ეს არის გრძნობა და ამით ჩნდება სიტყვის კონტაციური მნიშვნელობა; ის უფრო მეტია ვიდრე სიტყვის პოეტური მნიშვნელობა, ეს არის ემოციური ფონი, რომელიც თან ახლავს შეტყობინებას.

ამგვარდ, ფერის ტერმიოლოგიის ენაში ფუნქციონირების შესწავლისას, აქცენტი ზუსტად გადადის ამ ტერმინოლოგიის კოგნიტურ ანალიზზ. პარალელი სახვით ხელოვნებასა და ლინგვისტიკას შორის გვეხმარება უფრო სიღრმისეულად შევისწავლოთ ფერის ფენომენი ფსიქო-ლინგვისტურ დონეზე. ასეთი მიდგომის დროს ამ სიტყვების მნიშვნელობის განვითარების პროცესი, ანუ ამ სიტყვის წარმოშობა, პირველადი მნიშვნელობა, სიმბოლიკა ხდება მეორეხარისხოვანი, შესწავლის დიაპაზონი უფრო ფართოვდება და ცილდება პირობითობის საზღვრებს. ეს გვეხმარება განვიხილოთ ფერის ფენომენი არა მხოლოდ როგორც სიმბოლო, ან ტავტოლოგია, არა როგორც „გრძნობა“, რომელიც კონტაციურ დატვირთვას სძენს სიტყვას და მას პოეტურ მნიშვნელობას ანიჭებს, არამედ ეს ამ ყველაფერზე უფრო მეტია, ეს არის ემოციური ფონი, რომელსაც თან ახლავს შეტყობინება, და ფერის აღმნიშვნელი სიტყვები ვლინდება, როგორც ლექსიკის სპეციფიკური კატეგორია, რომელიც გარდამავალია კონკრეტულსა და აბსტრაქტულს შორის, და რომლის მაგალითზეც შეგვიძლია უფრო ღრმად განვიხილოთ ნომინაციის პროცესი.

3.2. ლინგვისტური ფარდობითობის პიკოთეზა

ამერიკელი ლინგვისტების, ედუარდ სეპირისა და ბენჯამინ ლი უორფის მიერ 1920-1940-იან წლებში დამუშავდა თეორია, რომლის თანახმადაც რეალობა კი არ განსაზღვრავს ენას, რომელზედაც საუბრობენ, არამედ, პირიქით, ჩვენი

ენა ყოველთვის ახლებურად ანაწევრებს რეალობას. რეალობა გაშუალედებულია ენით. თავდაპირველად ეს აზრი ზოგადად სეპირის მიერ იყო გამოთქმული: „ადამიანები ცხოვრობენ არა მარტო საგნების ობიექტურ და საზოგადოებრივი საქმიანობის სამყაროში, როგორც ჩვეულებრივად მიაჩნიათ, ისინი მნიშვნელოვანწილად იმ კონკრეტული ენის გავლენის ქვეშ იმყოფებიან, რომელიც მოცემული საზოგადოების ურთიერთობის საშუალებაა. მცდარი იქნებოდა მოსაზრება, რომ ჩვენ შეგვიძლია მთლიანად გავაცნობიეროთ სინამდვილე ენის გამოყენების გარეშე, ან, რომ ენა მეორადი საშუალებაა ზოგიერთი კერძო პრობლემებისა და აზროვნების გასარკვევად. სინამდვილეში, „რეალური სამყარო“ უმეტესად არაცნობიერად არის აგებული მოცემული ჯგუფის ენობრივი ნორმების საფუძველზე... ჩვენ ვხედავთ, გვესმის და აღვიქვავთ ასე თუ ისე, ამა თუ იმ მოვლენებს უმეტესად იმიტომ, რომ ჩვენი საზოგადოების ენობრივი ნორმები გამოხატვის მოცემულ ფორმებს გვთავაზობს“. უორფმა დეტალურად განავითარა სეპირის შეხედულებები. უორფი არ იყო ჩვეულებრივი ლინგვისტი. პროფესიონალი იგი ქიმიკოსი იყო და სპეციალობით მუშაობამ მას საშუალება მისცა ენისათვის სპეციფიკურად შეეხდა – პრაგმატიკისა და პრაგმატიზმის თვალსაზრისით. აი, ასე აღწერს იგი თავის შთაბეჭდილებებს ბენზინის ქარხანაში მუშაობის შესახებ: უორფი იყო ამერიკელი ინდიელების კულტურისა და ენების მგზებარე თაყვანისცემელი. ადარებდა რა მათ ენებს საშუალო სტანდარტულ ევროპულ ენებთან, მან სწორედ მაშინ ჩამოაყალიბა ლინგვისტური ფარდობითობის პიპოთეზა. ენაში ასახულ ფორმას, კულტურას, წეს-ჩვეულებებს, ეთიკურ და რელიგიურ წარმოდგენებს ამერიკელ ინდიელებთან განსაკუთრებულად თავისებური ხასიათი ჰქონდა და მკვეთრად განსხვავდებოდა იმ ყველაფრისგან, რასაც კულტურის ამ სფეროში იცნობდნენ მეცნიერები მათთან შეხვედრამდე. სწორედ ამ გარემოებამ მიანიშნა ენობრივ ფორმებს, კულტურასა და აზროვნებას შორის პირდაპირი კავშირის არსებობაზე. უორფი წერდა: “ხოპის „გონებრივი სამყარო“ არ იცნობს წარმოსახვით სივრცეს. აქედან გამომდინარეობს, რომ ისინი აზრს რეალური სამყაროს შესახებ მხოლოდ რეალურ სამყაროსთან აკავშირებენ და რეალურ სივრცეს ვერ ანცალკებენ აზრის ზემოქმედებისაგან. ხოპიზე მოსაუბრე ადამიანი ბუნებრივია, ივარაუდებდა, რომ იგი თავად ან მისი გონება მოგზაურობს ვარდის ბუქთან ან მაისის კვირტან, რომლებზეც ის ფიქრობს. მისმა აზრმა კვალი უნდა დატოვოს მცენარეზე მინდორში. თუკი აზრი ჯანმრთელობასა ან ზრდაზე კარგი აზრია –

ეს კარგია მცენარისთვის, თუ ცუდია – ცუდი“. კიდევ ერთი მაგალითი: „ხოპის ენაზე მრავლობითი რიცხვი და რაოდენობითი რიცხვის გამოიყენება მხოლოდ იმ საგნების აღსანიშნავად არის შესაძლებელი, რომლებიც ქმნიან და შეუძლიათ შექმნან რეალური ჯგუფი. იქ არ არსებობს წარმოსახვითი რიცხვების მრავლობითობა, მათ ნაცვლად გამოიყენება რიგობითი რიცხვითი მხოლობით რიცხვში. ისეთი გამოთქმა, როგორც „ათი დღე“ არ გამოიყენება. ამის ეკვივალენტია გამოთქმა, რომელიც თვლის პროცესზე მიუთითებს. ამრიგად, „ისინი ათი დღე იყვნენ“ გამოითქმის ნაცვლად: „მათ იცოცხლეს მეთერთმეტე დღემდე“, ან „ისინი წავიდნენ მეათე დღის შემდეგ“. მოვიყვანთ უორფის ყველაზე ექსპრესიულ და ხშირად ციტირებულ მაგალითს: „შეიძლება გამოიყოს სინამდვილის რომელიმე ობიექტი და აღინიშნოს – „ეს ჩანჩქერია“. აპაჩების ენა ამ გამოთქმას აგებს სიტყვაზე „იყო თეთრი“, რასაც შემოაქვს დაღმართზე მოძრაობის მნიშვნელობა: სითეთრე მოძრაობს დაღმართზე. შედეგი შეესაბამება ჩვენს „ჩანჩქერს“, მაგრამ სინამდვილეში მტკიცება წარმოადგენს შეერთებას: „წყლისა და წყაროს მსგავსად, სითეთრე დაღმართზე მოედინება“. როგორ არ პგავს ეს ჩვენს აზროვნებას! უორფი ხსნის: „წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე ხალხი მხოლოდ ლურჯ ფერს აღიქვამს. ტერმინი ლურჯი მათთვის კარგავს რაიმე მნიშვნელობას. მათ ენაში ჩვენ ვერ ვნახავთ ფერების სახელებს, ხოლო ლურჯი ფერის ელფერების აღმნიშვნელი მათი სიტყვები შესაბამისი იქნება ჩვენი სიტყვებისა: ღია, მუქი, თეთრი, შავი და ა.შ., მაგრამ არა ჩვენი სიტყვისა „ლურჯი“. იმისათვის, რომ ითქვას, რომ ისინი ხედავენ ლურჯ ფერს, მათ სხვა ფერების აღქმაც უნდა შეეძლოთ“. ლინგვისტური ფარდობითობის პიპოთეზამ დიდი როლი შეასრულა XX ს. კულტურაში და XXI საუკუნეში ის უფრო მნიშვნელოვანი ხდება კოგნიტური ლინგვისტიკის, ანალიტიკური ფილოსოფიისა და დისციპლინათაშორისი კულტუროლოგიური გამოკველებისათვის.

3.3. ენა, როგორც ხელოვნების და ხაზოგადოების გამაურთიანებელი ხაწყისი

ვ. ფონ პუმბოლდტის ლინგვისტურ კონცეფციას წარმოადგენს ენას, კულტურასა და ხელოვნებას შორის არსებული კაგშირი. პუმბოლდტის ფილოსოფიაში ენა გამოვლინდა როგორც სოციალური ინტეგრატორი. ნაჩვენებია, რომ ენა იკვეთება, როგორც სოციალური პრაქტიკებით

განპირობებული სოციალური ფაქტი, როგორც მოვლენა და აქედან გამომდინარე ცალკეული ინდივიდის ენაც (როგორც მისი აზროვნება და მისი მსოფლმხედველობა) იცვლება მისი სოციალური სტატუსის შეცვლის შესაბამისად. ეს უპირისპირდება სეპირ-უორფის თეორიას, რომ ენა თვითონ ანაწევრებს რეალობას და მოქმედებს ადამიანის აზროვნებაზე. წინამდებარე კვლევაში ჩვენ უფრო ვეყრდნობით პუმბოლტის მოსაზრებებს ფერის ტერმინოლოგიის ანალიზის დროს.

ის, რომ ენას, კულტურასა და ხელოვნებას შორის არსებობს მჟიდრო და არსებითი კავშირი, ნათელი გახდა უკვე XVIII ს-ის დასასრულს, მანამდე ვიდრე ისტორიულ და სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა ვ. ფონ პუმბოლოდტის ლინგვისტური კონცეფცია. „ადამის ენის“ ძიება საბოლოოდ XX ს. ეპროპული ფილოსოფიის უმნიშვნელოვანეს მოტივად იქცა, კერძოდ, ნეოპოზიტივიზმისა, რომლის იდეა იყო იდეალური ლოგიკური ენის აგების აუცილებლობა, რომელიც ზუსტად ასახავდა სამყაროს ლოგიკურ სტრუქტურას.

რა თქმა უნდა, ნეოპოზიტივისტების (როგორებიც იყვნენ ვიტგენშტეინი ანდა რუდოლფ კარნაპი თავისი მოწოდებით ენის თერაპიის შესახებ, მისი განთავისუფლების შესახებ მეტაფიზიკისაგან ენობრივი სტრუქტურების ლოგიკური ანალიზის მეშვეობით) ლინგვისტური და ლოგიკური გამოკვლევები აღარ ისახავდნენ მიზნად „ადამის ენის“ ძიებას საკუთრივ სიტყვის მნიშვნელობით, ანუ ენისა რომელზეც საუბრობდნენ პირველი ადამიანები და რომლისგანაც წარმოიშვა შემდგომში დღევანდელ სამყაროში არსებული ყველა ენები. XX საუკუნის ფილოსოფოსებს აინტერესებდათ არა ისტორიული, არამედ ლოგიკური პროტო ენა, იმ ვარაუდიდან გამომდინარე, რომ თავად სამყაროს გააჩნია ლოგიკური, რაციონალური სტრუქტურა, ანდა ყოველ შემთხვევაში, შესაძლებელია მისი ლოგიკურობის წარმატებით წარმოჩენა დაკვირვების ქვეშ მყოფ ფაქტებზე ზეწოლის გარეშე. უფრო ადრეული ეპოქების მოაზროვნეები პროტო ენის ძიებაში იკვლევდნენ რა სხვადასხვა ენებს, მხედველობაში პქონდათ სწორედ ის ენა, რომელზეც საუბრობდნენ პირველი ადამიანები – ის ენა რომლითაც სარგებლობდა კაცობრიობა ენათა ბაბილონურ ადრევამდე, თუ გამოვიყენებო ძველი აღქმის სახეებს. უნდა აღინიშნოს, რომ თავად ერთიანი პროტო ენის იდეა, როგორც ჩანს მომდინარეობს სწორედ ბიბლიური ტექსტიდან, სადაც ადამი ყოველ საგანს თავის ჭეშმარიტ სახელს ანიჭებს, ანუ ქმნის ჭეშმარიტ ენას, რომელიც ბაბილონის გოდოლის ინციდენტის შემდგა

დავიწყებას მიუცემა, ხოლო XVII-XVIII საუკუნეების ლინგვისტები ცდილობენ ამ ენის აღდგენას. „საყოველთაო ენის იდეა, რომელიც გერმანიაში შედარებითი—ისტორიული მეთოდის ფარგლებში პიპოთეტური ინდოევროპული პროტო ენის ძიებაში განხორციელდა, არსებითად წარმოადგენდა საყოველთაო უნივერსალური ენის იდეის გაგრძელებას, რომელიც ევროპაში XVII-XVIII საუკუნეების განმავლობაში მუშავდებოდა. გერმანიაში საყოველთაო „რაციონალური“ ენის იდეა XIX საუკუნის დასაწყისშიც ცოცხლობს“ [14, 117].

ეს იდეები მთელი სისრულით განხორციელდა ვ. ფონ პუმბოლდეტის ენის ფილოსოფიაში, რომელიც ახალი დროის გერმანელი და ფრანგი მოაზროვნეების უშუალო მემკვიდრედ გვევლინება მათი რაციონალიზმითა და მათთვის დამახასიათებელი წარმოდგენებით რაციონალური შემეცნების, როგორც ერთადერთ მნიშვნელოვანი შემეცნების შესახებ.

დიდი ხანია ცხადი გახდა მტკიცება, რომ ენა წარმოადგენს კულტურის საბაზისო ელემენტს, რომელზეც იგება ყველა კულტურული კავშირები და ურთიერთობები მოცემულ საზოგადოებაში. ამდენად, ენა შესაძლებელია წარმოვადგინოთ როგორც ფენომენი, რომელიც სოციალურ სტრუქტურაში სოციალურ კავშირს უზრუნველყოფს. ამდენად იგი იკვეთება, როგორც გამოკვლევის შესაძლო ობიექტი არა მხოლოდ ლინგვისტიკაში და კულტუროლოგიაში, არამედ სოციოლოგიაშიც, რაც ჩანს მაგალითად, ენობრივი პრაქტიკების სპეციფიკით განსხვავებულ სოციალურ სტრატეგიში.

სხვა მხრივ, ენა – ეს არის ხელოვნების განვითარების გარემო, რომელსაც უდავოდ გავლენა აქვს ნებისმიერი მოცემული კულტურის მხატვრული პრინციპების განვითარების თავისებურებებზე და საბოლოო ჯამში განსაზღვრავს სამყაროს მხატვრულ ხედვას მოცემული სოციალური საზოგადოების ფარგლებში. აქედან გამომდინარეობს, რომ ენა განსაზღვრავს არა მხოლოდ სოციალურ ურთიერთობებს როგორც ასეთს, არამედ ცალკეული ადამიანის, როგორც სოციალური აგენტის მიერ მის აღქმას, და აგრეთვე მის მიერ გარე, არასოციალური სამყაროს აღქმას. ამას გარდა, ენის იგივე თავისებურება ზემოქმედებს ინდივიდის თვითგამოხატვის საშუალებებზე, ანუ იმ კომუნიკატიურ პრაქტიკებზე, რომელთა მეშვეობითაც ადამიანი, როგორც საზოგადოების ნაწილი, ერთვება სოციალურ და კულტურულ ურთიერთობებში. სინამდვილეში, ადვილი შესამჩნევია, რომ ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში

მნიშვნელოვანწილად კომუნიკაციური ურთიერთობების მეშვეობით გმონაწილეობთ, ხოლო ეს მაშინ არის შესაძლებელი, თუ ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს გამოვხატოთ საკუთარი მოთხოვნები, სურვილები, ემოციები, რომლებიც მოცემულ შემთხვევაში სოციუმზე გავლენის და მისი შეცვლის ინსტრუმენტი ხდება.

ენა წარმოადგენს საწყისს, რომელიც აერთიანებს პოეზიას, კულტურასა და სოციუმს: პირველის როლი (აქ შევეცდებით წინასწარ განვსაზღვროთ) მდგომარეობს ადამიანის პიროვნების გამოსახვის საშუალებების აგებაში მთელი მისი უნიკალურობითა და განუმეორებლობით; მეორის როლია – ადამიანს მიეცეს მისი ქცევის ფორმალიზაციის საშუალება, შეიზღუდოს მისი მოქმედების თავისუფლება და მის ცნობიერებაში ჩამოყალიბდეს წარმოდგენები აუცილებელზე და არააუცილებელზე (ამ სიტყვების ფართო გაგებით, რომელიც შეიცავს არა მხოლოდ ეთიკურ ასპექტს, არამედ ესთეტიკურსაც); მესამის როლია – ცალკეულ ინდივიდთან მიმართებაში – ადამიანის არსებობის მხარდაჭერა, ყველაფერთან ერთად, ცალკეული ინდივიდის საქმიანობის სპეციალიზაცია. აქ ყოველ მათგანს აქტივობის საკუთარი სფერო ეთმობა, სადაც მას შესაძლებლობა ექნება თავისი ძალები გამოავლინოს.

ენის ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი და გადასაწყვეტად განსაკუთრებით რთული პრობლემა XVIII-XIX სს-ის მიჯნაზე ენის წარმოშობის პრობლემა იყო, რაზეც ყურადღება გაამახვილა ჰუმბოლდტმა.

ამ პრობლემის განხილვისას ჰუმბოლდტი ყურადღებას ამახვილებს მის ძალიან მნიშვნელოვან თავისებურებაზე: შესაძლებელია ამ პრობლემის ადგევაზე გადაწყვეტა, მხოლოდ წინასწარ პასუხი უნდა გაეცეს კითხვას ენის არსებობის მიზნების შესახებ. რა როლს თამაშობს ენა ადამიანის ცხოვრებაში და რა სარგებლობა მოაქვს მას ადამიანისთვის? რისი კეთების საშუალებას აძლევს იგი ადამიანს? „ენის შექმნა განპირობებულია ადამიანის შინაგანი მოთხოვნილებით, – წერს ჰუმბოლდტი. – ენა – არა მხოლოდ ადამიანთა ურთიერთობის გარეგნული და საზოგადოებრივი კავშირების მხარდაჭერის საშუალებაა, იგი ადამიანის ბუნების ნაწილია და აუცილებელია მისი სულიერი ძალების განვითარებისათვის და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის, ამას კი ადამიანი მხოლოდ მაშინ მიაღწევს, როდესაც თავის აზროვნებას საზოგადოებრივ აზროვნებას დაუკავშირებს“ [29, 340]. ჰუმბოლდტის კონცეფციის მიხედვით, ენის ძირითადი როლი – ეს არის

სოციალური ინტეგრატორის როლი, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ეფექტურ ურთიერთკავშირებს საზოგადოების სხვა წევრებთან. ენის შინაგანი მოთხოვნილების განპირობებულობა – მთელი კაცობირობისა და არა ცალკეული ადამიანისა, მოცემულ შემთხვევაში პრინციპულად მნიშვნელოვანია, რადგან ენა აქ წარმოდგება მთლიანი სოციუმის ნაყოფად, ხოლო ადამიანი იმ ენასთან მიმართებაში, რომელიც გამოიყენება საზოგადოებაში, დაქვემდებარებული საწყისია. ასე რომ, ენა საერთოდ და მთლიანობაში, თვითნებურია იმ საგნებთან და მოვლენებთან მიმართებაში, რომლებსაც იგი აღნიშნავს (არ არსებობს არავითარი „აბსოლუტური“ სახელი, რომელიც შეიძლება მიენიჭოს ამა თუ იმ ობიექტს და ყველა სახელწოდება მხოლოდ იარღიყია, რომელიც არანაირად არ გამოხატავს მის ჭეშმარიტ არსეს), და უპირობოა მასზე მოსაუბრე ადამიანთან მიმართებაში.

ამგვარად, პუმბოლდტის თეორიის მიხედვით ენა წარმოადგენს სოციალურ, ან ყოველ შემთხვევაში ინტერსუბიექტურ ფაქტს, და სწორედ ამ თეზისის ჭრილში უნდა იყოს გააზრებული მისი როლი საზოგადოებაში და ის სარგებლობა, რომელიც მას შეუძლია მოუტანოს ადამიანს.

სინამდვილეში ენა პუმბოლტთან – ეს არის საშუალება იმისათვის, რომ იმოქმედო, შეცვალო სამყარო და სწორედ ამაში მდგომარეობს მისი კონცეფციის უნიკალურობა. ვილპელმ პუმბოლდტი პირველი იყო ლინგვისტებს შორის, რომელმაც ენის თავის კონცეფციას შეგნებულად დაუდო საფუძვლად მოქმედების პრინციპი და განახორციელა ენის მოქმედებითი წარმოდგენა. მან განავრცო თეზისი ენის შესახებ, როგორც მოქმედება თეორიული თვალსაზრისით. ამდენად, პუმბლოდტის კონცეფციის მიხედვით რისი გაკეთება შეუძლია ენას ადამიანისთვის და კაცობრიობისათვის?

პუმბოლდტი, როგორც ცნობილია, გერმანული კლასიკური ფილოსოფიის მემკვიდრე იყო და შეუძლებელია, რომ კანტის, ფიხტეს, შელინგის, პეგელის იდეებს მის მსოფლმხედველობაზე გავლენა არ ჰქონოდა. პეგელის ფილოსოფიის მიხედვით კი, რომელიც იმ დროს ძალიან პოპულარული იყო, სამყაროს ეპოლუცია აიხსნება როგორც რომელიდაც აბსტრაქტული სულის თვითგანვითარების პროცესი, რომელიც განვითარებისას აბსტრაქციიდან სულ უფრო მეტ კონკრეტიკაზე გადმოდის. სახელდობრ, თავად ეპოლუციური პროცესი – ეს არის სუბიექტის თვითგანვითარების პროცესი. „ცნობიერების გამოცდილება პეგელის ფილოსოფიაში ჩნდება სუბიექტის მეტაფიზიკად კანტის

„ობიექტის მეტაფიზიკის“ საპირისპიროდ, რამდენადაც ცნობიერების გამოცდილება არის სუბიექტის მიერ თავისი თავის გაცნობიერება და სუბიექტი ხდება აბსოლუტური იმდენად, რამდენადაც იგი მხოლოდ თავისი თავის უძველობის უდავო გამოცდილებას იძენს. ცნობიერების გათავისუფლების ეს გამოცდილება ნივთიერდება პეგელის ფენომენოლოგიაში, როელიც მისი სამი უმნიშვნელოვანესი პრინციპის საფუძველზე მეცნიერებად ყალიბდება, კერძოდ: 1) ცნობიერება არის საკუთარი თავის შეცნობა; 2) ცნობიერება თავის თავს უზრუნველყოფს საკუთარი კრიტერიუმით; 3) ცნობიერება ამოწმებს საკუთარ თავს“ [64, 31].

მსგავსი რამ იკითხება პუმბოლდტის ტექსტებში: მის თეორიაში ენის ცნება ფაქტობრივად ცვლის პეგელის სუბიექტის ცნებას. ენა პუმბოლდტის კონცეფციაში იგივე ფუნქციებს ასრულებს (ანდა, ყოველ შემთხვევაში მსგავს), რაც სული ან სუბიექტი პეგელის ფილოსოფიაში. პეგელის ფილოსოფიაში სუბიექტი უპირველეს ყოვლისა თვითრეფლექსიის უნარს ფლობს, იმისთვის, როგორც თავად პეგელი აღნიშნავს, რომ იყოს არა მხოლოდ „თავის თავში“, არამედ „თავისთვისაც“, ან ფლობდეს თვითშეგნებას. პუმბოლტონ ენა წარმოადგენს იმ ინსტანციის როლს, რომელიც უზრუნველყოფს სუბიექტის თვითშეგნებას, რადგან არა მხოლოდ კომუნიკაცია, არამედ ზოგადად ყოველი გონი, ყოველი გაცნობიერებული, მიზანდასახული მოქმედება მხოლოდ ენის საშუალებით არის შესაძლებელი. იგი პირდაპირ წერს ამის შესახებ: „შეგვიძლია მივიჩნიოთ საყოველთაოდ აღიარებულად, რომ სხვადასხვა ენები ნაციებისათვის მათი ორიგინალური აზროვნებისა და აღქმის ორგანოს წარმოადგენენ“ [29, 115]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენა წარმოადგენს ერთადერთ გარემოს და მხოლოდ მასშია შესაძლებელი აზროვნების განხორციელება, და არავითარი აზროვნება ენის გარეშე და მის გარეთ არ შეიძლება იყოს შესაძლებელი. მართალია, აქ შეიძლება შეგვეპამათონ და მიგვითითონ ეგრეთ წოდებულ „ხატოვან აზროვნებაზე“, მაგრამ ეს არგუმენტი ეფუძნება უბრალოდ თავად ცნების „აზროვნება“ არასწორ გაგებას: „ხატოვანი აზროვნება“ – სხვა არაფერია თუ არა წარმოსახვა, რომელიც არ უნდა აგვერიოს აზროვნებასთან ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით.

ამ ყველაფრის ფონზე ენის წარმოშობა მნიშვნელოვნად უფრო ნათელი ხდება. ენის წარმოქმნა განპირობებულია სიღრმისეული ძალებით, რომელიც თავად ადამიანის „ბუნებაშია“ ჩადებული (რასაც არ უნდა ნიშნავდეს ეს

სიტყვა), და ფაქტობრივად წარმოგვიდგება როგორც ინსტინქტი – დაახლოებით იმავე გაგებით, რომელზეც მოგვიანებით ფროიდი საუბრობდა ადამიანისათვის დამახასიათებელ გაუცნობიერებელ ლტოლვებთან დაკავშირებით, რომლებიც ინსტინქტების დასაკმაყოფილებლად მიზანმიმართულ მოქმედებებში ვლინდება, ნეგროტული რეაქციების სახით, იმ შემთხვევაში, როდესაც ლტოლვა ვერ კმაყოფილდება პირდაპირ და უშუალოდ, და ადამიანი უარყოფს თავად ასეთი ლტოლვის არსებობას. ფროიდის მიერ წამოწეულ ფსიქიკის კონცეფციას, როგორც ცნობილია გააჩნია „პიდრავლიკური“ ხასიათი: ჩვენ არაცნობიერში არსებობენ ინსტინქტები, რომლებიც მოითხოვენ რეალიზებას იმისგან დამოუკიდებლად, არის თუ არა მოცემული ინდივიდის მხედველობის არეში რომელიმე ობიექტი, რომელიც დაკმაყოფილებდა ლტოლვას, და ამ დროს შეიძლება ამორჩეულ იქნას ამისთვის შეუფერებელი საგნები. ამის მსგავსად პუმბოლდტის კონცეფციაში: ენა არსებობს მასში, როგორც ინსტინქტური ლტოლვა, რომელიც რჩება ადამიანში იმისგან დამოუკიდებლად არის თუ არა გვერდით ვინმე, ვისთანაც შესაძლებელია საუბარი. ამიტომ არ შეიძლება იმის თქმა, რომ ენა შეიქმნა კონვენციურად – ისე, როგორც წარმოდგენილი იყო სახელმწიფოს წარმოქმნის ეგრეთ წოდებულ „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ თეორიაში, როდესაც ადამიანები, რომლებიც სოციალური ცხოვრების მოთხოვნილებას განიცდიდნენ, უხეშად რომ ვთქვათ, შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს თავისი ბუნებრივი უფლებების ნაწილი გადასცენ სუვერენს, რომელსაც ანდეს ხალხის მასების მმართველობა. ენა არ იყო საზოგადოებრივი ხელშეკრულების შედეგი, მაგრამ უფრო ნაკლებად იგი ღვთიური ქმნილების შედეგი იყო. სწორედ ამ შეხედულების გარშემო განვითარდა პოტენციას მოსაზრებები ამ საკითხზე.

პუმბოლდტისთვის ენა – ეს არის არაცნობიერი ძალის პროდუქტი, რომელიც იმანენტურია ადამიანის ბუნებისათვის და რომელიც ვლინდება სპონტანურად ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა ფორმებში. მის თეორიაში ენა არა მხოლოდ ნიშნობრივი სისტემაა, რომელიც მოწოდებულია ზუსტად და ადეკვატურად აღწეროს ინდივიდის გარშემო არსებული რეალობა, არამედ ხელოვნებაც, კერძოდ, პოეზია წარმოგვიდგება როგორც *Homo sapiens*-თვის საწყისიდანვე თანდაყოლილი ენობრივი უნარი, კ.ი. უნარი აღნიშნოს, დაახასიათოს შიდა სამყარო და გადასცეს ინფორმაცია მასზე სხვა ადამიანებს ისე, რომ მათთვის უპავ აღარ არის აუცილებელი უშუალოდ იმყოფებოდნენ

აღწერილ გარემოში. სხვაგვარად რომ კოქვათ, თანაზიარობა, კომუნიკაციის უნარი ჰუმბოლდტის აზრით, საწყისშივე ჩადებულია ადამიანში და უბრალოდ არ შეიძლებოდა არ გამოვლინდეს ამ თუ იმ ვითარებაში. ხოლო აქედან გამომდინარეობს, რომ სოციალობაც ადამიანის ბუნების იმანენტური თვისებაა, რომელიც აუცილებლად გამოვლინდება, როგორც კი ამისთვის ოდნავ მაინც შესაფერისი პირობები შეიქმნება. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ შინაგანი მოთხოვნილების ძალა სრულ მარტოობაში მყოფ ადამიანს მიიყვანს თავისთვის, თუნდაც წარმოსახვით „კვაზი-სოციუმის“ გააზრებამდე, რომელთანაც შესაძლებელი იქნება ურთიერთობის დამყარება (სინამდვილეში, სწორედ ასეც ხდება: ადამიანი, რომელიც სხვასთან ურთიერთობაში სერიოზულ და გადაუჭრელ პრობლემებს განიცდის, დღიურს აწარმოებს და წარმოსახვით მოსაუბრეს მიმართავს; როდესაც ადამიანი ყრუ ტაიგაში ან უკაცრიელ კუნძულზე იმყოფება, ის მის მიერ მოშინაურებულ ცხოველებს ესაუბრება – ლაპარაკობს იმისთვის, რომ, როგორც იტყვიან „არ გაგიჟდეს მარტოობისგან“).

ამგვარად, ჰუმბოლდტის მოსაზრებას ემატება ის, რომ ადამიანი სოციალურია სწორედ იმიტომ, რომ სურვილი აქვს სხვას გაუზიაროს თავისი შთაბეჭდილება გარე რეალობაზე, და არა იმიტომ, რომ ეს განპირობებულია მისი თანდაყოლილი ენობრივი უნარით, რომლის თანახმადაც ადამიანი ანაწევრებს რეალურ სამყაროს, როგორც გვთავაზობს ამას სეპირ-უორფის თეორია. მას ვისზეც არაფერი ახდენს შთაბეჭდილებას, ვისაც არ უჩნდება არანაირი ემოციები ან სურვილები, არასოდეს არ იქნება განწყობილი ურთიერთობისათვის, ე.ო. არ ექნება მეტყველების წარმოების უნარი, შესაბამისად ენის განვითარების და წარმოების უნარი.

3.4. კატეგორიზაციის პრინციპები და კონცეპტუალური პროცესები

სამყაროს გასაგებად და მასთან ინტერაქციისათვის ჩვენ განცდებს (გამოცდილებას) განსაზღვრულ კოლოფებში ვახარისხებთ. დახარისხების ეს ხანგრძლივი პროცესი, რომელიც უფრო ხშირად უნებურია, კატეგორიზაციად იწოდება. როგორც აღნიშნავს ლაკოფი [125, 5–6], კატეგორიზაცია ჩვენი ფიქრის, მოქმედებისა და ლაპარაკის უნარის საფუძველია. ყოველთვის, როდესაც ჩვენ ვხედავთ რაიმეს, როგორც რომელიმე საგანს – სკამებს, ეროვნებას, სნეულებას, ემოციებს, ყველაფერი, რასაც ჩვენ არ გამოვიკვლევდით, ჩვენ ვიკვლევთ.

ყოველთვის, როდესაც ჩვენ შეგნებულად ვასრულებთ რომელიმე ქმედებას, ესაუბრობთ რაიმე მიწიერზე, ვაჭედებთ ლურსმანს, ვაუთოებთ ტანსაცმელს, ჩვენ ვიყენებთ კატეგორიებს. განსაკუთრებულ ქმედებას, რომელსაც ჩვენ ვასრულებთ, თავისებური მოტორული ქმედებაა, ანუ, ეს ხვდება მოტორული ქმედებების კატეგორიაში. ეს ქმედებები შესრულების მანერით ყოველთვის სხვადასხვაგვარად შესრულდება, თუმცა მათი კატეგორიზაცია საერთო ნიშნით მოხდება. ამ თვალსაზრისით კატეგორიზაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესია, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ როგორ მუშაობს ჩვენი გონიება და განსაკუთრებით როგორ მუშაობს ენა, რადგან არსებობს ექსპლიციტური კავშირი ერთი მხრივ კატეგორიზაციასა და მეორე მხრივ, აზროვნებასა და გაგებას შორის. ამ ინტერაქციის განცდა ფიზიოლოგიურ დონეზე ხდება და ისინი საბოლოოდ სხეულებრივ განცდებზეა დაფუძნებული. ეს მაღალი ეგოცენტრიკული პოზიცია ლაპოვის მიერ ემპირიულ რეალობად იწოდება.

განცდების რეალიზმის შესაბამისად, ჩვენი კონცეპტუალური სისტემა იზრდება და შეზღუდულია ჩვენი სხეულის შეზღუდვებით – განიცადოს, გამოხატოს აღქმა, მოძრაობა, ფიზიკური და სოციალური ინტერაქციები. ამგვარად აბსტრაქტულმა აზროვნებამ და წარმოსახვამ, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაფუძნებული სხეულებრივ განცდებზე, მეტაფორის, მეტონიმიისა და ანალოგიის საშუალებით შუალედური მდგომარეობა დაიკავეს. განვიხილოთ მაგალითი, დროის ცნება, რომელიც უმეტესად მეტაფორულად აღიქმება, როგორც მოძრაობა. ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია კონცეპტუალურ მეტაფორაზე საუბარი Time is a moving object [125, 42] - ჩვენი წარმოდგენა მოძრავ ნივთებზე (ობიექტებზე) დაფუძნებულია განცდებზე (ემპირიულ). ემპირიული რეალიზმის თეორიის სხვა შედეგები იმაში გამოიხატება, რომ სტრუქტურული პრინციპები ისევე განიხილება, როგორც საბოლოო ჯამში ფიზიკურ გამოცდილებაზე დაფუძნებული (განცდების ტელესკოპი – bodily experiences).

ჯონსონი (1987) მიიჩნევს, რომ არსებობს „ნახატების სქემის“ ნაკრები (image schemata), რომელიც სამყაროს აღქმის ჩვენებული გაგების და ჩვენი გამოცდილების ორგანიზების სტრუქტურის როლს ასრულებს. ნახატების სქემას იგი განსაზღვრავს, როგორც მცირე რაოდენობის ნაწილებისა და კავშირებისაგან შემდგარს, რომელთა წყალობით შესაძლებელია განუსაზღვრელად ბევრი აღქმების, ნახატებისა და მოვლენების სტრუქტურიზება.

და ბოლოს, ნახატების სქემები (image schemata) გონებრივი ორგანიზაციის დონეზე ოპერირებენ, რომელიც ერთი მხრივ, მდებარეობს აბსტრაქტულ პროპოზიციულ სტრუქტურებს და მეორე მხრივ, კონკრებულ სურათებს შორის.

სტრუქტურიზაციის კოგნიტიური გატეგორიები

გონება

(კონცეპტები)

მიზეზი

მენტალური კატეგორიზაცია

↓ ↓ ↓

სხეული

სენსორო-მოტორიკა, შეხების სხეულის გამოცდილება

ფიზიკური ინტერაქცია

თავისებურებები და უნარი

↑ ↑ ↑

რეალური სამყაროს ობიექტები

ცხრილი № 3. კატეგორიზაცია ემპირიულ რეალიზმში

თანამედროვე სამეცნიერო კვლევაში საჭიროა განვიხილოთ და განვსაზღვროთ რამდენიმე საკვანძო კონცეფცია.

პირველ რიგში დავაკვირდეთ სიტუაციას და კონტექსტს, რადგან მნიშვნელოვანია განვასხვავოთ სამყაროს ჩვენი მენტალური კონსტრუქცია თავად სამყაროსგან. ეს სხვაობა აგრეთვე მნიშვნელოვანია ინტერპრეტაციის თვალსაზრისით. შმიდტის (1996) თანახმად, კონტექსტი შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც მენტალური ფენომენი, იმ დროს, როდესაც სიტუაცია ეხება ინტერაქციას საგნებს შორის რეალურ სამყაროში. ეს გულისხმობს, რომ კონტექსტი დაკავშირებულია სხვა ძირითად ცნებებთან, ისეთებთან, როგორიცაა: უპირატესობა და კონსტრუირება, იმ დროს, როდესაც სიტუაცია, როგორც რეალური სამყაროს ფენომენი არ იწვევს არანაირ პერსპექტივას ან ფოკუსს.

ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული კონტექსტის კონცეფციასთან გონებრივი სივრცის თეორიული კონსტრუქცია (mental spaces). ფორნიერი ადწერს გონებრივ სივრცეს, როგორც სტრუქტურიზებულ მზარდ ნაკრებს ელემენტებთან (a, b, c) და მათ შორის კავშირებს (R1ab, R2a, R3 ...). [106, 116] ასე რომ მათ შეიძლება დაემატოთ ახალი ელემენტები და მათ შორის შესაძლებელია ახალი კავშირების დამყარება.

ნაკლებად ტექნიკურად ჩვენ შეგვიძლია მივიჩნიოთ გონებრივი სივრცე, როგორც გაგრძელებული დისკურსის ან გაგრძელებული სიტუაციის გონებრივი რეპრეზენტაცია. გონებრივი სივრცე შემდგომშიც აისახება დისკურსის მსვლელობისას და დროდადრო ახალი პარალელური სივრცეები იგება სივრცის მშენებლების დახმარებით. ამგვარად, გონებრივი სივრცე, შეიძლება ითქვას, ეს ჩვენი სურათია (კონტექსტი) იმისა, რასაც აღვწერთ (დისკურსი), ან აღვიქვავთ. შესაბამისად, მიმდინარე გონებრივი სივრცე შეადგენს ნებისმიერი გონებრივი რეპრეზენტაციის კონტექსტს. ფოკონიერი [106, 39] აკვირდება, რომ „გონებრივი სივრცე შინაგანად სტრუქტურიზებულია ფრეიმებითა და კოგნიტური მოდელებით“. ეს სტრუქტურა შექმნილია ფონური ცოდნით უზრუნველყოფილი ლექსემებით.

ლანგაკერი [130, 263] გვთავაზობს გონებრივი სივრცის განხილვას, რომელიც შექმნილია მიმდინარე საუბრის დროს, როგორც ორი (ან მეტი) მონაწილის შეკავშირებული კონსტრუქცია – დისკურსის მიმდინარე სივრცე (CDS – current discourse space).

ლაკოფი ამტკიცებს, რომ „მენტალური სივრცე მედიუმია კონცეპტუალიზაციასა და გონებისთვის. ამგვარად, ყოველი ფიქსირებული ან მიმდინარე გარემოებები კონცეპტუალიზაციის პროცესში წარმოდგენილნი არიან მენტალური სივრცით“. ლაკოფს მაგალითისთვის მოაქვს „ჩვენი უშუალო რეალობა, როგორც გვესმის იგი“. რაც შეეხება ფრეინებს, ფოკონიერი მათ იყენებს იმავე გაგებით, როგორც უნგერერი და შმიდი (1996), ანუ ისინი კონცენტრირებულნი არიან ვერბალური სიტუაციის გარშემო [106, 10].

კოგნიტური ლინგგისტიკის ერთ-ერთ მთავარ კონცეპტს წარმოადგენს მოტივაცია. მოტივაცია ქმნის არა უნებურ კავშირს კონცეპტსა და მის გაფართოებას (გავრცელებას) შორის, იგი დაკავშირებულია სხვა არსებულ კონცეპტების ფონთან და საზოგადოებაში მოსაუბრეთა მოდელებთან (speech community) [125, 113].

ლაკოფი აკვირდება, რომ მოტივაცია დამოკიდებულია კონცეპტუალური სისტემის ზოგადი დახასიათებისგან და არა მსოლოდ მოცემული დახასიათებისგან. მოტივაციის ცნება შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც ფორმასა და შინაარსს შორის არსებული პირობითობა, რომელიც არსებობს ამა თუ იმ საზოგადოებაში. მაგრამ მოტივაცია ძალიან ფართო კონცეპტია და შეიძლება ბევრი ტიპის გაფართოებისათვის პრერეკვიზიტად ჩაითვალოს.

ფერების კატეგორიის გაფართოების მოტივაცია უნდა განვიხილოთ პირველ რიგში სხვა კონცეპტუალური პროცესების შესაბამისად – მეტაფორა და მეტონიმია. კოგნიტურ ლინგვისტიკას მიაჩნია, რომ ეს ორი პროცესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მეტაფორისა და მეტონიმის პროცესი ძველი საბერძნეთიდან და რომიდან მომდინარეობს (Worren 1995 and Koch 1999) და ტრადიციულად ეს პროცესები მხოლოდ „მეტყველების ერთეულებად“ ითვლებოდა, რომელიც ენის ნორმალური გამოყენებისაგან გადახრა იყო. მაგრამ ლაკოფისა და ჯონსონის ნაშრომების წყალობით (1980) ამ პროცესების კონცეპტუალური ბუნება აშკარა გახდა და მათ დიდი ყურადღება დაეთმო, მათ მნიშვნელობას კატეგორიების მარტივი გაფართოების გარეთ. კონცეპტუალური პროცესები მნიშვნელოვანია რეალობის გაგებასა და სტრუქტურიზაციისათვის.

ლაკოფი და ჯონსონი პირველები იყვნენ (1980), ვინც ლინგვისტური მასალა კონცეპტუალური მეტაფორების თანმიმდევრულ სისტემაში მოიყვანა. მათ აჩვენეს, რომ ენის სისტემატური ანალიზი შესაძლებელია მეტაფორული კონცეპტუალური პროცესის არსებობაზე მიუთითებდეს, რომელიც ახსნის ფრაზების მთელ ნაკრებს.

ემპირიული გამოცდილების საფუძველზე სამყაროს გაგებისაგან განსხვავებით, მეტაფორა ნორმალური კატეგორიზაციისაგან მარკირებული განსხვავებაა.

ემპირიული რეალიზმიდან გამომდინარე, აბსტრაქტული აზროვნება დაფუძნებულია სხეულის კონკრეტულ გამოცდილებაზე და ამგვარად აბსტრაქტული კონცეპტების მეტაფორული სტრუქტურა სავსებით გავრცელებულია, ანუ ეს ერთი დომესტიდან მეორეში თავისებური გადასვლაა. უცვლელობის ჰიპოთეზაა (Invariance Hypotheses, Lakoff), რომ არსებობენ განსაზღვრული იმიჯ-სქემები, რომელნიც ხელს უშლიან მეტაფორის პროცესს, ამიტომ ყველა დომენტი არ გადადის რაღაც სხვაში.

მეტაფორა და მეტონიმია ერთმანეთისგან განსხვავებული პროცესებია. მეტაფორა ძირითადად გამოხატავს რომელიმე ობიექტს სხვა ობიექტის საშუალებით და პირველადი ფუნქცია ამისთვის არსებითი სახელების გადმოტანაა სხვა მხრიდან. მეტონიმის პირველად ფუნქციას წარმოადგენს რეფერენცია, როდესაც ერთი ობიექტი ახასიათებს მეორე ობიექტის თავისებურებებს. მაგალითად: green with envy – მეტეფორაა, red hair – მეტონიმია.

უდაოდ ეს ორი კონცეპტუალური პროცესი დიდი როლს თამაშობს ნომინაციის შემოქმედებით პროცესში, თუმცა კვლევა ადასტურებს, რომ ნომინაციის შემოქმედებითი პროცესი უფრო მეტია, ვიდრე მეტაფორა და მეტონიმია. ეს არის რიგი ფაქტორები: აღქმა, ემოციები, ფონური ცოდნა (სიტუაციები), კონტექსტი, ამ სიტყვის ფართო გაგებით, რაც სიტყვის განვითარებას განაპირობებს.

